

მთავარია, როდის და როგორ... A2



პრესომბუდსმენი A5



მომავალი მუსიკოსების კონცერტი A7

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 15 მაისი, 2006 წელი. №105 (1257) | ფასი 50 თეთრი

# როგორ გვიბრუნებდა რუსეთი აფხაზეთს

რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ალბათ, ბევრს უჩნდება საკმაოდ ლოგიკური შეკითხვა: საქართველოს პროდასავლური კურსი შევარდნაძის დროსაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ კრემლი ასეთ უკიდურეს ნაბიჯებზე არ მიდიოდა.
ფაქტობრივი ეკონომიკური ბლოკადა, იგორ გიორგაძის ფენომენის კიდევ უფრო გააქტიურება... რით არის ეს გამოწვეული და რა არის განსაკუთრებული დღევანდელი ხელისუფლების კურსში?

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

ასეთ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. მიზეზები ბევრია: დავიწყოთ იმით, რომ დღევანდელი რუსეთი ნავთობზე მაღალი ფასების წყალობით ძალას გრძნობს და ყოფილ კოლონიებზე გავლენის აღდგენასაც ადრინდელზე გაცილებით უფრო აქტიურად ცდილობს; გარდა ამისა, დღევანდელ საქართველოს დასავლეთის უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს და ჩვენი სახელმწიფო სულ უფრო და უფრო უახლოვდება ნატო-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ დრო პრაქტიკულად ჩვენზე მუშაობს და კრემლმაც უნდა იჩქაროს.

მაგრამ მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ყველაფერს საკუთარ სახელს არქმევს, რაც მოსკოვში ძალიან არ მოსწონთ. წლების განმავლობაში საქართველოს „გადაყლაპული" ჰქონდა ის შეურაცხყოფა, რასაც აფხაზეთი ჰქვია. რუსეთის წინაშე ამ საკითხს პრინციპულად და მწვავედ არავინ აყენებდა და ჩვენი დიდი მეზობელიც ამას მშვენივრად შეეგუა - აფხაზეთს მოსკოვში უკვე რუსეთის სავსებით ლეგიტიმურ დამატებად განიხილავდნენ და, ალბათ, ვერაფრით წარმოედგინათ, თუკი საქართველო ოდესმე კიდევ ამ საკითხის დასმას ხმამაღლა გაბედავდა.

რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების დროს, თბილისში ერთობლივ რუსულ-ქართულ სემინარს დავესწარი, რომელზეც ცნობილი რუსი პოლიტოლოგები იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი ცდილობდნენ, საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრულ ურთიერთობათა აღდგენაზე ესაუბრათ (მაშინ შევარდნაძე უკვე საკმაოდ პროდასავლურ კურსს ატარებდა და მოსკოვში ამის გამო გაღიზიანების პირველი სერიოზული ნიშნები გაჩნდა). „მოდით, დავიწყოთ ყველაფერი ახალი, სუფთა ფურცლიდან," - შემოგვთავაზა ერთ-ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა, რაზეც პასუხად მიიღო, რომ სანამ აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემა არ გადაიჭრებოდა, სუფთა ფურცელზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### პუტინი შემცვლელს დაასახელებს

რუსეთის პრეზიდენტი მემკვიდრეს აუცილებლად დაასახელებს, მაგრამ - მოგვიანებით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ასეთი პირობა ვლადიმირ პუტინმა რუს ტელეჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე დადო.

A3

## პოლიტიკა

### საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართალი

რამდენად გამართლებულია სამხედრო ძალის გამოყენება ირანის წინააღმდეგ?

A3

## სამართალი

### საქმე, რომელმაც პროკურატურაც გააკვირვა

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა მალე დაასრულებს გამოძიებას და განსახილველად სასამართლოში გადააგზავნის ერთობ უჩვეულო საქმეს, რომლის გამოძიების დროსაც განვითარებულმა ისტორიამ გამომძიებლებიც კი გააოცა.

A4

## ისტორია

### ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 15/05 | 16/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 27 |
| ტყიბული | 21 | 26 |
| სოხუმი | 19 | 24 |
| დმანისი | 19 | 23 |
| გორი | 21 | 25 |
| ონი | 13 | 21 |
| ზუგდიდი | 22 | 28 |
| ახმეტა | 25 | 27 |
| გაგრა | 20 | 22 |
| სამტრედია | 22 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პრესომბუდსმენი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| უახლესი ისტორია | A 8 |


# სადაზღვევო ბაზარი ყოველ წელიწადს 35 პროცენტით იზრდება

B

*იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, სადაზღვევო კომპანიების სწრაფი გაფართოება და ამ ბაზარზე ახალი მოთამაშეების ხშირი გამოჩენა, ერთი შეხედვით, დაუჯერებლად გამოიყურება. არადა, სტატისტიკისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ - სადაზღვევო ბაზარი და, შესაბამისად, დაზღვეულ პირთა რაოდენობა თითქმის ყოველ წელიწადს 30-35 პროცენტით იზრდება. და როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ბაზრის განვითარების მასშტაბები არნახულ მაჩვენებლებს მიაღწევს. მათივე შეფასებით, სადაზღვევო ინდუსტრიის ასეთი სწრაფი ზრდა ძალიან დიდი კონკურენციის შედეგია. ამ ბაზარზე რომ მართლაც უკომპრომისო კონკურენციაა, ამას ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიც მოწმობს.*

სადაზღვევო კომპანიების მიერ 2006 წლის I კვარტალის განმავლობაში გაწეული საქმიანობა
(ათას ლარებში)

| N | სადაზღვევო კომპანიის დასახელება | მოზიდული ჯამური პრემია | გადაზღვევის კუთვნილი პრემია | მთლიანად ანაზღაურებული ზარალი | კომპანიის მიერ ანაზღაურებული ზარალი | გადამზღვევლის მიერ ანაზღაურებული ზარალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი | 5,156,676 | 779,131 | 1,166,234 | 951,917 | 214,317 |
| 2 | ალდაგი | 4,305,127 | 2,740,057 | 1,237,943 | 421,326 | 816,617 |
| 3 | ბი სი აი | 3,781,982 | 1,074,988 | 467,286 | 246,021 | 221,265 |
| 4 | იმედი L | 2,065,632 | 1,224,350 | 191,145 | 185,884 | 5,261 |
| 5 | ქართუ | 1,269,273 | 40,374 | 1,008,829 | 1,008,829 | 0 |
| 6 | ირაო | 806,521 | 392,844 | 107,377 | 105,890 | 1,487 |
| 7 | აი სი ჯგუფი | 597,556 | 150 565 | 2,396 | 2,396 | 0 |
| 8 | AIG ევროპა საქ. ფილ. | 338,654 | 99,939 | 0 | 0 | 0 |
| 9 | ეროვნული ბანკი (საპ.სქემა) | 171,507 | 0 | 37,182 | 37,182 | 0 |
| 10 | გეოპოლისი | 151,843 | 0 | 12,730 | 12,730 | 0 |
| 11 | პი-აი-სი | 61,906 | 6,072 | 121 | 121 | 0 |
| 12 | ვესტი | 58,190 | 0 | 14,793 | 14,793 | 0 |
| 13 | საქ.სად.კომპანია | 56,974 | 0 | 139,254 | 139,254 | 0 |
| 14 | ოლიმპი | 51,587 | 0 | 15,000 | 15,000 | 0 |
| 15 | ანკორა | 9,177 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ჯამი | 18,882,605 | 6,508,320 | 4,400,290 | 3,141,343 | 1,258,947 |

# "სახალხო ბანკმა" აჭარაში ფერმერების დაფინანსება დაიწყო

*ბათუმში "სახალხო ბანკის", "კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის" და "გერმანიის შემნახველი ბანკების საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის" ერთობლივი პროექტის "თანამშრომლობა - რითეილი და მიწის კადასტრის" პრეზენტაცია გაიმართა.*

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განმარტებით "თანამშრომლობა - რითეილი და მიწის კადასტრი" პირველი საერთაშორისო პროექტია, რომელსაც "სახალხო ბანკი" აჭარის რეგიონში ახორციელებს.

გაგრძელება A2 გვერდზე




ახალი პროექტის პრეზენტაცია.

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A7



## წყალდიდობამ ქვევრები მიწიდან ამოყარა

კახეთში ღამით მოსული ძლიერი წვიმის შედეგად, ყვარლის რაიონში ადიდებულმა მდინარეებმა ფატმასურამ და შოროხევმა სოფელ გავაზის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები დატბორა. აღნიშნულ სოფლებში სახლის სარდაფებში მაღალი ტენიანობის გამო, წყალმა ნიადაგიდან დაიწყო ამოსვლა. რამდენიმე ოჯახის მარანში გრუნტის წყლის ამოხეთქვის შედეგად, მიწიდან ამოიყარა ქვევრები. დატბორილია საკარმიდამო ნაკვეთები და ვენახები. **ინტერპრესნიუსი**

### მოკლედ

#### ხანძარს მოხუცი და-ძმა ემსხვერპლა

თერჯოლის რაიონულ ცენტრში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მომხდარ ხანძარს ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ალმოდებული სახლიდან მოხუცი და-ძმის - 84 წლის ირა და 80 წლის კოტე ქოჩიაშვილების გამოყვანა და გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

**„საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა ცეცხლი შევნიშნეთ და იმწუთშივე გამოვვარდით მეზობლები საშველად, მაგრამ მეორე სართული ხის იყო და ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სახლს. სახანძრო 5 წუთში მოვიდა, თუმცა ცეცხლის ჩაქრობა ვერ შეძლო,“** - ამბობენ გარდაცვლილების მეზობლები. მათივე თქმით, ხანძარი, სავარაუდოდ, ელექტროღუმელიდან გაჩნდა, თუმცა ხანძრის გამომწვევი რეალური მიზეზების დასადგენად მიმდინარეობს გამოძიება. გარდაცვლილთაგან, ძმის - კოტე ქოჩიაშვილის ცხედრის პოვნა ვერ მოხერხდა, რადგან გვამი მთლიანად დაიფერფლა.

#### სამართალდამცავებისგან ნაცემი სამი პაციენტი ერთ კვირაში გაწერეს

ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოდან გუშინ და გუშინწინ ექიმებმა სამართალდამცავებისგან დაზარალებული სამი პაციენტი გაწერეს. მათ შორის ერთი - 22 წლის ცოტნე შენგელია, რომელიც საავადმყოფოში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასტიკად ცემის შედეგად მოხვდა, იგივე თანამშრომლებმა პალატიდან პირდაპირ საკანში გადაიყვანეს. სამაგიეროდ, საკნებში გამწესება აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამო იმ პოლიციელებსა და პროკურორს ემუქრება, რომლებსაც ბრალად 41 წლის შალვა ჟორჟოლიანისა და 24 წლის ავთანდილ ენუქიძის ცემა ედებათ. ჟორჟოლიანისა და მისი არასრულწლოვანი შვილის ცემის გამო წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის პოლიციის სამი თანამშრომელი უკვე იძებნება. ენუქიძის ცემისთვის კი ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელს მალხაზ აბულაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერდა და ფაქტის გამოძიებას პროკურატურის გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

სამართლიანი გამოძიების იმედი აქვს ცოტნე შენგელიას ოჯახსაც. შენგელია, ოფიციალური ინფორმაციით, კუდ-ის თანამშრომლებმა იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დაკავების მომენტში წინააღმდეგობის გაწევის გამო სცემეს. შენგელიას მამა, სამტრედიის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი ბადრი შენგელია მიიჩნევს, რომ მისი შვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია და ამიტომაც მის დასაკავებლად სამართალმცავებმა იარაღის "ჩადების" მეთოდი გამოიყენეს. სამივე ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევის პროცესში ჩართულნი არიან სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის თანამშრომლები.

#### ქვიშის უკანონოდ მოპოვების შედეგად მდინარეს კალაპოტი შეეცვალა

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა ლანჩხუთის რაიონში წიაღისეულის უკანონოდ მომპოვებელი ფირმა გამოავლინა. შპს "ინტერმშენკომპანი" მდინარე სუფსის სანაპიროზე ქვიშის მოპოვებას აწარმოებდა, რამაც მდინარის კალაპოტის შეცვლა გამოიწვია. ქვიშა 1000 კუბურ მეტრზეა ამოღებული, გარემოსათვის მიყენებულმა ზარალმა კი რამდენიმე ათასი ლარი შეადგინა. გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ფირმა ქვიშით, ასევე, უკანონოდ მოქმედ ასფალტის ქარხანას ამარაგებდა, რომელიც შპს "გეო 2004"-ის საკუთრებაა. ამ ფირმების ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები უკვე აღიძრა.

*მაია მეცხვარიშვილი*
*ქუთაისიდან*

# "სახალხო ბანკმა" აჭარაში ფერმერების დაფინანსება დაიწყო

პირველი გვერდიდან

საცალო მომსახურების განვითარება "სახალხო ბანკის" ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და აღნიშნული პროექტი აჭარის რეგიონში სწორედ სოფლის მეურნეობის კუთხით საცალო საბანკო მომსახურების გაფართოებას ითვალისწინებს.

"სახალხო ბანკს" აჭარის ყველა რაიონში აქვს ფილიალი, მათ შორის ოთხ რაიონში ერთადერთ საბანკო ინსტიტუტს წარმოადგენს. აღნიშნული ბანკს საშუალება ეძლევა სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყოფილი მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო რესურსი წლის ბოლომდე მთელს რეგიონში შეუფერხებლად განაწილდეს.

ახალი პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

2005 წლის მაისის მიწურულს "შემნახველი ბანკების საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდმა" "სახალხო ბანკს" შესთავაზა მონაწილეობა მიეღო პილოტ პროექტში "თანამშრომლობა - რითეილი და კადასტრი". იმავე წლის 12 ივლისს კი "შემნახველი ბანკების ფონდმა" "სახალხო ბანკი" აღნიშნულ პროექტში მონაწილე პარტნიორად სცნო.

პროექტი სამმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს: "შემნახველი ბანკების საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი", "კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი" (რომელიც ასევე KFW-ს მიერ ხორციელდება) და "სახალხო ბანკი".

პროექტის საწყის ეტაპზე "შემნახველი ბანკების საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდმა" ჩაატარა ბაზრის დეტალური შესწავლა და აწარმოა გამოკითხვა, რომელშიც ათეულობით ფერმერმა მიიღო მონაწილეობა. მათთვის ჩატარდა რამდენიმე პრეზენტაცია და სემინარი, რაც ადგილობრივ ფერმერებს საბანკო ინსტიტუტებთან ურთიერთობას გაუადვილებს.

პროექტის მიზანია, აგრეთვე აჭარის რეგიონში ქვეყნის წინა ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის პერიოდში მიწის აღურიცხავი ნაკვეთების რეგისტრაცია. მოსახლეობას საშუალება მიეცა "კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის" ფარგლებში უსასყიდლოდ მოეხდინა საკუთარი მიწის რეგისტრაცია. ახლა უკვე ფერმერებს საშუალება აქვთ კუთვნილი მიწა ბანკთან ურთიერთობისას დაფინანსების უზრუნველყოფის მექანიზმად გამოიყენონ.

# მთავარია, როდის და როგორ...


*სპეციალური სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით პრეზიდენტის დავალებით გასულ კვირას შეიქმნა.*

გასულ უქმეებზე სახელმწიფო კანცელარიაში დსთ-დან გამოსვლის საკითხის შემსწავლელი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომის დასრულების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ დსთ-დან საქართველოს გამოსვლასთან დაკავშირებით, საუბარია არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე, არამედ როდის და როგორ განხორციელდება ეს პროცესი.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, სხდომაზე ყველა სამინისტროს დაევალა შესაბამისი გათვლების მომზადება, რათა მომდევნო სხდომისთვის ყველა იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე არსებობდეს ინფორმაცია, რაც დსთ-დან საქართველოს გამოსვლას შეიძლება მოჰყვეს. შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძეც ამბობდა, რომ ხელისუფლება მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არგუმენტირებული იქნება.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, ჯერჯერობით ის ხელშეკრულებები განიხილება, რომელიც დსთ-ს ფარგლებშია დადებული. რაც შეეხება ვადებს, თუ როდის წარუდგენს კომისია პრეზიდენტს მუშაობის შედეგებს - ჯერ განსაზღვრული არ არის.

საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხზე სპეციალური სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით პრეზიდენტის დავალებით გასულ კვირას შეიქმნა. პირველი სამუშაო შეხვედრის შესახებ კომენტარი ზურაბ ნოღაიდელმა შაბათს სხდომის დაწყებამდე გააკეთა. „მე და საგარეო საქმეთა მინისტრმა პრეზიდენტისგან მივიღეთ დავალება, რომ უმოკლეს ვადებში დსთ-ს სივრცეში პარტნიორ ქვეყნებთან ჩავატაროთ კონსულტაციები, რათა უკეთ შევძლოთ სავარაუდო შედეგების შეფასება. საკითხების დეტალური განხილვა მიმდინარეობს ეკონომიკური განვითარების სამინისტროშიც. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მრავალმხრივი ურთიერთობებიდან გადავიდეთ ორმხრივ ურთიერთობებზე იმ ქვეყნებთან, რომლებსაც საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების აგება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე სურთ და არა ცალკეული ბიუროკრატების უგუნურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით,“ - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

*24 საათი*

# კოფი ანანის აზიური ტურნე


*პირველი ქვეყანა, რომელსაც გაერო-ს ხელმძღვანელი ეწვია, სამხრეთი კორეაა.*

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აზიური ტურნე შორეულ აღმოსავლეთში ვიზიტით დაიწყო. პირველი ქვეყანა, რომელსაც გაერო-ს ხელმძღვანელი ეწვია სამხრეთი კორეაა. ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო „კიოდო ცუსინ“-ის ცნობებით, კოფი ანანი სეულში 16 მაისამდე დარჩება. მას დაგეგმილი აქვს შეხვედრები პრეზიდენტ რო მუ ჰენთან და მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ვიზიტის პირველ დღეს კი ანანი სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრს პან გი მუნს შეხვდა, რომლის კანდიდატურაც აქტიურად განიხილება გაერო-ს ახალი გენერალური მდივნის პოსტზე. მოლაპარაკების მთავარი თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა და ოფიციალური ფხენიანის ექვსმხრივი მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნება იყო. თუმცა, შეხვედრაზე განსახილველი თემები მხოლოდ ამ ორი საკითხით არ ამოწურულა. პან გი მუნი ანანს იაპონიის ზღვაში მდებარე კუნძულ ტოკტოზეც ესაუბრა, რომელზე პრეტენზიასაც იაპონური მხარე აცხადებს. გარდა ამისა, საუბარი სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის ურთიერთობების გაცივებასაც შეეხო, რასაც ხელი იაპონელი მაღალჩინოსნების მიერ უკანასკნელ ხანს ტაძარ იასუკუნის ხშირმა მონახულებამაც შეუწყო. იასუკუნის ტაძარს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობა იაპონური მილიტარიზმის სიმბოლოდ აღიქვამს, ამიტომ არც ისე გასაკვირია მათი გაღიზიანება ამ ტაძარში იაპონიის ოფიციალურ პირთა ყოველი ვიზიტის შემდეგ.

სამხრეთ კორეის შემდეგ, გაერო-ს გენერალური მდივანი ამომავალი მზის ქვეყანას ეწვევა, სადაც 19 მაისამდე დარჩება. იაპონიაში ვიზიტის ფარგლებში კოფი ანანი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ძუნიშირო კოიძუმის, მინისტრთა კაბინეტის გენერალურ მდივანს სინძო აბესა და საგარეო საქმეთა მინისტრს ტარო ასოს შეხვდება. იაპონელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრებზე კოფი ანანი სხვადასხვა საერთაშორისო საკითხს განიხილავს, მათ შორის გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმირების გზებსაც.

აზიური ტურნეს დაწყებამდე კი კოფი ანანმა სამხრეთ კორეისა და იაპონიის ხელისუფლებებს მიმართა თხოვნით - დაერეგულირებინათ ურთიერთობები.

**„ჩინეთს, სამხრეთ კორეასა და იაპონიას ერთმანეთთან ურთიერთობების მოწესრიგება სჭირდებათ - მეზობლებს არ ირჩევენ, მათ მაინც გვერდი-გვერდ მოუწევთ ცხოვრება,“** - ჯერ კიდევ ნიუ-იორკში ყოფნისას განაცხადა კოფი ანანმა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ მოუწოდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს სწორად შეეფასებინათ ისტორიული მოვლენები და წარსული წყენა ხელმეორედ შეცდომის საბაბად არ ექციათ.

# აშშ-ში იმიგრანტთა შესახებ კანონში ცვლილებები შევა

აშშ-ს სენატმა შეთანხმებას მიაღწია ქვეყანაში არალეგალურად იმიგრირებულ პირთა შესახებ კანონპროექტის შეცვლის თაობაზე. ამ შეთანხმების თანახმად, რესპუბლიკელებმა კანონპროექტში ცვლილებების შეტანის უფლება მიიღეს. ამან კი, შესაძლოა, იმიგრანტების შესახებ კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტში არალეგალთა მიმართ დათმობები კიდევ უფრო შეამციროს. თუმცა, სენატის კანონპროექტი ჯერ წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ კანონებთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, რომლებიც არალეგალ იმიგრანტებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უწესებს.

სენატის მიერ მიღებული შეთანხმების შემდეგ პროფკავშირების წარმომადგენლებმა და იმიგრანტებმა, რომლებმაც არაერთი მასშტაბური დემონსტრაცია გამართეს უკანასკნელ ხანს, განაცხადეს, რომ უკან არც ამ შემთხვევაში დაიხევენ და უფრო გრანდიოზულ საპროტესტო აქციებსაც მოაწყობენ.

კანონპროექტის უმთავრესი ელემენტი, რასაც კომპრომისის სახით იმიგრანტები მოითხოვენ, მათთვის ქვეყანაში არალეგალურად მყოფი პირებისთვის მოქალაქეობის მინიჭებაა. რესპუბლიკელთა უმრავლესობა კი ამას კანონის დამრღვევთათვის თავისებურ ამნისტიად მიიჩნევს. არალეგალურ იმიგრანტთა და მათ შესახებ კანონპროექტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, სენატში უმრავლესობის ლიდერმა ბილ ფრისტმა და დემოკრატთა ლიდერმა ჰარი რიდმა გარკვეული კომპრომისის მონახვა მაინც მოახერხეს. კომპრომისი კი შემდეგში მდგომარეობს, ზემოაღნიშნული კანონპროექტი ხელმეორედ იქნება მომავალ კვირას სენატში განსახილველად წარდგენილი, დეპუტატებს კი ექნებათ შესაძლებლობა, შეაჯამონ ყველა შესაძლო შესწორება. ამისთვის სენატორებს რამდენიმე სამუშაო დღე მიეცემათ. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი კი ერთი ან ორი კვირის მანძილზე უნდა შემუშავდეს.

**„ის გარანტიები, რაც მე სენატორმა ფრისტმა შემომთავაზა, მაძლევს იმის იმედს, რომ ჩვენ შევძლებთ მოლაპარაკებას და შემდგომ უკვე ყოვლისმომცველი რეფორმის გატარებასაც,“** - აღნიშნა სენატორმა რიდმა.

კანონპროექტის ერთ-ერთმა უმთავრესმა მომხრემ, დემოკრატების წარმომადგენელმა სენატორმა ტედ კენედიმ გამოთქვა ღრმა რწმენა ამ დოკუმენტის სენატში დამტკიცების თაობაზე.

სენატორებმა ფირსტმა და რიდმა ასევე შეათანხმეს საუბრისას კომიტეტის შემადგენლობა, რომელიც არალეგალურ იმიგრაციასთან დაკავშირებით ზედა და ქვედა პალატების ერთობლივ კანონპროექტზე იმუშავებს.

ამჟამად არსებული კანონპროექტი არალეგალურ იმიგრანტთათვის არა მარტო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, არამედ აშშ-ს სამხრეთ საზღვარზე კედლის აშენებასაც გულისხმობს. სწორედ ამ უკანასკნელმა პუნქტმა გამოიწვია ამერიკის მრავალ შტატში მასობრივი დემონსტრაციები. აქციის მონაწილეებმა ამომრჩევლის განწყობის უკეთ გამოსავლენად არალეგალურ იმიგრანტთა შესახებ საკითხის დაყენება ნოემბრის არჩევნების წინ მოითხოვეს.

პრეზიდენტ ბუშს არცთუ მარტივი ამოცანა აქვს შესასრულებელი, ჯერ ერთი, რომ შეძლოს თანაპარტიელების დარწმუნება კანონპროექტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაში, თანაც ეს ისე უნდა მოახერხოს ქვეყნის პირველმა პირმა, რომ არ გამოიწვიოს ამომრჩეველთა გულისწყრომა, პირველ რიგში, ლათინური ამერიკიდან გადმოსული ახლა უკვე ამერიკელი ამომრჩევლის განაწყენება. როგორც ცნობილია, წარსულში ლათინური ამერიკიდან იმიგრირებული მოქალაქეები აშშ-ში ყველაზე მზარდ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ. **ბი-ბი-სი**

### მოკლედ

#### ანჩის სახარება და თამარ მეფის სიგელი სამებაში დააბრძანეს

გუშინ, 14 მაისს, თამარობის დღესასწაულთან დაკავშირებით ანჩის სახარება და გელათის მონასტრის ბერებისათვის სოფელ ჭორვილას შეწირულობის თამარ მეფის სიგელი საპატრიარქოდან სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს. სახარებასა და სიგელს შემდეგ საისტორიო არქივში დააბრუნებენ. თამარ მეფის სიგელი და ანჩის სახარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივიდან 11 მაისს საქართველოს საპატრიარქოში გადაასვენეს. თამარის სიგელი 1189 წელს არის შესრულებული ტყავზე, მხედრულით. იგი წარმოადგენს სოფელ ჭორვილას შეწირულობის სიგელს, რომელიც გამოცემულია თამარ მეფის მიერ გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი და დამტკიცებულია თამარის ხელრთვით. ამ სიგელით თამარმა გელათის მონასტერში სარჩოს გარეშე მყოფ 12 ბერს მუდმივი შემოსავალი - სოფელ ჭორველას გამოსაღების ნაწილი გაუჩინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### პენსიონერთა დასვენების კერა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციისა და თბილისის მერიის კულტურის, სპორტისა და განათლების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, გუშინ, თბილისში, წერონისის ქუჩის N-164-ში მდებარე N42-ე ბიბლიოთეკაში პენსიონერთა აქტიური დასვენების კერა გაიხსნა. ნაძალადევის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის რევაზ უმფრიანის განცხადებით, მსგავსი დაწესებულება ხელს შეუწყობს პენსიონერთა აქტიურ დასვენებას. პენსიონერებისთვის შეიძინენ გაზეთებს. ჩატარდება ტურნირები ჭადრაკში, შაშში.

გუშინვე, პენსიონერებმა ჭადრაკში სახელდახელო ტურნირი გამართეს.

პენსიონერთა აქტიური დასვენების კერა კვირის ყველა დღეს, გამოსასვლელი დღეების გარეშე იმუშავებს და მის ფუნქციონირებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დააფინანსებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### გამგებლის ახალი მოადგილე

თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილედ მთაწმინდა-კრწანისის ახლად გათავისუფლებული გამგებელი დაინიშნა. კვირის ბოლოს ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი რეზერვისტთა ბანაკიდან მოადგილის წარსადგენად სპეციალურად ჩამოვიდა. მან თანამშრომლებს მთაწმინდა-კრწანისის ყოფილი გამგებელი კახა გურული წარუდგინა. კახა გურული ისანი-სამგორის რაიონში საბინაო კომუნალური მეურნეობის დარგში იქნება გამგებლის მოადგილე. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### არამწეველები მწეველების წინააღმდეგ

15 მაისიდან თამბაქოს მოხმარების შედეგად დაზარალებულ ყოველ მოქალაქეს, შეუძლია თამბაქოს მწარმოებლებს ზარალის სრული კომპენსაცია მოსთხოვოს. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის, თამბაქოს კონტროლის ალიანსის და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლების განცხადებით, 15 მაისიდან ძალაში შედის „თამბაქოს კონტროლის საერთაშორისო ჩარჩო-კონვენცია“, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 16 დეკემბერს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის თანახმად, „თამბაქოს ინდუსტრია ვალდებულია მოახდინოს თამბაქოს წევით მიყენებული ზარალის სრული კომპენსაცია“. თამბაქოს მოხმარების მოწინააღმდეგეები მოუწოდებენ ყველა თამბაქოს მომხმარებელს, ან მათი ოჯახის წევრებს, შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერის მისაღებად მიმართონ. „იმ შემთხვევაში, თუ თამბაქოს ინდუსტრია არ დააკმაყოფილებს ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს, 15 ივნისიდან დავიწყებთ სამართლებრივ პროცესებს, რაც თამბაქოს ინდუსტრიას სრულ კოლაფსში ჩააგდებს“, - აცხადებენ თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. **ინტერპრესნიუსი**

#### აკვა-პარკი 26 მაისს

თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციისა და ბეჟანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე აკვა-პარკის მშენებლობა მიმდინარეობს. გასართობი ცენტრის ერთი ნაწილის, კერძოდ, აუზის გახსნა 26 მაისისთვის იგეგმება.გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის, თენგიზ კუჭუხიძის განცხადებით, აკვა-პარკი გაშენდება 20 ჰექტრამდე ტერიტორიის ფართობზე. პირველ ეტაპზე გაიხსნება აუზი, მოგვიანებით კი დანარჩენი შენობა-ნაგებობები. აკვა-პარკი კერძო მშენებლობის კატეგორიას მიეკუთვნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა და დემოკრატიის რეგრესი

თომას ფრიდმანი
*ნიუ იორკ თაიმსი*



შეიძლება, თქვენ ვერც კი ამჩნევთ, მაგრამ ცუდი ტიპები დღეს ძალიან ლაღად ცხოვრობენ, თუ უხვად აქვთ ნავთობი. ნავთობდოლარებში მობანავე ირანი ენას უყოფს გაერო-ს ყველა მოთხოვნას, რომ თეირანმა შეწყვიტოს ბირთვული ავანტიურა და ისრაელის მიმართ ყოველდღიური მუქარა, პირისაგან მიწისა მისი აღგვის თაობაზე. ნავთობდოლარებში მობანავე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი თავის პოლიტიკურ ოპონენტებს ციხეში სვამს და კოჭს უგორებს ამერიკის ისეთ ოპონენტებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ირანი და „ჰამასი“. ნავთობდოლარებში მობანავე სუდანი იგნორირებას უკეთებს მსოფლიო თანამეგობრობის თხოვნას დარფურში გენოციდის შეწყვეტის თაობაზე. ნავთობდოლარებში მობანავე ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ჯანდაბაში აგზავნის ამერიკასა და თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. ხოლო ნიგერია, უზბეკეთი, ანგოლა, საუდის არაბეთი, ჩადი და სირია, - ნავთობით ან გაზით მდიდარი ქვეყნები, - დემოკრატიზაციის გზაზე თუნდაც პატარა ნაბიჯის გადადგმაზეც კი უარს ამბობენ.

ამ შემთხვევაში თვალშისაცემია გარკვეული კანონზომიერება. როდესაც ბერლინის კედელი დაინგრა, ბევრი ვარაუდობდა, რომ ამიერიდან თავისუფალი არჩევნები და კერძო ბაზარი მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა. ათწლეულების განმავლობაში ეს ტალღა მართლაც ძლიერი და რეალური ჩანდა. თუმცა, როდესაც ერთ ბარელ ნავთობზე ფასი 20-40 დოლარიდან 40-70 დოლარამდე გაიზარდა, მსოფლიოში წარმოიქმნა არც თუ სასიამოვნო შემხვედრი ტალღა. „ნავთობქვეყნებმა“, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ნავთობსა და გაზზეა დამოკიდებული, ხოლო სამოქალაქო ინსტიტუტები დასუსტებულია (თუ საერთოდ არ არის ჩანაცვლებული ავტორიტარული სისტემით), პოზიციები საკმაოდ გაიმყარეს. ამით კი, ისინი, უკიდურეს შუმთხვევაში, ამჟამად, ასუსტებენ დემოკრატიზაციის მსოფლიო ტენდენციას. ეკონომისტები უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებზე შეიძლება ბუნებრივი რესურსებების სიჭარბემ მოახდინოს, - ეს არის ე.წ. „რესურსების წყევლა“. მაგრამ, როდესაც საქმე ნავთობს ეხება, ეს არგუმენტი შეიძლება უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს: როგორც ირკვევა, არსებობს კავშირი ნავთობის ფასსა და დემოკრატიის განვრცობას შორის. მე ამას სანავთობო პოლიტიკის პირველ კანონად მოვნათლავდი, რომელიც ასე ჟღერს: ნავთობის ფასსა და ნავთობმომპოვებულ ქვეყნებში თავისუფლების დონეს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს.

ამ კანონის თანახმად, რაც უფრო მაღალია ფასი ნედლ ნავთობზე, მის მფლობელ ქვეყნებში მით უფრო ემუქრებიან სიტყვის თავისუფლებას, თავისუფალი არჩევნების ინსტიტუტს, შეკრების თავისუფლებას, სასამართლოების დამოუკიდებლობას. ჯანსაღ დემოკრატიებში, თუნდაც ნავთობით მდიდარში, ასე არ ხდება. პირიქით, ჩემს მიერ დადგენილი კანონიდან გამომდინარე, რაც უფრო ეცემა ნავთობის ფასი, ნავთობმწარმოებელი ქვეყნები მით უფრო იძულებულები არიან, მიუახლოვდნენ ისეთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობას, რომელსაც ახასიათებს გამჭვირვალება, ოპოზიციური აზრისთვის ანგარიშის გაწევა, მჭიდრო კონტაქტები გარემომცველ სამყაროსთან და დიდი მობილიზება საგანმანათლებლო და სამართლებრივი სისტემების შესაქმნელად.

ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკის ფორმირებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მაგრამ განა შემთხვევითია, რომ როდესაც ერთი ბარელი ნავთობი 20-40 დოლარი ღირდა, ირანი „ცივილიზაციების დიალოგის“ მოწოდებით გამოდიოდა, მაგრამ როდესაც ნავთობის ფასი 70 დოლარამდე ავარდა, თეირანი ისრაელის განადგურების ინიციატივით გამოდის? როდესაც ნავთობი 20-40 ღირდა, ჩვენ გვყავდა „პუტინ პირველი“. ეს ის პუტინია, რომელსაც 2001 წელს ბუშმა თვალებში ჩახედა და მისი სული დაინახა. ბუშმა ახლა რომ ჩაიხედოს პუტინის სულში, - „პუტინ მეორის“ სულში, რომელშიც ერთი ბარელი ნავთობი 70 დოლარი ღირს, - მის სიღრმეში ის „გაზპრომს“ დაინახავს. პუტინის რეჟიმმა შთანთქა გაზის მონოპოლია, აგრეთვე ოდესღაც თავისუფალი მასმედიისა და ინსტიტუტების დიდი ნაწილი. მართალია, სულ უფრო გათამამებული „ნავთოკრატები“ დასავლეთისთვის არ წარმოადგენენ ისეთ სტრატეგიულ ან იდეოლოგიურ საფრთხეს, როგორსაც თავის დროზე კომუნიზმი, მაგრამ გლობალურ პოლიტიკაზე მათი გავლენა მაინც საკმაოდ დამღუპველია. ზოგიერთ საშინელ რეჟიმს ახლა იმდენი ფული აქვს, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეეძლება ბოროტი საქმეების კეთება, ბევრი ღირსეული დემოკრატიული ქვეყანა კი იძულებულია, მას ნავთობისა და გაზის მისაღებად მიეტმასნოს.

ნავთობზე ფასისა და ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში თავისუფლებების გავრცელების უკუპროპორციულობის გათვალისწინებით, აშშ-ს ყველა მცდელობა, მიმართული ამ რეგიონებში დემოკრატიების განსამტკიცებლად, დასაღუპად არის განწირული, თუ გათვალისწინებული არ იქნება ნავთობის ალტერნატივა და არ გატარდება ღონისძიებები „შავ ოქროზე“ მსოფლიო ფასის დასაწევად. ნავთობის ფასი მუდმივად უნდა აღელვებდეს არა მარტო ენერგეტიკის მინისტრს, არამედ სახელმწიფო მდივანსაც. დღეს უკვე აღარ შეიძლება იყო დემოკრატიის დამცველი-იდეალისტი, თუ, ამავე დროს, არ იქნები გარემოს დამცველი და ენერგიის ეფექტურად გამოყენებით დაინტერესებული.

# პუტინი შემცვლელს დაასახელებს

*რუსეთის პრეზიდენტი მემკვიდრეს აუცილებლად დაასახელებს, მაგრამ - მოგვიანებით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ასეთი პირობა ვლადიმირ პუტინმა რუს ტელეჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე დადო.*

გუშინ სოჭში, რუსეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში, სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რუსული მედიის უამრავმა ცნობილმა სახემ მოიყარა თავი. შესაბამისად, პრეზიდენტთან შეხვედრა ინტერვიუდ იქცა, სადაც პუტინმა პოლიტიკური განცხადებები გააკეთა.

პუტინი შემცვლელზე, თურმე, 2000 წლიდან ფიქრობს. **„და ახლაც ვფიქრობ. მე გარკვეული წარმოდგენა მაქვს იმის შესახებ, როგორ უნდა დაეწყოს სიტუაცია ქვეყანაში დროის ამ პერიოდის განმავლობაში. მდგომარეობის დესტაბილიზაცია არ შეიძლება, არ უნდა შევაშინოთ ხალხი,“** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. მისი თქმით, **„სტაბილურობა ყველასთვის მნიშვნელოვანია და ყველა უფიქრდება იმას, თუ რა მოხდება 2008 წლის შემდეგ.“**

პუტინი პრეზიდენტობის ფავორიტ კანდიდატს არჩევნების წინ დაასახელებს. **„არ შემიძლია ვიმოქმედო პრინციპით - თანამდებობა დავტოვე, დანარჩენს თქვენ მიხედეთ. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ბოლო წუთამდე ჩემს მოვალეობას პირნათლად შევასრულებ. მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც მოქალაქეებს ეკუთვნით. არ შეიძლება ხალხს ვინმე თავზე მოვახვიოთ, რეაქცია შეიძლება საწინააღმდეგო იყოს“**, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინმა აღნიშნა, რომ, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ამა თუ იმ კანდიდატის თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს და ამას აუცილებლად გააკეთებს. თუმცა, მას არც ამჯერად გაუკეთებია მინიშნება მომავალი კანდიდატის ვინაობის თაობაზე.

გასულ კვირაში, სახელმწიფო სათათბიროს წინაშე პუტინის საპროგრამო გამოსვლის კომენტირებისას, ზიგიერთი რუსი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ პუტინმა დასახა ამოცანები მესამე საპრეზიდენტო ვადისათვის, რადგან მის მიერ წარმოდგენილი პროგრამა დროის გაცილებით დიდ პერიოდს ითვალისწინებს, ვიდრე მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა. გარდა ამისა, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, პოპულარულ სოციალურ თემებზე აქცენტის გაკეთება სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო კამპანია პუტინის მესამე ვადით არჩევისათვის.

სამაგიეროდ, სხვა ექსპერტების მოსაზრებით, პუტინს უარი არ უთქვამს მემკვიდრის ძიებაზე, ხოლო ორი პრიორიტეტული თემა, რომელზეც პუტინმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება - დემოგრაფიული სფერო და თავდაცვა, ადასტურებს, რომ შესაძლო მემკვიდრეებად ვიცე-პრემიერი დიმიტრი მედვედევი და თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი მოიაზრებიან.

*24 საათი*




# საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართალი

## რამდენად გამართლებულია სამხედრო ძალის გამოყენება ირანის წინააღმდეგ?



თეა მაისურაძე

ბოლო პერიოდში მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის ყველაზე აქტუალურ თემას ირანის ბირთვული პროგრამა წარმოადგენს. დასავლეთი ამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარებას უჭერს მხარს და ირანის წინააღმდეგ სანქციების მიღების მომხრეა, თუმცა დღემდე გარკვეული კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ასევე გერმანია, რომელიც არ არის გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, პარასკევს ლონდონში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ აღნიშნულ პრობლემას და კიდევ ერთხელ შეეცდებიან კონკრეტული შედეგის მიღწევას. თუმცა ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ ის დასავლეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ლეგალურად არ მიიჩნევს, ვინაიდან: **„აშშ და ევროპის ქვეყნები ისე იქცევიან, როგორც იქცეოდნენ სახელმწიფოები კოლონიალიზმის ეპოქაში“**.

აშშ ხშირად მიმართავს მუქარას და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო არ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ირანის დოსიესთან დაკავშირებით, მაშინ ის საბჭოს გვერდს აუვლის და დამოუკიდებლად იმოქმედებს.

ამ მხრივ არსებული დაძაბულობის ფონზე ხშირად ისმის კითხვა: გამოიყენებს თუ არა აშშ სამხედრო ძალას ირანის წინააღმდეგ და იქნება თუ არა ამგვარი ქმედება ლეგალური საერთაშორისო სამართლის პრონციპების მიხედვით? საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეისათვის აშშ-ს ადმინისტრაცია გამორიცხავს ყოველგვარ სამხედრო თავდასხმას „“აგრესორ“ ისლამურ რესპუბლიკაზე. დონალდ რამსფელდი ამგვარ განცხადებებს და ვარაუდებს „ფანტაზიის ნაყოფს“ უწოდებს და მსგავს ქმედებებს გამორიცხავს, თუმცა წარმოუდგენელი არაფერია, განსაკუთრებით კი, არსებული დაპირისპირების ფონზე.

ჯერ კიდევ 2003 წლის 13 აგვისტოს ჯორჯ ბუშმა, ისრაელის სახელმწიფო ტელევიზიისათვის მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, განაცხადა, რომ აშშ მზადაა გამოიყენოს სამხედრო ძალა ირანის წინააღმდეგ, რათა მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა მისცეს მსოფლიოს დანარჩენ ხალხებს. ამ მუქარაზე ირანმა თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ნებისმიერი აგრესიის მოგერიება შეუძლიათ. საყურადღებოა, რომ პრეზიდენტ ბუშისაგან შემდგომშიც არაერთხელ ყოფილა ძალის გამოყენების მუქარა ირანის წინააღმდეგ.

თუ ზესახელმწიფო ისლამურ რესპუბლიკაზე თავდასხმას განახორციელებს, მისი არგუმენტი, ალბათ, ის იქნება, რომ გაერო-ს წესდების მიხედვით, მხოლოდ თავდაცვის უფლებას იყენებდა. სავარაუდოდ, ვაშინგტონი განაცხადებს, რომ სწორედ ამის საფუძველზე გადაწყვიტა სამხედრო მოქმედებების დაწყება აგრესიული ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო ჰეგემონის, არამედ მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა.

გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით: **„იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს რომელიმე წევრ სახელმწიფოზე ხორციელდება შეიარაღებული თავდასხმა, ამ წესდების ვერც ერთი პუნქტი ვერ შეასუსტებს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ბუნებრივ უფლებას, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს ყველა ზომას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამყარებლად.“** ანუ გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებს აქვთ უფლება, სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენონ ძალა აგრესიის წყაროს წინააღმდეგ. მართალია, მოცემულ შემთხვევაში ირანი აშშ-ზე არანაირ შეიარაღებულ თავდასხმას არ ახორციელებს, მაგრამ აშშ-ს მაინც შეუძლია თავის გადაწყვეტილება გაამართლოს „პრევენციული ქმედებით“ - იგი ხომ 2002 წლის შემდეგ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მიღებული ბუშის დოქტრინა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აშშ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს პრევენციულ დიპლომატიას, რაც თავდაცვას ემსახურება. ჰეგემონს შეუძლია ირანზე თავდასხმის არგუმენტად ისრაელის დაცვაც მიიყვანოს, რომელიც უფრო მეტად დგას საფრთხის წინაშე, ვიდრე თვითონ ჰეგემონი სახელმწიფო. ვინაიდან, გაერო-ს წესდების მიხედვით, შესაძლებელია სახელმწიფოებმა კოლექტიური თავდაცვის მიზნით გამოიყენონ ძალა იმ შემთხვევაში, თუ აგრესორის მსხვერპლი სახელმწიფო ითხოვს დახმარებას.

თუმცა, ამგვარი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროპის ქვეყნები აშშ-ს მხარს დაუჭერენ, ხოლო რაც შეეხება რუსეთსა და ჩინეთს, მათგან ამგვარი ქმედება სავსებით გამორიცხულია, რადგან ისინი არათუ სამხედრო ძალის გამოყენებას, არამედ სანქციებსაც კი ეწინააღმდეგებიან ირანის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს ვეტოს უფლების მქონე ეს ორი წევრი-ქვეყანა მხარს არ უჭერს არც ერთ ისეთ ნაბიჯს, რაც შემდეგში შესაძლოა, გახდეს სამხედრო ქმედებების საფუძველი.

მნიშვნელოვანია ისიც, იქნება თუ არა აშშ-ს არგუმენტები გამართლებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით? რა თქმა უნდა, არა, რადგან საერთაშორისო სამართალი უშვებს ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით, თუ საფრთხე მეტად ახლოს არის და, ამავდროულად, აშკარაა. იმ შემთხვევაში, თუ არსებული საფრთხე შორსაა და არაა აშკარად გამოკვეთილი, სამხედრო ძალის გამოყენება გამართლებულად არ ჩაითვლება. ირანის მიერ ურანის გამდიდრების პროგრამა კი არ შეიძლება რეალურად და აშკარად არსებულ საფრთხედ ჩაითვალოს ამ ეტაპზე.

ირანთან ურთიერთობის უფრო დაძაბვა სავსებით მოსალოდნელია თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი ახალი პრეზიდენტი, ქვეყნის სათავეში 2003 წელს ტრიუმფალური გამარჯვებით მოსული მაჰმუდ აჰმადინეჯადი, ძალზედ აფასებს მუსლიმურ ღირებულებებს და იცავს მათ. პრეზიდენტი აშკარად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას დასავლეთის (განსაკუთრებით, აშშ-ს) მზარდი გავლენისადმი მთელს მსოფლიოზე.

ირანის პრეზიდენტის საგარეოპოლიტიკურ კურსში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აშშ-სთან ურთიერთობების გაყინვაა მიჩნეული, მანამდე, ვიდრე ამერიკა „არ ისწავლის“ ირანის ეროვნული ინტერესების პატივისცემას. აშშ-სგან კი დათმობაზე წასვლა ნაკლებად მოსალოდნელია. თეთრი სახლის განცხადებებით, მაჰმუდ აჰმადინეჯადი მიეკუთვნებოდა იმ ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელმაც 1979 წელს განახორციელა აშშ-ს საელჩოზე ტერორისტული თავდასხმა და, რომლის შემდგომაც აშშ-მ დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა თეირანთან.

# როგორ გვიბრუნებდა რუსეთი აფხაზეთს

პირველი გვერდიდან

მაგრამ სტუმრები ასეთი პასუხისათვის მომზადებულნი აღმოჩნდნენ. „ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმა გვაქვს,“ - განაცხადა იგივე პოლიტოლოგმა და ერთობ ორიგინალური პროექტი წარმოგვიდგინა: საქართველოს იურისდიქციიდან გადიოდა ყველა მისი რეგიონი (არა მხოლოდ აფხაზეთი, არამედ იმერეთიც, ქართლიც და საერთოდ ყველა), შემდეგ ნებაყოფლობით ყველანი ერთიანდებოდნენ. ანუ, ამ პროექტის იდეა ის იყო, რომ იმერეთი თუ ქართლი დროებით დე ფაქტო აფხაზეთს უტოლდებოდნენ და ეს ყველა მათგანის გაერთიანებას აიოლებდა.

მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ ამ გეგმის ავტორები საქართველოს სიძულვილით ავსებული ტიპური შოვინისტები იყვნენ, რომელთაც ხშირად ვხედავთ ეკრანზე. სრულიადაც არა: ესენი გახლდნენ საკმაოდ ნორმალური მსოფლმხედველობისა და მეტად მაღალი დონის პოლიტოლოგები. მაგრამ იმდროინდელი საქართველო, თავისი საკმაოდ გამოკვეთილი პროდასავლური კურსის მიუხედავად, იმდენად სუსტი სახელმწიფო იყო, რომ ნორმალური რუსი პოლიტოლოგებიც კი საკუთარ თავს ასეთი პროექტის წარმოდგენის უფლებას აძლევდნენ. ხელისუფლება მაშინ იშვიათად იღებდა ხმას აფხაზეთისა თუ ცხინვალის გამო, აბაშიძის რეჟიმის გამოისობით კი, აჭარაც სულ უფრო და უფრო სცილდებოდა თბილისის პოლიტიკურ ორბიტას და მოსკოვში უკვე საქართველოს მთლიან დაშლაზეც საუბრობდნენ ხოლმე. პროექტი სრული სერიოზულობით და ალბათ მისი განხორციელების იმედითაც იქნა წარმოდგენილი. ქართულ მხარეს სემინარზე ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის რამდენიმე მაშინდელი თანამშრომელი წარმოვადგენდით და სტუმრები იმედოვნებდნენ, რომ ჩვენი მეშველობით „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ მათი გეგმა პრეზიდენტ შევარდნაძემდე მივიდოდა. მერე კი იქნებ...

იმ გარემოებამ, რომ საქართველო ადრე თითქმის ხმას არ იღებდა აფხაზეთსა თუ ცხინვალზე, ერთობ უარყოფითი როლი ითამაშა მოსკოვ-თბილისის ურთიერთობებში: აფხაზეთის წართმევას არა მარტო რუსეთის პოლიტიკური წრეები, არამედ რუსეთის მთელი მოსახლეობა შეეგუა. ახლა ამ საკითხის პრინციპულად დაყენებამ საქართველოს ახლანდელი ხელისუფალნი ლამის კრიმინალებად წარმოაჩინა რუსეთის თვალში. მაგრამ რა ვუყოთ, რომ სხვანაირად არ გამოდის.

ამ ვითარებას სხვა თუ არაფერი, ერთი პლუსი მაინც აქვს: ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ერთხელ როგორღაც კიდევ მომიხდა მსგავს ქართულ-რუსულ სემინარზე დასწრება. იქ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ორიგინალური გეგმები აღარ წარმოუდგენიათ...

მოკლედ

### ჯავის პოლიციის თანამშრომელს პატიმრობა შეუფარდეს

დიდი ლიახვის ხეობაში დაკავებულ ოს მილიციელს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სოფელ ქურთის პოლიციის თანამშრომლებმა ცხინვალი-ჯავის საავტომობილო მაგისტრალზე „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელსაც ჯავის მილიციის სამძებროს თანამშრომელი ოლეგ ჯაბიევი მართავდა. მანქანა თბილისიდან 10 დღის წინათ გატაცებული აღმოჩნდა. ავტომანქანა ცხინვალში ერთი წლის წინანდელი თარიღით იყო რეგისტრირებული. ოსური მხარე კატეგორიულად ითხოვდა დაკავებული ოსი მილიციელის გადაცემას. თუმცა, ქართულმა მხარემ დაკავებული შემოვლითი გზებით გორში გადმოიყვანა. ამჟამად, იგი გორის იზოლატორშია მოთავსებული და სასამართლომ მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ოსი ძალოვანის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში არა მარტო ბანდიტები და ყაჩაღები, არამედ პოლიციელებიც ახერხებენ მოპარული ავტომანქანების ყიდვას, მაქანების ყალბი საბუთების გაფორმებას და თავისუფლად გადაადგილებას.

„თუ ამ საკითხებზე სასაუბროდ ოსური მხარე მზად არის და ამავდროულად მზად არიან კონფლიქტის ზონაში დაიცვან როგორც ოსი, ასევე ქართველი ეროვნების მოქალაქეების უსაფრთხოება, მე მზად ვარ ნებისმიერ ადამიანს ვესაუბრო, ვისაუბრო ყველასთან, თუ საუბარი წაადგება მშვიდობას და სტაბილურობას,“ - განაცხადა მერაბიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

### ნარკოზით დაღუპულთა საქმეს სამართალდამცველები გამოიძიებენ

ბოლო დროს საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოზის ჭარბი რაოდენობით მიღების გამო რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში, ერთი კვირის წინ, 30 წლის მშობიარე ნანა ყოლბაია საკეისრო კვეთის დროს გარდაიცვალა. მანამდე, ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის კლინიკაში, 17 წლის გოგონა, ეთერ მირასაშვილი კატარაქტის ოპერაციის დასრულების შემდეგ დაიღუპა. წინასწარი ინფორმაციით, ისინი ერთი და იმავე მიზეზით - დიდი რაოდენობით ნარკოზის მიღებით გარდაიცვალნენ.

„ნანა ყოლბაიას და ეთერ მირასაშვილის გარდაცვალების ფაქტებს სამართალდამცველები იძიებენ. ვინაიდან, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ჩვენი, როგორც მაკონტროლებელი სამსახურის ფუნქცია შეზღუდულია. თუ სამართალდამცველი ორგანოები საჭიროდ ჩათვლიან ჩვენს საქმეში ჩართვას, სამინისტრო ამისთვის მზად არის. სხვა შემთხვევაში, ჩვენ გამოძიების დასრულებას დაველოდებით“, - განაცხადა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსმა გია თვალაძემ. **მედიანიუსი**

### საპირისპირო ჩვენება

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი, რომელიც ჩოგბურთის კორტებთან, 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის თვითმხილველი იყო, ახალ დეტალებზე საუბრობს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა ნათია ხაინდრავამ განაცხადა, რომ იგი 2 მაისს, დილით, ტაქსით მგზავრობდა. ჩოგბურთის კორტებთან, შუქნიშნის წითელ შუქზე, ტაქსის მძღოლი სავალი გზის ერთ-ერთ ზოლში გაჩერდა, მათგან მარცხნივ კი შავი ფერის ავტომანქანა შეჩერდა, რომელსაც იარაღით შავ ქურთუკში ჩაცმული მამაკაცი მიუახლოვდა.

„ეს პიროვნება ზურგს უკან იარაღს მალავდა, მოულოდნელად ავტომანქანისკენ მიმართა იარაღი, რის შემდეგაც ატყდა სროლა, თუმცა ამ დროს ბრმა ტყვიის მოხვედრისგან თავის არიდების მიზნით, ავტომანქანაში დავიმალე და არ დამინახავს თუ ვინ, როდის, რა მიმართულებით ისროდა. სროლა რამდენიმე წამის განმავლობაში გაგრძელდა, პაუზის შემდეგ, როცა ამოვიხედე, შავი მანქანა ჩვენგან მარცხნივ აღარ იდგა. ავტომანქანა ჩოგბურთის კორტების კედლის მახლობლად შუქნიშნის ბოძს იყო შეჯახებული. სროლა ისევ განახლდა. ავტომანქანის გარშემო სპეცრაზმისა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული თანამშრომლები იმყოფებოდნენ“, - აცხადებს ნათია ხაინდრავა.

მოწმემ ჩვენება თბილისის პორკურატურის გამომძიებელს ვალერი ლაცუზბაიას მისცა.

შეგახსენებთ, რომ 2 მაისს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა. დაღუპულია ორი ახალგაზრდა, ალექსანდრე ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი, ხოლო მძიმედ დაიჭრა ბუბა ბუთურიძე, რომელსაც მეორე ოპერაცია ჩაუტარდა. შსს-ს კრიმინალური პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული პირები ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები არიან და ისინი 2 მაისს კიდევ ერთი დანაშაულის ჩადენას ცდილობდნენ. ოფიციალური ინფორმაციით, შს სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული დანაშაული თავდასხმამდე აღეკვეთა, ეჭვმიტანილები დაეკავებინათ, თუმცა მათ შეამჩნიეს სამართალდამცველთა ჯგუფი და ცეცხლი გახსნეს, ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა ორი და დაიჭრა ერთი ეჭვმიტანილი. **ინტერპრესნიუსი**

### დაჭრილის ნახვის უფლება დედას არ ეძლევა

2 მაისს სანაპიროზე, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაჭრილი ბუბა ბუთურიძის ნახვის უფლება დაჭრილის დედას კვლავ არ ეძლევა. დაკავებულის დედის თამარ ბუთურიძის განცხადებით, მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია, თუმცა თბილისის N1 კლინიკურ საავადმყოფიში მას ბადრაგი იცავს და ოჯახის წევრებს მონახულების უფლებას არ აძლევს.

„მე ჩემს შვილს თვალს მხოლოდ ტელევიზიის საშუალებით თუ მოვკრავ, თორემ შეხვედრის საშუალება დღემდე არ მეძლევა. ჯერჯერობით დაჭრილი მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსიის გავლას ისევ კლინიკური საავადმყოფოს პირობებში საჭიროებს, ამიტომ იგი ჯერ პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში არ გადაჰყავთ,“ - განაცხადა თამარ ფუთურიძემ.

ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მძიმედ დაჭრილი ბუბა ბუთურიძე ამ დრომდე თბილისის N1 კლინიკურ საავადმყოფოში რჩება. ბუთურიძე ქირურგიულ განყოფილებაში იმყოფება. **ინტერპრესნიუსი**

### ექსტრადიცია ესპანეთიდან

ესპანეთში დაკავებული ქართველი „კანონიერი ქურდის“ - მერაბ გოგიას ექსტრადიცია საქართველოში უახლოეს ხანებში მოხდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველი სტრუქტურები შესაბამის დოკუმენტებზე მუშაობას უკვე ასრულებენ.

როგორც ცნობილია, მერაბ გოგია, მეტსახელად „მელია“, ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა. მასზე ძებნა 3 მაისს გამოცხადდა. მას სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი აქვს წაყენებული, რაც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას გულისხმობს.

მერაბ გოგია მეუღლესთან, ეკატერინე ჭეიშვილთან ერთად მადრიდში დააკავეს. ამ დროისთვის მზადდება შესაბამისი მასალები საქართველოში მათი ექსტრადიციისთვის. **მედიანიუსი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მ\წლის 9 მაისს გაზეთ “24 საათში" გამოქვეყნებულ 30 ახალი სასკოლო ავტობუსების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

| ლოტი | დასახელება | რაოდენობა | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| I | ავტობუსი | 28 | არანაკლებ 21 |
| II | ავტობუსი | 2 | არანაკლებ 35 |

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

# შს მინისტრმა ყაზარმა გახსნა

*ვანო მერაბიშვილი ოფიციალური ვიზიტით დღეს გერმანიას ესტუმრება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თავის გერმანელ კოლეგას, ვოლფგანგ შოიბლეს შეხვდება. ქართველი და გერმანელი მინისტრები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელებენ.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გერმანიაში გამგზავრებამდე ვანო მერაბიშვილი გორის რაიონში იმყოფებოდა, სადაც კონფლიქტის ზონიდან რამდენიმე კილომეტრში, სოფელ კარალეთთან პოლიციის განყოფილება გახსნა. შს მინისტრი გორში ჩასვლამდე ზაჰესს ეწვია და ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი პოლიციის განყოფილება ზაჰესშიც გახნა.

კარალეთში პოლიციის განყოფილების გახსნისას ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ახალ ყაზარმაში სპეცდანიშნულების რაზმი განთავსდება, რომელიც რეგიონის მოსახლეობას დაიცავს და აქტიურად გააკონტროლებს სიტუაციას, რათა ოსური მხრიდან არ მოხდეს ქართული საზოგადოების შევიწროება.

სოფელ კარალეთთან გახსნილ შენობაში რეგიონის განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყაზარმა განთავსდება, რომელიც 300 კაცზეა გათვლილი. ყაზარმა უახლოესი მოდელის აპარატურით არის აღჭურვილი.

**„ყველანაირი პირობაა იმისთვის შექმნილი, რომ სამართალდამცველებმა კარგად იმუშაონ და გმირობის ტოლფასი საქმეები აკეთონ. ეს ბიჭები ყოველდღიურად საფრთხეს უყურებენ თვალებში. ჩვენ მათ შევუქმნით საუკეთესო პირობებს, რომ საკუთარი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ“,** - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

საგანგებოდ ჩატარებული ალლუმის ჩაბარების შემდეგ, შს მინისტრმა ახალი შენობები მოინახულა და სპორტულ დარბაზშიც „მოსინჯა ძალები“.

ვანო მერაბიშვილის თქმით, საქართველოს ორმოცდაათამდე რაიონში იწყება პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა და აღჭურვილობის განახლება. შიდა ქართლის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარაში ჩავა, სადაც პოლიციის ახალი შენობების აშენება იწყება.

# საქმე, რომელმაც პროკურატურაც გააკვირვა

*ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა მალე დაასრულებს გამოძიებას და განსახილველად სასამართლოში გადააგზავნის ერთობ უჩვეულო საქმეს, რომლის გამოძიების დროსაც განვითარებულმა ისტორიამ გამომძიებლებიც კი გააოცა.*

თამარ კაციტაძე

რამდენიმე კვირის წინათ, შუაღამისას, ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილებაში ცოლ-ქმარი - ზაზა მეტრეველი და ნ.კ. (ეთიკური მოსაზრებით ცოლის ვინაობას არ ვასახელებთ) გამოცხადდნენ და სამართალდამცველებს მათი დაყაჩაღების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

დაზარალებულ ნ.კ.-ს ჩვენებით, რასაც მოწმის სტატუსით დაკითხული მისი მეუღლეც ადასტურებდა, დანაშაული პოლიციაში მისვლამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა.

**„მე და ჩემი ქმარი ინფექციურ საავადმყოფოში ვიყავით, საიდანაც ღამის 12 საათზე გამოვედით. სახლში მცირეწლოვანი შვილები მყავდა დატოვებული. ზაზა საქმეზე მიდიოდა, მე ტაქსი გამიჩერა, მძღოლს მუხიანში გასაყვანად 7 ლარი გადაუხადა და თან, ყოველი შემთხვევისთვის, მანქანის ნომერიც ჩაიწერა. ტაქსი ვაკის მიმართულებით წავიდა, რაც გავაპროტესტე. წყნეთის გზაზე რომ ავედით, მძღოლმა მანქანა გააჩერა, პისტოლეტი მომაბჯინა და ფული და ოქროულობა მომთხოვა, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი მოკვლით მემუქრებოდა. მანქანიდან გადმოხტომა მოვახერხე, გამოვიქეცი და მომხდარის შესახებ ქმარს მობილური ტელეფონით შევატყობინე,“** - ასეთი იყო ცოლის პირველი ჩვენება, რასაც ქმარიც დაეთანხმა.

დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე მაშინვე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა, რის შემდეგაც საქმის გამოძიებაში ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა ჩაერთო და დამნაშავის ძებნაც დაიწყო. ზაზა მეტრეველის მიერ გადაცემული მანქანის ნომრების საფუძველზე გამოძიებამ მძღოლის ვინაობა დაადგინა და იგი დასკითხად დაიბარა.

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ნ.შ. (მის ვინაობასაც არ ვასახელებთ) სამართალდამცველებთან გამოძახებისთანავე გამოცხადდა და წინა ღამის ინციდენტთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული ისტორია მოყვა.

დაკითხულის ჩვენებით, იგი დასახელებულ დროს მართლაც იყო ინფექციურ საავადმყოფოსთან, სადაც გაურიგდა ერთ-ერთ მეძავს, მანქანაში ჩაისვა და წყნეთის მიმართულებით წავიდა. ვინაობის დასახელების შემდეგ ქალმა მას მომსახურებაზე უარი განუცხადა და მანქანიდან გადახტა. ამის შემდეგ ნ.კ. სახლში წავიდა და ქალის ასავალ-დასავალით აღარ დაინტერესებულა.

განსხვავებული ჩვენების შემდეგ გამოძიებამ დაზარალებულის და ეჭვმიტანილის დაპირისპირება ჩაატარა.

**„დაპირისპირებისას ქალმა როცა გაიგო მძღოლის დაპატიმრებას ვაპირებდით, ტირილი დაიწყო და სიმართლე განაცხადა, რაც ჩვენთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა,“** - გვითხრა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა მამუკა გვარამიამ.

ნ.კ.-ს თქმით, წლების წინათ იგი ვაჭრობდა და ასე არჩენდა ქმარს და ორ შვილს. დაახლოებით ცხრა წლის წინათ კი ქმარმა მოსთხოვა ახალი ხელობა - პროსტიტუცია დაეწყო და ამით ოჯახის შემოსავალი გაეზარდა.

**„ძალიან გავბრაზდი და უარი ვუთხარი, ქმარმა საშინლად მცემა, რის გამოც შვილებთან ერთად გავიქეცი და საცხოვრებლად დედასთან გადავედი. სახლში ოთხი თვის შემდეგ დავბრუნდი, იმ იმედით, რომ მეუღლე ასეთ რამეს აღარ მაიძულებდა,“** - წერია ნ.კ.-ს ჩვენებაში.

თუმცა, როგორც დაზარალებული ჰყვება, ცოტა ხანში ზაზა მეტრეველმა იგი მოტყუებით რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე, თითქოსდა, სამსახურის მოსაძებნად წაიყვანა, სადაც ორი ქალი გააცნო. ისინი მეტრეველს იცნობდნენ, როგორც პოლიციის თანამშრომელს. ახალგაცნობილები (რომლებიც მეძავები აღმოჩნდნენ) და მეტრეველი ნ.კ.-ს უმტკიცებდნენ, რომ მეძავობით ერთ დღეში შეუძლია იშოვოს იმდენი ფული, რამდენსაც წვრილმანი ვაჭრობით ერთი თვის განმავლობაში ვერ შოულობდა. მიუხედავადა ამისა, ნ.კ.-მ კვლავ უარი განაცხადა, რის გამოც ქმარი, თურმე, ყოველდღე სცემდა. ბოლოს კი, ზაზა მეტრეველმა მეუღლე იძულებით წაიყვანა ერთ-ერთ აბანოში და კლიენტს, ნ.კ.-ს მომსახურებისთვის 15 ლარი წინასწარ გამოართვა. დაზარალებულის მონათხრობით, ზაზა მეტრეველს იგი კლიენტებთან ყოველდღე ცემით მიჰყავდა და ფულს წინასწარ თავად იღებდა.

დაზარალებულის ჩვენებით, ინციდენტის ღამესაც, როდესაც კლიენტის მანქანაში ჯდებოდა, ქმარიც იქვე იდგა. დაყაჩაღების რეალური ისტორია კი ასე შეითხზა.

**„ნ.შ.-ს ჩემი სურვილით გავყევი. გზაში მან თავისი ვინაობა მითხრა. იგი ერთ-ერთ პიროვნებას მივამსგავსე, რომელმაც ადრე ფული არ გადამიხადა. შემეშინდა და ამიტომ გამოვექეცი. მომხდარი ქმარს რომ ვუთხარი, გაბრაზდა და გადაწყვიტა ამ პიროვნებისთვის ფული სხვა გზით გამოეძალა“**, - ჰყვება ნ.კ.

ჩვენების თანახმად, ზაზა მეტრეველმა ცოლი აიძულა გამოძიებისთვის დაყაჩაღების ვერსია მოეყოლა, თუმცა პიროვნება ზუსტად არ უნდა აღეწერა. სამაგიეროდ, მეტრეველი ნ.შ.-ს დააშანტაჟებდა და ფულს გამოსძალავდა.

დაზარალებულის ამგვარი ჩვენების და საქმეზე სხვა მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ გამოძიების მიმართულება რადიკალურად შეიცვალა. მანქანის მძღოლს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილის სტატუსი საბოლოოდ მოეხსნა. სამაგიეროდ, სისხლის სამართლის საქმე ზაზა მეტრეველის მიმართ ორი მუხლით აღიძრა - ტერფიკინგი და ცრუ დასმენა. მას ამჟამად წინასწარი ორთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება, ანუ ცოლის პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმა და უდანაშაულო ადამიანისთვის ყაჩაღობის დაბრალება დაუმტკიცდება, შესაძლოა მას ხუთიდან თორმეტ წლამდე პატიმრობა დაემუქროს.

# სასამართლო რეფორმის უარყოფითი შეფასება

„ამერიკის იურისტთა ასოციაციამ“ საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა უარყოფითად შეაფასა. სასამართლო რეფორმის 30 მაჩვენებლიდან მოთხოვნა მხოლოდ 2-მა დააკმაყოფილა - მოსამართლეთა შრომის ადეკვატურმა ანაზღაურებამ და საზოგადოებისა და მასმედიისთვის სასამართლო განხილვის საჯაროობამ. 15-მა მაჩვენებელმა კი მკვეთრად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, საქართველოს სასამართლო სისტემის აქილევსის ქუსლად კვლავ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დეფიციტი რჩება.

„ხელისუფლება და პროკურატურა გავლენას ახდენს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეებზე. არც ერთი დონის სასამართლო, მათ შორის, კონსიტუციურიც კი, დამოუკიდებელი არ არის,“ - ნათქვამია ანგარიშში.

მოსამართლეებზე გავლენას ახდენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დევნის მექანიზმების გამოყენებით, და პროკურატურა, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის მოთხოვნისას.

უცხოელ ექსპერტთა აზრით, სასამართლოს დამოუკიდებლობა ილახება მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება უწევთ, მათი არჩევა სუბიექტური კრიტერიუმების მიხედვით ხორციელდება. თემიდას მსახურებს არა მხოლოდ პროფესიული და მორალური რეპუტაციის მიხედვით, არამედ გაურკვეველი და არაგამჭვირვალე სელექციის მიხედვით ნიშნავენ თანამდებობებზე.

სასამართლო სისტემაში არსებული კიდევ ერთი პრობლემა დიდი რაოდენობით არსებული ვაკანსიებია, რაც საქმეების განხილვის პროცესს აფერხებს

ცოტა ხნის წინათ „24 საათი“ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშის შესახებ ვრცლად წერდა. **ჯი-ეიჩ-ენი**



ნოდარ ლადარია

პროფესიონალთა შორის ფართოდაა გავრცელებული ერთი აფორიზმი: „არსებობს ტყუილი, უსინდისო ტყუილი და სტატისტიკა“. ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როცა პირველად წავაწყდი ამ აფორიზმს პოპულარულ კრებულში „ფიზიკოსები ხუმრობენ“. მაშინ მხოლოდ ის გავიგე, რომ სტატისტიკა თვით უსინდისო ტყუილზეც კი უარესია. მაგრამ რატომ? — კიდევ ათმა თუ თორმეტმა წელმა გაიარა, სანამ საკუთარ გამოცდილებაზე მივხვდებოდი, რა ფაქიზი და ამავე დროს სახიფათო იარაღია სტატისტიკა...

დღეს ამ თემაზე ლაპარაკის საბაბი მომეცა. კერძოდ, „24 საათის“ 11 მაისის ნომერში დაიბეჭდა სააგენტო „მედიანიუსის“ მასალა სათაურით *პაატა ზაქარეიშვილი პოლიციას აღარ ენდობა*. აქ მოცემულია მოკლე მიმოხილვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული მასალებისა. ვნახოთ: **„2003 წელთან შედარებით საქართველოში დანაშაული 200 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება მძიმე და განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულების შესახებ მონაცემებს: 2003 წლის შედეგებით, თბილისში 1770 მძიმე დანაშაულია დაფიქსირებული, 2004 წელს რაოდენობა 3489-მდე გაიზარდა, წელს კი 7071-ს მიაღწია. ქვეყნის მასშტაბით მონაცემები გაცილებით მძიმეა: 2003 წელი — 4172; 2004 წელი — 7086; 2005 წელი — 12750“.**

არანაირი ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მონაცემები მართლაც შეესაბამება შსს სტატისტიკას და რომ პაატა ზაქარეიშვილმა სრულიად უცვლელად მოიტანა ეს ამბავი ჩვენს ყურამდე. საბუთად თუნდაც ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობა გამოდგება.

თუმცა, როგორც დაგპირდით, საუბარი უნდა გვქონდეს სტატისტიკასა და მის სახიფათო ბუნებაზე. შეკითხვა პირველი: რას აღწერს სტატისტიკა? რეალობას — იტყვით თქვენ. ეს მართალია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საკითხავი ისაა, რომელ რეალობას აღწერს? — რა თქმა უნდა იმას, რომელიც შევნიშნეთ. რაც არ შეგვინიშნავს, სტატისტიკაში ვერ მოხვდება. ასე რომ, სტატისტიკური მონაცემები ეხება არა იმ რეალობას, რომელიც მაშინვე შემოგვეხვევა ხოლმე, როგორც კი სახლის კარს გამოვიხურავთ, არამედ იმას, რომლის შესახებ ცნობები შსს სამინისტროში აღწევს და მის საინფორმაციო საცავებში მოიპოვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისია ინფორმაციის მოპოვების წესი ან სტატისტიკაში შესატანი ინფორმაციის შესარჩევი კრიტერიუმი ოდნავ შევცვალოთ, რომ საბოლოო მონაცემებს ეს უკვე ოდნავ კი არა, ერთობ მნიშვნელოვნად შეცვლის.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ახლა კი მოვიყვანოთ მაგალითები.

წარმოვიდგინოთ, რომ გავამკაცრეთ კანონი და შესაბამისად შევცვალეთ დანაშაულის კვალიფიკაცია. როგორ აისახება ეს სტატისტიკურ მონაცემებზე. ცხოვრებისეული ლოგიკა და საღი აზრი გვკარნახობს, რომ კანონის გამკაცრებამ აუცილებლად ქვევით უნდა დასწიოს დანაშაულის რაოდენობა. მაგრამ მათემატიკა და საღი აზრი ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. რატომ? ახლავე ვნახავთ — თუ მაგალითად სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ ყოველ საეჭვო ტრაგიკულ შემთხვევაზე, მაგალითად, ხიდან ჩამოვარდნაზე, კონსერვით მოწამვლაზე, გაზით გაგუდვაზე და ა. შ., აუცილებლად გამოვა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რიცხვი მკვეთრად მოიმატებს. შეიცვლება არა რეალობა, არამედ მისი აღწერა.

ერთი სიტყვით, სანამ სტატისტიკური მონაცემების ორი ან სამი ერთობლიობის ანუ, როგორც პროფესიონალები ამბობენ, *სეტის* შედარებასა და შედარების ინტერპრეტაციას შევუდგებოდეთ, აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, ერთნაირი საწყისი კრიტერიუმებით იქნა თუ არა შედგენილი მონაცემთა სხვადასხვა ჯგუფები. მით უმეტეს, რომ 2003-2005 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფორმალური ცვლილება მოხდა. აუცილებლად უნდა იქნეს გამორკვეული, როგორ აისახებოდა ეს ცვილებები საბოლოო სტატისტიკაზე.

შემდეგი შეკითხვა: თუ პოლიციისადმი მოსახლეობის ნდობა იმატებს, როგორ აისახება ეს დანაშაულზე? ინტუიცია გვკარნახობს, რომ დანაშაულმა უნდა იკლოს. მაგრამ მათემატიკა თავისუფალია წინასწარი განწყობებისაგან და უფრო ობიექტური ფაქტორებით ხელმძღვანელობს: გაზრდილი ნდობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ადამიანები უფრო ხშირად მიმართავენ პოლიციას. სხვა სიტყვებით, პოლიციისადმი ნდობის მკვეთრი ზრდა სტატისტიკაზე გამოიხატება როგორც მკვეთრი პიკი დანაშაულებრიობის მრუდზე, რადგან, ვიმეორებ, სტატისტიკა აღწერს არა რეალობას, არამედ შემჩნეულ და აღრიცხულ რეალობას.

სულ უბრალო მაგალითი: გავიხსენოთ მობილური კავშირის კომპანიათა და შს სამინისტროს ერთობლივი აქცია. ამ აქციის შედეგად, ადამიანები უფრო ხალისით აცხადებენ გამქრალი მობილურების შესახებ პოლიციაში. სიტყვით „გამქრალი“ ვგულისხმობ დაკარგულსაც და მოპარულსაც, რადგან დანამდვილებით არასოდეს იცი, ამოგაცალეს თუ ამოგივარდა. მაგრამ რეგისტრირებული შემთხვევების სტატისტიკას თუ დავხედავთ, შეგვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მკვეთრად იმატა ქურდობების რიცხვმა. მცდარი შთაბეჭდილებაა, რადგან ერთადერთი, რაც შეიცვალა, ასე ვთქვათ, რეალობასთან დამაკავშირებელი არხის განვლადობაა.

ღვთის მადლით, ეს დავადგინეთ. ახლა განვაგრძოთ ზემოთ ციტირებული მასალის კითხვა: **„დანაშაულის გახსნის პროცენტი 2003 წელს 71 პროცენტი იყო, 2004 წელს 51 პროცენტი, 2005 წელს კი 30 პროცენტი“**. აქედან დასკვნა: დანაშაულთა რაოდენობა იზრდება, გახსნის პროცენტი — კლებულობს. და ეს მაშინ, როცა ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ გახსნის მაჩვენებელმა მოიმატა!

მაშ ასე, 71 — 51 — 30. აშკარა კლებაა. აშკარა? ჯერ შევთანხმდეთ, რომ არსებობს ორი რამ: პროცენტული წილი (გახსნილ დანაშაულთა რიცხვისა და სრული რაოდენობის განაყოფი) და აბსოლუტური რიცხვი (რამდენი საქმე გაიხსნა). რა თქმა უნდა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტურობას აღწერს არა პროცენტი, არამედ აბსოლუტური რიცხვი: n რაოდენობის ადამიანს ერთ თვეში და მოცემულ სამუშაო პირობებში შეუძლია გახსნას არა უმეტეს N საქმისა, ხოლო N+1 რაოდენობის საქმის გახსნა უკვე შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა იქნებოდა. ეს ცოტა მოუხეშავი მსჯელობა გამომივიდა, მაგრამ გასაგები უნდა იყოს, რასაც ვგულისხმობ.

ახლა კი წარმოვიდგინოთ შემდეგი ვითარება: ავიღოთ დროის რაიმე პირობითი ხანგრძლიობა და სამ ტოლ ნაწილად გავყოთ. ვთქვათ, მივიღეთ, რომ დროის პირველ მონაკვეთში დარეგისტრირდა 100 დანაშაული და გაიხსნა 71 (გახსნის პროცენტი 71), მეორე მონაკვეთში დარეგისტრირებული 200 დანაშაულიდან გაიხსნა 102 (გახსნის პროცენტი 51), მესამე მონაკვეთში დარეგისტრირებული 333 დანაშაულიდან გაიხსნა 100 (გახსნის პროცენტი 30). როგორც ვხედავთ, მარტო გახსნის პროცენტზე აგებული ინტერპრეტაცია ვერაფერს მოგვცემს — მაშინ უცილობლად უნდა დავასკვნათ, რომ შრომის ხარისხი განუწყვეტლივ ეცემა.

მაგრამ თუ ერთდროულად გავითვალისწინებთ დარეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობას, გახსნილ დანაშაულთა აბსოლუტურ რიცხვსა და გახსნის პროცენტს, თუ ამას დავამატებთ ცნობებს მონაცემთა შერჩევის ცვლილებათა შესახებ, აღმოვაჩენთ შემდეგს: დროის t1 - t2 მონეკვეთების საზღვარზე მოხდა მონაცემთა შერჩევის მკვეთრი ცვლილება, რამაც გამოიწვია დარეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვის ზრდა. ამავე დროს მოხდა მკვეთრი რეორგანიზაცია, რის შედეგად მუშაობის ეფექტურობა გაიზარდა 30 პროცენტით (71 გახსნილი დანაშაულიდან 102-მდე), მაგრამ ორივე ფაქტორის ზეგავლენა აისახა გახსნის პროცენტის კლებაზე. t2 - t3 მონაკვეთების განმავლობაში პოლიციისადმი ნდობის გაზრდისა და სხვადასხვა პიარ-აქციების შედეგად კვლავ იზრდება დარეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი (რეალურ კრიმინალურ სიტუაციაზე ვერაფერს ვიტყვით), ხოლო მუშაობის ეფექტურობა საშუალოდ იგივე რჩება (102-დან 100-მდე გახსნილი დანაშაული), რაც იწვევს გახსნის პროცენტის კიდევ უფრო მკვეთრ კლებას. რა თქმა უნდა, აქ მოყვანილ რიცხვებს მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობა აქვთ, რათა მკითხველმა უფრო ადვილად შეიგრძნოს განვითარების დინამიკა. ეს დინამიკა მეტ-ნაკლებად შეესაბამება შესაძლო რეალობას.

ჯამში კი რას ვღებულობთ? თუნდაც იმას, რომ მინისტრის განცხადება გახსნის მაჩვენებლის ზრდის შესახებ არცთუ ისე შორსაა სიმართლისაგან. რაც შეეხება პროცენტის კლებას, ის მუშაობის გაუარესებას კი არ ასახავს, არამედ აღწერის ადეკვატურობის გაუმჯობესებას.

მე კი რა უნდა დავამატო ამ ყველაფერს? — არაფერი, მადლობის გარდა. მადლობას კი პაატა ზაქარეიშვილს ვუხდი, რომელმაც შესაძლებლობა მომცა ჟანრობრივი მრავალფეროვნება შემეტანა ჩემს ყოველკვირეულ რუტინაში და სამეცნიერო-პოპულარულ დარგში მეცადა ბედი. თუმცა ზემოთ მოყვანილი მსჯელობა (რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქნება სრული და საბოლოო) ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზეც მიუთითებს. ამის მნიშვნელოვნება კი განსაკუთრებით იჩენს თავს ამ ძნელბედობის ჟამს, როცა იძულებულნი ვხდებით ერთდროულად ჯიბეც ამოვიფხიკოთ და ტვინიც გავანძრიოთ — ამგვარ ორმაგ შრომას კი ნამდვილად არაა მიჩვეული ქართველი ხალხი.

მიხვდებოდით, რომ დენის ახალი ტარიფის გაძლებასა და მისი დიფერენცირების პრინციპში გარკვევას ვგულისხმობ. როგორც ყოველთვის, აქაც იგივე პრობლემა დგას: ხელისუფლება თავს არ იწუხებს საკუთარი გადაწყვეტილების გასამართავად, წინასწარ შერჩეული ინტერპრეტაციების მოსურნენი კი, ბუნებრივია, ახერხებენ თავიანთი მსჯელობის იმ პარამეტრებზე აგებას, რომლებიც სასურველი შედეგის მიღწევას უზრუნველყოფენ. ამ დომხალის თავზე კი ემატება ღრმად ფესვგადგმული [illegible] ადამიანების, ეჭვის ქვეშაა ყველა, [illegible] ყოველივეს გულისხმობს შიგ [illegible]...





არსი
არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი
1989 წლიდან

## "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

მიმზიდველი პირობები არ ნიშნავს საუკეთესოს

**დედაქალაქში არსებული ბინათმშენებლობის ფონზე მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება. ხშირია ობიექტის ჩაბარების დაგვიანების, ბინის რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის ფაქტები, ძალიან ბევრი კი უძრავ ქონებას პროექტის გაცნობის გარეშე ყიდულობს. საბოლოოდ, მომხმარებელი გამოუცდელობის წყალობით მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება, მაშინ როცა, უძრავი ქონების შეძენა საშვილიშვილო საქმეა და შესაძლებელია ცხოვრების ყველაზე მსხვილი ფინანსური გარიგებაც აღმოჩნდეს.**

**ამიტომ თუ გადაწყვიტეთ ბინის ან აგარაკის შეძენა, მის განსახორციელებლად სამშენებლო კომპანიას უნდა მიმართოთ, სადაც ურთიერთობის ფორმები გაცილებით ცივილურია. აქვე გასათვალისიწნებელია, რომ არც ამ შემთხვევაშია ურიგო საქმეს პასუხიმგებლობით მოეკიდოთ. ამ ბიზნესში ხარისხი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალურობას, საიმედოობასა და ესთეტიკურობას გულისხმობს, რაზეც ზოგიერთი სამშენებლო კომპანია არ ზრუნავს და შედეგად მომხმარებელი ზარალდება.**

და მაინც რა მინიმალური მოთხოვნებია გასათვალისწინებელი სასურველი ბინის შერჩევისას და რისი მოთხოვნის უფლება გააჩნია მომხმარებელს:

**1. მოითხოვეთ მშნებლობის ნებართვა -** იმისათვის, რომ სამშენებლო კომპანიამ მშენებლობა დაიწყოს, მის განსახორციელებლად რამდენიმე ნებართვაა საჭირო. უპირველესად, აუცილებელია გეგმარებითი დავალების მიღება, რაც სამშენებლო კომპანიას უფლებას აძლევს წინასწარ განსაზღვრული მოცულობის შენობა ააშენოს, რომლის საფუძველზეც მან არქიტექტურული პროექტი უნდა დაამტკიცოს. შედეგად კი, მოიპოვოს მშენებლობის უფლება. მხოლოდ ამის შემდეგ არის ოფიციალურად შესაძლებელი მშენებლობის დაწყება, რაზეც ბევრი სამშენებლო კომპანია არ ზრუნავს, გამოუცდელი მომხმარებელი კი უკანონო მშენებლობის მსხვერპლი ხდება.

**2. მოითხოვეთ მშენებარე სახლის პროექტი -** ძალიან ბევრი ბინას პროექტის გაცნობის გარეშე ყიდულობს. თუ სამშენებლო კომპანია თავს არიდებს ან უარს გეუბნებათ პროექტის გაცნობაზე, მაშინ უკვე ეჭვის ქვეშ უნდა დააყენოთ მისი საქმიანობა და საიმედოობა. პროექტის გაცნობის დროს კი გასათვალისწინებელია, რომ ბინის საერთო მოცულობა ან ფართი არ განსაზღვრავს მის ხარისხს. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ რამდენად კომპაქტურად არის დაგეგმარებული და ათვისებული არსებული მოცულობა, კერძოდ, ოთახების რაოდენობა, არის თუ არა ბინა გამჭოლი, რამდენად ნათელია და ასე შემდეგ.

**3. მოინახულეთ მშენებარე სახლის ადგილმდებარეობა -** პროექტის მოწონების შემდეგ სასურველია მოინახულოთ ბინის ადგილმდებარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. აქ გასათვალისწინებელია სახლის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, რა მდგომარეობაშია გზები, არის თუ არა ადგილი ხმაურიანი, რამდენად ადვილი მისადგომია ტრანსპორტისთვის და ასე შემდეგ. ასე რომ, არ დაიზაროთ ადგილზე მისვლა!

**4. შეაფასეთ სამშენებლო კომპანიის გამოცდილება -** ბინის შეძენისას სასურველია გაეცნოთ სამშენებლო კომპანიის გამოცდილებას. ადგილზე მოინახულეთ ამ კომპანიის მიერ აშენებული ობიექტები, შეაფასეთ მისი ხარისხი, ესთეტიურობა, შენობის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. გამოეხმაურეთ კომპანიის კლიენტებს, გაარკვიეთ რამდენად ზუსტად იცავს კომპანია პირობებს და ვადებს.

**5. რჩევა ჰკითხეთ ექსპერტებს -** სასურველი ბინის შერჩევისას რჩევა ჰკითხეთ ახლობლებს ანუ სამშენებლო საქმეში ჩახედულ ადამიანებს. გაიზიარეთ მათი გამოცდილება და გააანალიზეთ, თუ რამდენად სასურველი და მისაღებია ეს თქვენთვის.

და ბოლოს, როგორც ირკვევა, სასურველი ბინის შერჩევა არც ისე იოლი საქმეა, უფრო მეტიც, დიდი პასუხისმგებლობა და სერიოზულობა გმართებთ. მიმზიდველი პირობები არ ნიშნავს საუკეთესოს, ამიტომ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმოქმედეთ პრინციპით, "ასჯერ გაზომეთ, ერთხელ გაჭერით". სხვაგვარად, შესაძლებელია გამოუვალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეთ.

იმედია ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ, რომ თავიდან აიცილოთ ყველაზე გავრცელებული შეცდომები ბინის შეძენისას.

ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: სასურველი ბინის შერჩევა მშენებარე სახლში. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

**გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,**
**"არსის" აღმსასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე**

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსი"
ტელ: 25-19-04
info@arci.ge, www.arci.ge

**კომპანია "არსი" ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია "არსის" ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან).**

# ქალი-პოეტი - ეროსის ნათლული

### გამოვიდა ხათუნა მუზაშვილის ლექსების კრებული




ია ვეკუა

პოეტ ხათუნა მუზაშვილის პირველი კრებულს ჯერ კიდევ ასდის სტამბის სუნი, წიგნის ირგვლივ კი მცირე სკანდალი უკვე მომწიფდა. რეზო ჭეიშვილი და რევაზ მიშველაძე ცალ-ცალკე მიიჩნევენ, რომ მუზაშვილი სწორედ მათ აღმოაჩინეს და დათმობას არც ერთი არ აპირებს. ვიდრე მწერლები დავაში არიან გართულები, მკითხველმა კიდევ ერთი ქალი პოეტის შემოქმედება გაიცნო.

„გაქცევა" - ასე ჰქვია ახალგაზრდა პოეტის, ხათუნა მუზაშვილის პირველ პოეტურ კრებულს, რომლის პრეზენტაციაც „წიგნის სახლში" გაიმართა. თუმცა წიგნს მეორე, შედარებით ოპტიმისტური სათაურიც აქვს - „ეროსის ნათლულს სადედოფლო მომართვით ცხენი". აღნიშნული სათაური იმთავითვე განგვაწყობს კრებულის ხასიათისთვის და ნათელი ხდება, რომ საქმე ქალი პოეტის ყველზე ნაზ ფიქრებთან გვექნება.

კრებული პოეტის ასამდე ლექსს აერთიანებს, რომლებიც სამ ნაწილადაა გაყოფილი: „სიბნელიდან", „სინათლისკენ" და „ეროსის ნათლულს სადედოფლო მომართვით ცხენი". საკუთარი შემოქმედების ამგვარი დიფერენციაციით ავტორი თითქოს ავტობიოგრაფიასაც გვიყვება, მკითხველს საკუთარი ცხოვრების ყველა სარკმელს უხსნის და ოთახში ახედებს. თუმცა, როგორც ნებისმიერი ქალი, საიდუმლოს ისიც იტოვებს.

**ხათუნა მუზაშვილი:** „ცხადია, ვღელავ, რადგან საკუთარი შემოქმედება პირველად უნდა გავაცნო მკითხველს. ეს ლექსები მთელი ჩემი შემოქმედების ნაკრებია და თვითოეული მათგანი ჩემი ცხოვრების კონკრეტულ პერიოდს ასახავს. განსაკუთრებით მაინტერესებს მკითხველის აზრი თარგმანების შესახებ".

ხათუნა მუზაშვილი პოეტური ტექსტების შექმნის გარდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევს. დაახლოებით ერთი თვის წინ მან გამომცემლობა „დიოგენესა" და ალმანახ „ახალი თარგმანების" მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა მთარგმნელების კონკურსში გაიმარჯვა. პრიზი ანა ახმატოვას ლექსის თარგმნისთვის მიიღო. თარგმანები ახალ კრებულშიც შეიტანა. ტერენტი გრანელის, ლაშა ნადარეიშვილისა და ოტია იოსელიანის ლექსების რუსული ვარიანტების წაკითხვის შემდეგ ხათუნა მუზაშვილის პოეტური გაქანების შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ.

**რევაზ მიშველაძე:** „ვამაყობ, რომ ხათუნა მუზაშვილის პირველი ლექსები სწორედ მე დავბეჭდე „მწერლის გაზეთში". მიმაჩნია, რომ მისი შემოქმედება ინტელექტუალური პოეზიაა. ავტორი ბეჯითად ცდილობს ჩვენს ცხოვრებას ჩაუღრმავდეს და გაერკვეს, რა აწუხებს საზოგადოებას. საკუთარ სატკივარს ხათუნა მიზაშვილი ლექსებით გამოხატავს, რადგან სწორედ ეს არის მისი იარაღი. მის შემოქმედებაში შეხვდებით დიდ ტკივილს და სიხარულს. ახალგაზრდა პოეტებს ყოველთვის ვურჩევ, რომ მკითხველის წინაშე ბოლომდე არ გაშიშვლდნენ. ხათუნა სწორედ ასე წერს - ყოველი ლექსის წაკითხვის შემდეგ განსჯის სურვილს გვიტოვებს.

**ვაჟა ოთარაშვილი:** „ამ წიგნის გამოსვლას, პირველ რიგში, მკითხველს ვულოცავ, რადგან ხათუნა მუზაშვილის კრებულის სახით არაჩვეულებრივ პოეზიასთან ზიარების საშუალება მიეცა. მოხარული ვარ, რომ ამ კრებულში ქართველი ავტორების რუსულად თარგმნილი ლექსებიც შევიდა, რაც ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია."

უახლოეს მომავალში ხათუნა მუზაშვილი ქართველი პოეტების შემოქმედების მის მიერ შესრულებული რუსული თარგმანების გამოცემას გეგმავს.


# ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რებილიტაციის" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - საქართველოს 50 საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

| ლოტი | რაიონი | სკოლის დასახელება და № | | სკოლის მისამართი |
|---|---|---|---|---|
| I | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 20 | ჯამბულის ქ. №5 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 21 | პეტრიაშვილის ქ. №7 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 42 | ჩაიკოვსკის ქ. №9 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 44 | ალ. ჭავჭავაძის ქ. №19 |
| II | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 47 | ჩიტაძის ქ. №9 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 50 | გ. ქიქოძის ქ. №4 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 53 | ბარნოვის ქ. №46 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 66 | ასათიანის ქ. №28 |
| III | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 65 | გორგასლის 75 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 67 | ლესელიძის 25 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 70 | ფონიჭალა - 111 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 72 | გორგასალის ქ. №2 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 104 | ათონელის ქ. №5 |
| IV | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 127 | რუსთავის გზატკ. №18 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 144 | ორთაჭალის ქ. №8 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 153 | ვაგზლის ქ. №25 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 183 | ლამბაშიძის ქ. №3 |
| | მთაწმინდა-კრწანისი | საჯარო სკოლა | 193 | ლადიძის ქ. №5 |
| V | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 3 | 9 ძმის ქ. №58 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 5 | ხუდადოვის ქ. №63 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 22 | მირცხულავას ქ. №4 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 116 | შ. იამანიძის ქ. №1 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 130 | დიღმის მასივი IV კვ |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 134 | დიღმის მასივი VI კვ |
| VI | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 140 | დიღმის მასივი V კვ. |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 147 | დიღმის მასივი, III კვ |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 155 | ა. წერეთლის გამზ. №110 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 169 | დიღმის მასივი II კვ |
| | ვაკე-საბურთალო | საჯარო სკოლა | 186 | დ. დიღომი, იოანე პეტრიწის 8ა |
| VII | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 18 | დ. აღმაშენებლის პრ. 178 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 19 | ქუთაისის ქ. №20 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 24 | ბაქოს 1 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 26 | პ. საავაძის ქ. №14 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 63 | დ. უზნაძის ქ. №109 |
| VIII | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 23 | დ. უზნაძის ქ. №59 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 29 | ნინოშვილის ქ. №39 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 30 | კიევის ქ. №4 |
| | დიდუბე-ჩუღურეთი | საჯარო სკოლა | 198 | გოცირიძის №2 |
| IX | ისანი-სამგორი | საჯარო სკოლა | 41 | გუთნის ქ. 21 |
| X | ფოთი | საჯარო სკოლა | 1 | აკაკის 44 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 3 | აკაკის 26 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 4 | დ. თავდადებულის 13. |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 6 | დავითაიას 52 |
| XI | ფოთი | საჯარო სკოლა | 2 | ჟვანიას 7 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 5 | მიქაბერიძის 5 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 8 | ლენინგრადის 40 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 11 | შავი ზღვის 6 |
| XII | ფოთი | საჯარო სკოლა | 7 | ჭყონდიდელის 33 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 12 | რუხაძის 1 |
| | ფოთი | საჯარო სკოლა | 15 | აღმაშენებლის 16 |

**- სამუშაოს შესრულების ადგილი** - საქართველოს საჯარო სკოლები.

**- სამუშაოს დასრულების და ჩაბარების ვადა**: - 2006 წლის 1 სექტემბრამდე.

**პირობები:**

- სამუშაო შესრულებული უნდა იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაცემული დეფექტური აქტების მიხედვით.
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება მშენებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

**შენიშვნა:**

- შესაძლებელია გარკვეული სამშენებლო მასალა მიწოდებულ იქნას დამკვეთის მიერ, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (**ერთი დედანი, ორი ასლი**), **2006 წლის 5 ივნისს 1300 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 5 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე სააქტო დარბაზში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა შსს);**

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა სასამართლოდან);**

ე) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);**

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა შსს).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

გ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

დ) ინფორმაცია მანქანა-დანადგარების შესახებ.

ე) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ცხრილის მიხედვით (აღნიშნული ცხრილი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართული, ოთახი N222).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
**საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი** - 302003000
**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში** უნდა იყოს მითითებული: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ.ფალიასვილი, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს**

# საგრანტო კონკურსს

**დამოუკიდებელი რეგიონალური ბეჭდვითი მედია ორგანიზაციების ინსიტუციონალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისათვის**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, რეგიონალური ბეჭვდითი მედია ორგანიზაციების ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ განვითარებას.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ დამოუკიდებელ რეგიონალურ ბეჭვდით მედია ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ორგანიზაცია დარეგისტრირებული უნდა იყოს და შესაბამისად გამოსცემდეს გაზეთს ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა იბეჭდებოდეს ყოველკვირეული ან უფრო ხშირი პერიოდულობით;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დამყარებული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვას;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთის გავრცელების არეალი უნდა მოიცავდეს მინიმუმ მხარეს (არ იყოს შემოფარგლული ერთი რაიონული ცენტრით).

**კონკურსის პირობები**

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი უნდა ემსახურებოდეს განაცხადის ავტორი ბეჭვდითი მედია ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას (ორგანიზაციის მენეჯმენტის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების განვითარება, ორგანიზაციული მდგრადობის ხარსიხსის გაზრდა);
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიერ გამოცემული გაზეთების ნომრები;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისაგან მიღებული დაფინანსებების შესახებ;
- გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული ინფორმაციისა პროექტს უნდა დაერთოს პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების, ექსპერტებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები;
- განაცხადს თან უნდა დაერთოს სფეროში მომუშავე ექსპერტთა ან ორგანიზაციათა ორი სარეკომენდაციო წერილი;
- დაუშვებელია ერთი კონკურსის ფარგლებში ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ორი პროექტის წარმოდგენა.
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნას სამ ეგზემპლარად;
- პროექტის განხორციელებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5800 აშშ დოლარს;
- კონკურსის ფარგლებში გაიცემა ოთხი გრანტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 15 მაისიდან 12 ივნისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

### საერთაშორისო ფესტივალი „სესილი"

დღეს კინოთეატრ „ამირანში" ახალგაზრდული მოკლემეტრაჟიანი ფილმების VI საერთაშორისო ფესტივალი „სესილი" გაიხსნება.

„სესილის" კონკურსში წელს ახალგაზრდა რეჟისორები მსოფლიოს 17 ქვეყნიდან მონაწილეობენ. საკონკურსო ჩვენებები გაიმართება კინო-თეატრებში „ამირანი", „რუსთაველი" და „ქოლგა". ფესტივალი 22 მაისს დაიხურება.

ფესტივალს საქართველოს ხელოვანთა კავშირი „სესილი" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პატრონაჟით ატარებს.

„სესილიზე" წარმოდგენილი იქნება მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, ანიმაციური ფილმები, მუსიკალური კლიპები, სატელევიზიო ტიხრები და სარეკლამო რგოლები.

ყოველწლიურად ფესტივალის დარბაზი თბილისის სამხატვრო აკადემიის კინომხატვრობის ფაკულტეტის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენას ეთმობა. წარმოდგენილია თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის სტუდენტების ნაწარმოებები. ფესტივალს საზეიმოდ ხსნის ცოცხალი მუსიკა და პირველი დღე სხვადასხვა ქვეყნების მოკლე ფილმების ჩვენებას ეთმობა.

ფესტივალის მთავარი პრიზია მოოქროვილი ბრინჯაოს ფიგურა „სესილი", რომელიც შემდეგ ნომინაციებში გადაეცემა: საუკეთესო მხატვრული ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი, საუკეთესო მუსიკალური ვიდეო და საუკეთესო ანიმაციური ფილმი. **ინტერპრესნიუსი**

### ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა

საქართველო 2006 წლის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობაზე - „არტ-მოსკოვში" მონაწილეობს. არტ-ბაზრობას მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრი მასპინძლობს. ექსპოზიციები ფერწერას, გრაფიკას, ფოტოგრაფიას, ვიდეო-არტს, ინსტალაციას დაეთმობა.

არტ-ბაზრობის საგამოფენო პროექტ „ატმოსფერო, 41"-ზე, ქართულ თანამედროვე ხელოვნებას გურამ წიბახაშვილი, ირა კურმაევა, ილიკო ზაუტაშვილი, ყარამან ქუთათელაძე, არჩილ თურმანიძე, სოფია ჩერქეზიშვილი, კოკა რამიშვილი, შალვა ხახანაშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, მურთაზ შველიძე და თემურ ჯავახიშვილი წარმოადგენენ.

„არტ-მოსკოვი" მაღალი დონის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმს წარმოადგენს, რომელშიც მხოლოდ აღიარებული გალერეები, ცნობილი სახელები, ხარისხიანი ნამუშევრები და გამორჩეული არაკომერციული პროექტები მონაწილეობენ.

საქართველო მიწვეულია „არტ-მოსკოვი 2006"-ის არაკომერციულ ნაწილში, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრის მიერ. ექსპოზიციაზე საერთო სახელწოდებით „კავკასია", საქართველოს გარდა, წარმოდგენილი იქნება სომხეთისა და აზერბაიჯანის თანამედროვე ხელოვნება.

საგამოფენო პროექტი „ატმოსფერო 41", წარმოადგენს ექსპოზიცია „კავკასიის" ქართულ ნაწილს. იგი მოიცავს თორმეტი მხატვრის ნამუშევართა გამოფენას და კულტურულ პროგრამას, რომელიც 18 მაისს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

### გასტროლები პარიზში

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ვახტანგ კახიძე გასტროლებით პარიზში მიემგზავრება. იგი ეტიენ დ'ორვის მოედანზე მდებარე სამების ტაძარში ადგილობრივი გუნდის მიერ მომზადებულ კონცერტს უდირიჟორებს. საკონცერტო პროგრამაში სალიერის რექვიემი და მოცარტის კორონაციული მესა შედის. კონცერტებში ადგილობრივი გუნდი, ორკესტრი და სოლისტები მონაწილეობენ. კონცერტები ქართველი დირიჟორის მონაწილეობით 15-16 ივნისს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თეატრალური სარდაფი

ვაკის თეატრალური სარდაფი მაყურებელს სამომავლოდ ჟორჟ ფედოს „ეჭვის ჭიას" შესთავაზებს, რომლის დამდგმელი რეჟისორია ოთარ ეგაძე. მთავარ როლებს მსახიობები დუტა სხირტლაძე, აკაკი ხიდაშელი და დათო ხურცილავა შეასრულებენ.

სპექტაკლი კომედიური ჟანრისაა და ყველა თაობის მაყურებელს ერთნაირად დააინტერესებს.

„ფრანგულ ვოდევილზე ყურადღება შემთხვევით არ შემიჩერებია. მინდა ამ გაჭირვების ჟამს მაყურებელს ღიმილი მოვგვარო და ცოტა ხნით მაინც დავავიწყო საკუთარი პრობლემები. პიესის შინაარსი ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზეა აგებული.

ცოლს უჩნდება ეჭვი, რომ ქმარი ღალატობს. ამ ფაბულაზეა დაფუძნებული პიესაში განვითარებული საკმაოდ ხალიასიანი თავგადასავლები," - ამბობს ოთარ ეგაძე.

სპექტაკლი მხატვრული გაფორმება შოთა გლურჯიძეს, მუსიკა - ზურაბ გაგლოშვილს, ქორეოგრაფია კი გია მარღანიას ეკუთვნის. პრემიერა მომავალი სეზონის გახსნაზე შედგება, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერშია დაგეგმილი. თუმცა სპექტაკლის შიდა ჩვენება, შესაძლოა, სეზონის დახურვამდე გაიმართოს.

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"-ის ნომინანტები

| | | | |
|---|---|---|---|
| **საუკეთესო პროზაული კრებული** | | | |
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ეკა ჩხაიძე | **ზამთრის ნიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **ალიბაბა და ორმოცი ყოჩაღი** | ლიტერა |
| **საუკეთესო რომანი** | | | |
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჯიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| **საუკეთესო პოეტური კრებული** | | | |
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **წრე** | გამოცემა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი ნერილებიდან** | საარი |
| **საუკეთესო დებიუტი** | | | |
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ლაშა ქარდავა | **ნოეს მტრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დევდარიანი | **მრავალჯერადი გული** | სტამბა "ფორმა" |
| **საუკეთესო თარგმანი** | | | |
| 1 | მარი ლუიზ კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ლეონიძე |
| 2 | ამელი ნოტომბი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლევან რამიშვილი |
| **საუკეთესო პიესა** | | | |
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |
| **საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა** | | | |
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აკი ბაბაძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოცემა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა მერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


# მომავალი მუსიკოსების კონცერტი

„ქართული სასწავლებელი მუსიკოსებსაც ზრდის



„ქართული სასწავლებელი" საავტორო სკოლათა იმ მცირე გამონაკლისებში ირიცხება, რომლებმაც თავისთავადობა შეინარჩუნეს, თუმცა არის მათთან ახალი ამბავიც, ეს ახალი სახელია - „34-ე საჯარო სკოლა". მან ერთობ განსხვავებული და, როგორც ამბობენ, ურთულესი პროგრამული სწავლებით გაითქვა სახელი.

სასწავლებელი, რომელიც უწინ სხვადასხვა ინტერესების (სპორტი, ხელოვნება...) ახალგაზრდებს არერთიანებდა, უკვე რამდენიმე წელია ზოგადსაგანმანათლებლო საგნების პარალელურად მუსიკის, სპორტის სხვადასხვა დარგისა და მხატვრობის სექტორებზე სწავლას სთავაზობს საკუთარ აღსაზრდელებს, ამ გზით, როგორც ჩანს, მოსწავლეთა თავისუფალ დროსა და გატაცებებს ისევ და ისევ სკოლასა და განათლებას უკავშირებს.

გუშინ საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში 34-ე სკოლის „ქართული სასწავლებელი" მუსიკალური სექტორის კონცერტს მართავდა. საკუთარი აღსაზრდელებისთვის სკოლას დირიჟორი რეზო ტაკიძე მოუწვევია. ცნობილ დირიჟორს კი მცირე, კამერული სახის ორკესტრი შეუკრიბავს. გამოცდილი მუსიკოსები პატარა მევიოლინეებს, კესო ფაჩუაშვილსა და ბაგაურს და პიანისტებს - ლიზი მამრაძესა და სალომე ჟორდანიას აკომპანიმენტს უკეთებდნენ და ისეთი ნაწარმოებების შესრულებაში ეხმარებოდნენ, როგორებიც იყო ბახის საფორტეპიანო კონცერტები, ბეთჰოვენისა და მოცარტის მენუეტები ვიოლინოსათვის და სხვა.

როგორც სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ეთერ სვანაძემ გვითხრა, მისთვის საამაყოა ამგვარი ნიჭიერი ბავშვების აღზრდა და მათ წარმატებებს სკოლის წარმატებებად თვლის. ქალბატონი ეკა სესიაშვილი, ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის ყოფილი მუსიკოსი, რომელიც უკვე ოთხი წელია ვიოლინოს პედაგოგი გახდა, გვეუბნება, რომ ვიოლინოსა და საერთოდ მუსიკის სწავლა მაშინაც შესაძლებელია, როცა მონაცემები საშუალოა, მაგრამ არის მონდომება. მაგრამ ქალბატონ ეკას ეს თეორია ამ კონკრეტული ბავშვების მიმართ არ გაუმხელია. პირიქით, იგი თვლის, რომ უმრავლესობა პატარა მუსიკოსის მომავალი სახელოვნებო კარიერის მიმართულებით ძალზე წარმატებული იქნება. ეს ალბათ იმ შემთხვევაში, თუ მათ სიყვარულს მუსიკისადმი სამომავლოდ პროფესიული განათლება მოჰყვება. ისე კი ამგავრ მომავალში ეჭვი ბევრს არ ეპარება, ალბათ იმიტომ, რომ თუნდაც სალომე ჟორდანიამ ბახის საფორტეპიანო კონცერტი მართლაც წარმატებით შეასრულა, ლიზი მამრაძემ საკუთარი, მეტად მომხიბვლავი კომპოზიციები წარმოადგინა. კონცერტის პატარა სოლისტებმა კესო ფაჩუაშვილმა და სოფო ბაგაურმა, რომლებიც უკვე სამი წელია ვიოლინოს „ეალერსებიან", დიდი პასუხისმგებლობის გარდა, ნიჭიერება და საქმისადმი მეტად სერიოზული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს.

# ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში

## 1992 წლის 23 ნოემბერი - 17 დეკემბერი

მერაბ კიკნაძე
*დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი*

დასასრული, დასაწყისი
იხ. №104

ფინეთში ერთკვირიანი სტუმრობისას ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პარლამენტში გამართული მიღება იყო, რომელიც ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფის თავმჯდომარემ, აწ გარდაცვლილმა **ჰეიკკი რიიჰიიარვიმ** საქართველოს დევნილი პრეზიდენტის პატივსაცემად მოაწყო. თავად ჰეიკკი ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. ჯავშანსაწინააღმდეგო ქვედანაყოფის თადარიგის კაპიტანი, ლუთერანული ეკლესიის არქიეპისკოპოსი, ფინეთის პარლამენტის ოთხი მოწვევის წევრი, ჰეიკკი რიიჰიიარვი პროფესიონალ პოლიტიკოსთა იმ იშვიათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არა ყბადაღებული "პრაგმატიზმის" მოსაზრებებით, არამედ საკუთარი სინდისის კარნახით მოქმედებენ. რა გასაკვირია, რომ ასეთ ადამიანს ზვიად გამსახურდიას მიმართ დიდი პატივისცემა გაუჩნდა, რომელიც მათი პირადი შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, ჟურნალისტები, ფინეთ-საქართველოს საზოგადოების წევრები, მათ შორის ცნობილი ჟურნალისტი და დისიდენტი **ჰეიკკი ესკილინენი**, რომელიც პრეზიდენტმა **კეკკონენმა** 60-იან წლებში ციხეში გამოამწყვდია, აგრეთვე ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის უცვლელი თავმჯდომარე **ჰეიმო რანტალა**. ჰეიკკი რიიჰიიარვი და ჰეიკკი ესკილინენი მოკლე მოხსენებებით გამოვიდნენ, სადაც სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას. აღნიშნეს, რომ ფინელებს საკუთარი მწარე ისტორიული გამოცდილების წყალობით განსაკუთრებით კარგად ესმით, თუ ვინ უქმნის პრობლემებს საქართველოს დამოუკიდებლობას, და რომ ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ ეს სწორედაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა. საერთოდ, ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფმა, ფინეთ-საქართველოს საზოგადოებამ, ფინეთის ჰელსინკის ჯგუფმა არაერთი საპროტესტო განცხადებით მიმართეს დასავლეთის მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე შევარდნაძის რეჟიმს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ჰეიკკი რიიჰიიარვიმ ზვიადს ასე მიმართა: "ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, განსაკუთრებულად ძვირფასია ის ჭეშმარიტად ქრისტიანული თავშეკავება და მარადიული ღირებულებების პატივისცემა, რომლებითაც თქვენს ბრძოლაში ხელმძღვანელობთ." ზვიადის გარდაცვალების შემდეგ, ფინეთში ყოფნისას, ჰეიკკის ბევრჯერ შევხვედრივარ. ერთხელ მეგობრულ საუბარში მითხრა: "ზვიადი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ასევე იბრძოდა, მაგათ წინააღმდეგ კი სხვანაირი მოქმედებაა საჭირო. ფინეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1918 წ) შეუდარებლად უფრო დაუნდობელი იყო. ამ ომში "წითლების" მხარეს რამდენიმე ჩემი უახლოესი ნათესავი დაიღუპა, მაგრამ ვთვლი, რომ თავისუფლება ამად ნამდვილად ღირდა; თუმც, ახლა უკვე ჩვენში ბევრი სხვანაირად ფიქრობს..." როგორც ჩანს, მის ამ სიტყვებში სასულიერო პირზე უფრო თადარიგის კაპიტანმა იჩინა თავი.

ამ შეხვედრაზე რამდენიმე სიტყვა მეც ვთქვი იმის შესახებ, რომ საქართველოში პრეზიდენტთან ერთად პარლამენტიც დაამხეს; რომ პარლამენტი დევნილობაში აგრძელებს მუშაობას; და რომ ამ ფაქტებს დასავლური მედია ჩქმალავს, რადგან ეს აშკარა შეუსაბამობაშია დიქტატორის გამოგონილ ხატთან.

გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროშიც - კორექტული და არაფრისმთქმელი. პრეზიდენტ გამსახურდიას მოკლე განცხადება ზრდილობიანად და უკომენტაროდ მოისმინეს და "დახმარება აღუთქვეს".

ფინელმა ბიზნესმენმა იუსსი X-მ, რომელმაც ფინეთში ჩვენს ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღო, ზვიადის საპატივცემულოდ თავის კერძო კლუბში ვახშამი გამართა, რომელსაც ათამდე ადამიანი ესწრებოდა. ვახშამი ცალკე ოთახში იყო სერვირებული. მეზობლად განლაგებული დიდი დარბაზიდან სიმღერის ხმა შემოდიოდა, რაც ფინეთისათვის საკმაოდ უჩვეულოა. ზვიადი დაინტერესდა, რა ხდებოდა. გამოირკვა, რომ ჰელსინკის უნივერსიტეტის უძველესი და ფინეთში საუკეთესო გუნდი ტრადიციულ ყოველწლიურ შეხვედრას მართავს. გუნდი "ფინელი" შვედებითაა დაკომპლექტებული. მასპინძელი დაინტერესდა: ხმაურმა ხომ არ შეგაწუხათო? ზვიადმა უპასუხა: პირიქით, ხმაური კი არა, შესანიშნავად მღერიანო. როგორც ჩანს, აილას მეშვეობით ეს ამბავი გუნდის წევრებმა გაიგეს და ცოტა ხნის შემდეგ ნებართვა ითხოვეს: პრეზიდენტ გამსახურდიას საპატივცემულოდ ვიმღერებთო. ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და პატარა ოთახი სხვადასხვა ასაკის, ფრაკებში გამოწყობილი შექეიფიანებული მომღერლებით აივსო. სიმღერას სიმღერა მოჰყვა. შესანიშნავად იმღერეს. საოცრად ამაღელვებელი, ამაღლებული განწყობა შეიქმნა.

დასამახსოვრებელი იყო ცნობილი ფინელი დირიჟორის, **კარი ტიკკას** ოჯახში გამართული საღამო, სადაც ზვიადმა ყველა მოხიბლა. საღამოს მაია თომაძე ესწრებოდა. კარი ძალიან დაეხმარა მაიას, რომელიც უკურნებელი სენით იყო დაავადებული და მკურნალობის კურსი ახალდამთავრებული ჰქონდა. საღამოზე მაიამ შესანიშნავად იმღერა. აკომპანიატორი კარი ტიკკა იყო. ზვიადმა ჰკითხა მაიას, ჰქონდა თუ არა რეპერტუარში შუბერტის Ave Maria - აღმოჩნდა, რომ არა. "ვეცდებოდი აკომპანემენტი გამეწია," - უთხრა ზვიადმა. დუეტი, სამწუხაროდ, არ შედგა.

ვიყავით სტუმრად ჰეიმო რანტალას ოჯახშიც. სხვათაშორის, ამ საღამოზე ჩამოვარდა საუბარი იმის შესახებ, რომ იმპერიის წინააღმდეგ ჩვენი გუშინდელი მოკავშირე ბალტიელები, განსაკუთრებით - ესტონელები და ლატვიელები სამარცხვინო გულგრილობას იჩენენ საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ. მასპინძელი ამან ძალიან აღაშფოთა: "რა სწრაფად დაავიწყდა ზოგიერთ ახლანდელ ესტონელ პარლამენტარს, რომ სამშობლოდან გამოქცეული ჩემს სახლში ემალებოდა ფინეთის მთავრობისაგან მოსალოდნელ ექსტრადიციას!"

მოვინახულეთ XIX საუკუნის შუა წლებში აშენებული "უსპენსკი" კათედრალი, რომელსაც ამჟამად ფინეთის მართმადიდებელი ეპარქია განაგებს. ტაძარი, რომელიც ჰელსინკის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა, დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ზვიადის ხათრით გააღეს. ზვიადმა სანთლები დაანთო და ილოცა.

თითქმის ერთი სრული დღით განმარტოვდა ზვიადი ჰელსინკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოვინახულეთ ევროპაში უდიდესი Suomen Akateeminen Kirijakauppa - "ფინეთის აკადემიური წიგნის მაღაზია", სადაც ზვიადს რამდენიმე სოლიდური გამოცემა უსახსოვრეს. გამვლელები ხშირად ცნობდნენ, მოკრძალებულად - როგორც ფინელებს სჩვევიათ - ესალმებოდნენ და წარმატებას უსურვებდნენ.

გერმანიის საკონსულოს ჰელსინკში ვიზებისათვის განმეორებით მივმართეთ. კონსულმა აილა ნიინიმაას პრივატულად განუცხადა, რომ აპლიკაციების შეტანას აზრი არა აქვს, ოფიციალურ, წერილობით პასუხზე კი ცივი უარი განაცხადა. ამის პასუხად ზვიადმა კანცლერ **კოლს** ფაქსით წერილი გაუგზავნა - დაახლოებით ასეთი სულისკვეთების: "კომუნისტური რეჟიმის დროიდან ვცდილობ გერმანიაში მოხვედრას, სადაც მამაჩემმა - ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა - განათლება მიიღო და რომელთან მეც, როგორც მკვლევარს, უამრავი რამ მაკავშირებს. კომუნისტები ჩემი ქვეყნიდან არ მიშვებდნენ, ახლა თქვენ თქვენს ქვეყანაში არ მიშვებთ. რამ შეგაშინათ, არანაირი პოლიტიკური, მით უმეტეს "დესტრუქტიული" მოქმედების გაშლას მანდ არ ვაპირებ. კერძო მოწვევით მსურს ჩამოსვლა". წერილი, რა თქმა უნდა, უპასუხოდ დარჩა, ამიტომ ვერ შევიტყეთ, თუ რისი ეშინოდა კოლს. ეს ფაქტი გახმაურდა და სკანდალის ხასიათი შეიძინა, როცა უმსხვილესმა ***Frankfurter Algemaine***-მ გამოაქვეყნა წერილი "მეტერნიხი ბონში" - დაახლოებით ასეთი ხასიათის: "ზვიად გამსახურდიას თავის სიმართლე აქვს. მისაღებია ეს სიმართლე თუ არა, ჩვენი განსჯის საგანი არ არის. ცხადი ისაა, რომ ამ სიმართლეში რაღაც ძალზე უსიამოვნოა კანცლერი კოლისათვის. სხვანაირად რომ იყოს, რატომ შეეეწინააღმდეგებოდა ერთი კაცის ქვეყანაში შემოშვებას?" - ავტორს ეჭვიც არ შეპარვია იმაში, რომ ზვიადის შეშვება-არშეშვების საკითხს კოლი წყვეტდა. მოგვიანებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უტიფრად განაცხადა: ვიზაზე უარი არ გვითქვამს, უბრალოდ, აპლიკაცია არ შემოუტანიაო(!).

ზვიად გამსახურდიას ევროპაში გამოჩენამ "დიდი დემოკრატი" და მისი "მეგობრები" საკმაოდ ააფორიაქა. ამის პირველი სიმპტომები უკვე ფინეთში იგრძნობოდა, მთელი სისრულით კი ეს ავსტრიაში გამოვლინდა.

ამასობაში IGFM -მა ზვიადს ახალი მოწვევა - ამჯერად ამ ორგანიზაციის ავსტრიის განყოფილების სახელით (ქ-ნი **კატარინა გრიბ**) გამოუგზავნა. ავსტრიის საკონსულომ ათდღიანი ერთჯერადი ვიზები მოგვცა და 1 დეკემბერს, ღამით, ვენაში ჩავფრინდით.

აეროპორტში ზვიადს დახვდნენ: შვეიცარიიდან ჩამოსული ვაჟი **კონსტანტინე**, კატარინა გრიბი, IGFM-ის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების კურატორი **ვანდა ვანზიდლერი** და ზვიადის მხურვალე მხარდამჭერი ქალბატონი, გერმანიაში გათხოვილი **რუსუდან შმიდტი**.

მოკრძალებულ სასტუმრო Kugel-ში დავბინავდით. სასტუმროს მფლობელი, 70 წლის **იოჰანეს როლერი**, ძალიან ამაყობდა იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მასპინძლობდა. ახოვანი მოხუცი იერით და ჟესტიკულაციით ძალიან ჰგავდა ქართული ფილმის პერსონაჟს - პიპინია ერისთავს. სასტუმროს გაძღოლა სრულიად უსახური ვაჟისათვის გადაებარებინა და თავად ნახევარ განაკვეთზე აგრძელებდა სამსახურს: "One ship - one cap" - ხშირად იმეორებდა. დილით, საუზმეს თავად გვიშლიდა. მას შემდეგ, რაც ზვიადმა პარიზიდან მის სანახავად საგანგებოდ ჩამოსული **კოკი გუგუშვილის** ჩამოტანილი ერთი ბოთლი შესანიშნავი კონიაკი აჩუქა, ამ რიტუალს რეგულარული, სასტუმროს სხვა მოსაუზმე ბინადართა გასაგონად თავის დაკვრით წარმოთქმული სადღეგრძელოც დაემატა: "Herr President!..." - იშვიათი სანახაობა გახლდათ!



ვანდა ვანზიდლერი და კატარინა გრიბი ავსტრიის მთავრობის გამბედაობით აღფრთოვანებულნი იყვნენ: "პატარა ავსტრიამ ძველებურად კუდი მოიქნია და გერმანიას სილა გააწნა..." ვანდასთან სატელეფონო ნაცნობობა გროზნოდან მაკავშირებდა, საიდანაც საქართველოში ადამიანთა უფლებების დარღვევების შესახებ მასალებს რეგულარულად ვაწვდიდი. ხშირად პირიქითაც ხდებოდა - დარბეული მიტინგების შესახებ ინფორმაციას ვანდა დამოუკიდებლად მოიპოვებდა თბილისში - **ნანა ზუმბურიძის**, **ზურაბ შანიძის**, **მაია კერესელიძის** და სხვათა თავგანწირვისა და დაუღალავი გარჯის წყალობით და გროზნოში გვატყობინებდა. ვანდა თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად და საბჭოეთს ზედმიწევნით კარგად იცნობდა - ინტერნირებული გერმანელი კომუნისტების შვილი გულაგის ერთ-ერთ ბანაკში იყო დაბადებული. საერთოდ, IGFM-ის როლი საქართველოს მოვლენების გაშუქებაში უმაგალითოა: ეს პრაქტიკულად ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა (გარდა ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის (მარკ ალმონდი) და ფინური მხარდამჭერი ორგანიზაციებისა), რომელმაც თვალები ძალით არ დაიბრმავა. სწორედ ამ პრინციპულობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ გაერო-ში ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის აკრედიტაცია ორჯერ დაბლოკეს - ერთხელ საბჭოთა კავშირმა (კუბის გამო), მეორედ - აშშ-მ (ისრაელის გამო). ვანდამ მითხრა: "ჩვენ "მემარჯვენეების" პარტიული იარლიყი მოგვაწებეს, რაც ძალიან გვიშლის ხელს მუშაობაში."

2 დეკემბერს ტელეკომპანია უRF 2200 საინფორმაციო გამოშვების პირველ 10-წუთიან მონაკვეთს მთლიანად უთმობს ზვიადს. მასპინძლების თქმით, ძალიან კარგი გაშუქებაა. ზვიადიც კმაყოფილია.

დღის მეორე ნახევარში პარლამენტში ადამიანის უფლებათა კომიტეტის სპიკერს, ქრისტიანული პარტიის წარმომადგენელს დოქტორ **ჰოჰტლს** შევხვდით, რომელიც ძალიან კეთილგანწყობილი ჩანდა, "დინების საწინააღმდეგო ცურვა" გაიხსენა. ამას მოჰყვა ხუმრობა იმაზე, თუ რა მიაქვს თან დინებას. დოქტორმა ჰოჰტლმა ჩამოგვართვა ყველა ჩვენს ხელთ არსებული მასალები საგარეო და თავდაცვის მინისტრებისათვის გადასაცემად და ზვიადს ყველანაირი დახმარება აღუთქვა.

3 დეკემბერს ორსაათიანი პრესკონფერენცია გაიმართა პრესკლუბ Concordia-ში. დასაწყისში ვანდა ვანზიდლერმა წარმოადგინა IGFM-ის მიერ მოძიებული მასალები. მნიშვნელოვანი ნაწილი "მხედრიონის" სამეგრელოში ჩატარებულ რეიდებს დაეთმო, განსაკუთრებით - წალენჯიხაში განვითარებულ მოვლენებს; წარმოდგენილი იყო მდიდარი ვიდეო- და ფოტომასალა, პოლიტპატიმართა დეტალური სია. ამის შემდეგ ზვიადმა მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხა. პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ იყო ცალკეული ინტერვიუები, მათ შორის - თრაპ-რაჟუ-ის კორესპონდენტთან, იაპონურ The Sehai Nippo-სთან, ვატიკანის გამოცემასთან, ავსტრიულ უVP-სთან - ყველა არ მახსოვს.

3 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში მივედით. შეხვედრას სახელმწიფო მდივანი და რამდენიმე სხვა მოხელე ესწრებოდა. ესენი შეშინებულები და იერიშის მოსაგერიებლად გამზადებულები ჩანდნენ, თანაც თავი მოისულელეს - საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცითო. ზვიადმა "დააწყნარა": ძალიან ვაფასებ, რომ თქვენი მთავრობა გერმანელებზე უფრო პრინციპულად იქცევა, ჩემთვის პატარა ქვეყნის პრობლემები გასაგებია, ვიცი, რა წნეხის ქვეშაც ხართ, ფინეთშიც ანალოგიური მდგომარეობააო... შერჩათ საჩხუბრად მომართული მუშტები ჰაერში.

ამასობაში ინტერვიუები გრძელდებოდა. 3 დეკემბერს, 18 საათზე Rundfunk-მა ვრცელი რადიოინტერვიუ გადასცა. 4 დეკემბერს დილით - Deutsche Funk-მა - პირდაპირ ეთერში - ძალიან კარგი ინტერვიუ, 13 საათზე - Osterreich Funk-მა ზვიადს ერთსაათიანი გადაცემა მიუძღვნა პრეს-კონფერენციის დეტალური ანალიზით და ცალკე ინტერვიუთი. რედაქციის კომენტარი:"საქართველოში პუტჩი მაფიასთან და მოსკოვთან დაპირისპირების გამო მოხდა..." ეს უკანასკნელი ყველაზე პოპულარული ახალგაზრდული რადიოსადგურია. ზვიადის სიტყვები: "ჩვენ თავისუფალ არჩევნებში დავამარცხეთ კომუნისტები... საპრეზიდენტო არჩევნებში 5 მოწინააღმდეგე მყავდა... მე მსახავენ აღმოსავლური ტიპის დიქტატორად, ფაშისტად... ჩემს წინააღმდეგ საშინელი კამპანია გაჩაღდა დასავლეთის პრესაში... პუტჩს გორბაჩოვი და შევარდნაძე ამზადებდნენ და ხელმძღვანელობდნენ... პუტჩისტებს იარაღითა და სპეციალისტებით ЗакВО ამარაგებდა... საქართველოში სახელმწიფო მაფიამ ჩაანაცვლა..."

ვენაში ყოფნისას მოგვაწოდეს ბრიტანელი დოკუმენტალისტის **კრის ვენერის** ფილმი "*Shevardnadze Unveiled*", რომლის გერმანულ ვერსიას "ნომენკლატურის რევანში" ჰქვია. ჩემი აზრით, ეს ნაშრომი პროფესიული სინდისიერებისა და სამოქალაქო გმირობის ნიმუშია. განსაკუთრებით იმედის მომცემი ის იყო, რომ ფილმი *Discovery*-მ აჩვენა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყინული დაიძრა...

4 დეკემბერს ვანდა ვანზიდლერი დაგვემშვიდობა და გერმანიაში დაბრუნდა.

ერთი დღე დაეთმო მოგზაურობას ზალცბურგში, სადაც ზვიადმა მოცარტის მუზეუმი მოინახულა, ზალცბურგის გოეთეანუმში კი იმპროვიზებული ლექცია წაიკითხა გერმანულად. ლექცია ეხებოდა ზვიადისა და მერაბის ბრძოლას სულიერებისათვის ტოტალიტარიზმის ეპოქაში, ანტროპოსოფიის როლს ამ ბრძოლაში. ლექციას ასამდე მსმენელი დაესწრო.

ფინეთისა და ავსტრიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით პრეზიდენტ გამსახურდიას ევროპული ტურნე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა (ოფიციალურ დონეზე წარმატებას არავინ ელოდა), ამიტომ ზვიადმა გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა მოეცვა. ვენაში მივმართეთ გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის საკონსულოებს, საიდანაც მიწვევები გვქონდა მიღებული (ინგლისიდან - **ჩარლზ ჩქოტუასაგან**). მივმართეთ აგრეთვე შვეიცარიის საკონსულოს, სადაც იმ დროს ზვიადის ვაჟი - კონსტანტინე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად პოლიტიკური დევნილის სტატუსით.

აქ იწყება მოგზაურობის "დეტექტიური" ნაწილი, რომელიც კალეიდოსკოპური სისწრაფით დატრიალდა.

შვეიცარიის კონსულმა ზვიადი საკონსულოში მიიპატიჟა და ძალიან დელიკატურად მოგზაურობის მიზეზი ჰკითხა. ზვიადმა უპასუხა, რომ ძირითადი მიზეზი - შვილიშვილების მონახულებაა, მათგან უმცროსი - ზვიადი ემიგრაციაში დაიბადა და ამიტომ ნანახი საერთოდ არ ჰყავდა. კონსულმა თქვა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სტუმრის მიღება ქვეყნისათვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ სასურველია იმის ცოდნა, თუ სად აპირებს შემდეგ ეს სტუმარი გამგზავრებას. პასუხი: "სტამბოლის გავლით ჩეჩნეთში". კონსული კითხულობს: "თურქეთის ვიზები გაქვთ?" პასუხი: "თურქეთში გამოცხადებითი სავიზო რეჟიმია" - ვაჩვენებთ პასპორტებს. კონსული (ძალიან კმაყოფილი გამომეტყველებით): "მე ამის შესახებ განსხვავებული ინფორმაცია მაქვს."(!)

სიტუაცია მართლაც საინტერესოა! საიდან უნდა იცოდეს, ან რაში სჭირდება ვენაში შვეიცარიის კონსულს იმის ცოდნა, თუ როგორი სავიზო რეჟიმი მოქმედებს თურქეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის? "ჩვენ არავითარ პრობლემებს არ შეგიქმნით, დადებითი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. სულ უბრალო რამ არის საჭირო: მაჩვენეთ თურქული ვიზები და შვეიცარულსაც დაუყოვნებლივ მიიღებთ..." მომაჯადოებელი ღიმილით კონსული შენობიდან გვაცილებს.

ცხადია, რომ მახეა. ზვიადი ამბობს: "წავიდეთ თურქეთის საკონსულოში!". მე ვეხვეწები: "ბატონო ზვიად, თქვენ სასტუმროში დაბრუნდით, მე ვეცდები გავარკვიო, რა ხდება." "არა." წავედით თურქეთის საკონსულოში. ზვიადი საკონსულოში შესვლისთანავე იცნეს და ატყდა აქეთ-იქეთ სირბილი და ჩურჩული: "გამსახურდია, გამსახურდია..." ნათელია, რომ ელოდებოდნენ. ზვიადმა მოითხოვა კონსულთან დაუყოვნებლივ შეხვედრა. რამდენიმე წუთში კონსულმა ქალმა - გვარად **სოისალ** - მიგვიღო. "რაშია საქმე?"- ვეკითხებით. "თქვენი პასპორტები თურქეთის ტერიტორიაზე ძალადაკარგულია," - გვპასუხობს. "როდიდან?" - ვეკითხებით. "დიდი ხანია." "კი მაგრამ, ამ პასპორტებით არ შეგვიშვეს 23 ნოემბერს?" - ვაჩვენებ ვიზებს. მხრებს იჩეჩავს... "200 მილიონი ადამიანისათვის ძალაშია და ჩვენთვის არა?" მხრებს იჩეჩავს... ზვიადი დადუმდა... კონსულს ვეკითხები: "სტამბოლში პრეზიდენტი გამსახურდია პრეზიდენტ ოზალს შეხვდა. გსმენიათ ამაზე რამე?" პასუხი: "პრეზიდენტი ამჟამად თურქეთში არ იმყოფება. ამასთან, მთავრობას პრეზიდენტი კი არა, პრემიერი ხელმძღვანელობს, მე მთავრობის მოხელე ვარ" (მაშინ პრემიერი **დემირელი** იყო)... "სტამბოლის აეროპორტის სატრანზიტო ნაწილში ვიზა სავალდებულოა თუ არა?" - ვეკითხები. მხრებს იჩეჩავს: "ამაზე ახლა ვერ გიპასუხებთ(!). ამის დასადგენად დრო მჭირდება. დამიტოვეთ თქვენი კოორდინატები და პასუხს შეგატყობინებთ"... საუბრის გაგრძელებას აზრი ეკარგება. კონსულის ბოლო ფრაზა მოულოდნელად გულახდილია: "მე მხოლოდ მოხელე ვარ და გადაწყვეტილებებს არ ვიღებ".

დავბრუნდით სასტუმროში. ზვიადის დავალებით ვრეკავ სტამბოლში - იქაურ მასპინძელთან, რომელსაც დაბრუნებისას ოზალთან ანკარაში უნდა მოეწყო შეხვედრა. მეუბნებიან, რომ რუსეთშია წასული და ტელეფონი არ დაუტოვებია(!). ძლივს მივაკვლიე კომპანიის დირექტორს, რომელიც სტამბოლში გვერდიდან არ გვცილდებოდა; ავუხსენი სიტუაცია. ვეკითხები: "იქნებ ამიხსნათ, რა შეიცვალა?" "არ ვიცი," - აშკარად შეშინებულია. ვერაფერი ვერ დავადგინე. ზვიადი მეუბნება:"იქნებ იმ ლაზ კაცს, ზაქარიას დაუკავშირდე". ბედად, იმისი სავიზიტო ბარათი ვიპოვე და ძლივს დავუკავშირდი. ზაქარიაც ძალიან შეშინებულია, მაგრამ პატიოსნად მეუბნება: "ძალიან ცუდი ამბებია: თქვენი აქედან წასვლიდან რამდენიმე დღეში სტამბოლის წამყვანმა გაზეთმა (თუ არ ვცდები, *Miliet* ) გამოაქვეყნა მასალა იმის შესახებ, თითქოს გამსახურდიამ არალეგალურად შემოაღწია თურქეთში... რომ გამსახურდია და დუდაევი ქურთ სეპარატისტებთან თანამშრომლობენ და მათ იარაღით ამარაგებენ(!)... ყველას ესმის, რომ ეს აბსურდია, მაგრამ როგორც ჩანს, კამპანია ძალიან გავლენიანი ძალების მიერაა ორგანიზებული..." ზაქარიას ვეკითხები, საჭიროა თუ არა სტამბოლის აეროპორტის სატრანზიტო ნაწილში მოსახვედრად სატრანზიტო ვიზა. მპასუხობს, რომ ჩვეულებრივ შემთხვევებში - არა.

ეს ყველაფერი 7 დეკემბერს ხდება, 10 რიცხვში კი ავსტრიაში ყოფნის ვადა იწურება. ჩეჩნეთიდან გვატყობინებენ, რომ ჩარტერული რეისი გროზნოდან სტამბოლში ისეთი რეგულარობით ვეღარ დაფრინავს ICAO -ს აკრძალვის გამო. უახლოესი ასეთი რეისი, უკვე აზერბაიჯანის დროშით - ბაქოს გავლით - 12 დეკემბერს იგეგმება.

სიტუაცია თანდათან მძიმდება. კატარინა გრიბმა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიზების გაგრძელების თხოვნით მიმართა და უარი მიიღო. ჩარლზ ჩქოტუა ლონდონიდან იტყობინება, რომ სამინისტრო ვიზების გაცემას უარობს, თუმცა ოფიციალურ პასუხს არ იძლევა. საფრანგეთიდანაც იგივე პასუხია. ამასობაში მასპინძელი - კატარინა გრიბი დაიკარგა: IGFM-ის ოფისში აღარ მიდის. ვრეკავ სახლში - შვილი მეუბნება: "ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ვიცოდე, სადაა დედაჩემი" - მოკლედ, დაიმალა, ან დამალეს. ზვიადს გაეცინა: "ადამიანის უფლებების დაცვას რომ ხელობად გაიხდის, იმ ადამიანს ბევრი არ მოეთხოვება..." რუსუდან შმიდტის ქმარი ერვინი გერმანიაში რამდენიმე უცნობმა სასტიკად სცემა, ურტყამდნენ და თან აყოლებდნენ: შენი ცოლი სად დაბრძანდებაო. პოლიციაში "დააწყნარეს" - ალბათ სკინჰედები იყვნენო. ვანდას ვურეკავ - გაოგნებულია და არაფერი არ შეუძლია. ვცდილობთ უნგრეთის პრეზიდენტს **არპად გენცს** დავუკავშირდეთ, რომელთანაც ზვიადმა ჰელსინკიდან ტელეფონით ისაუბრა და მიპატიჟებაც მიიღო - იმალება. ვრეკავ ბაქოში - ვერც ელჩიბეის, ვერც **გამიდოვს** (შინაგან საქმეთა მინისტრს) ვერ ვუკავშირდები.

ამის პარალელურად "უცნაურობების" მეორე ტალღა დაიწყო: სხვადასხვა მხრიდან არ წყდება ზარები: **კოტე ნადირაშვილი** - "რადიო თავისუფლებიდან", **კლოდ კემულარია** - პარიზიდან (ეს - რაც მე ვიცი), შევარდნაძესთან მოლაპარაკების გამართვის შეთავაზებით, გარანტიებით და ა.შ. ზვიადის პასუხი ერთია: "მე შევარდნაძეს არაფერს ვერჩი. აღიაროს რაც ჩაიდინა, გადადგეს და ხელშეუხებლობის გარანტიას მივცემ..." როგორც ჩანს, ამ ტიპის შეთავაზებები მისთვის ახალი არ იყო. შედარებით შემაშფოთებელია შამსუდინ იუსეფისაგან მოსული იგივე წინადადება, რომელმაც ამასობაში წარუმატებელი არაბული ვოიაჟიდან გროზნოში დაბრუნება მოასწრო. ეს შამსუდინის თვითშემოქმედების ნაყოფი იყო, თუ საერთო ტალღის ნაწილი, ძნელი სათქმელია.

10 დეკემბერს, დილით, ზაქარია სტამბოლიდან იტყობინება: "თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა - არ შემოვუშვებთო". **ოტტო ფონ ჰაბსბურგმა***, რომელთანაც ზვიადს მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა, ავსტრიული ვიზის გაგრძელებაში დახმარება აღუთქვა: "ყველაფერ ვილონებ, ბატონო პრეზიდენტო. რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ახლოა განთიადი..."

თითქმის გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა. დავუშვათ, თურქეთის მთავრობის მუქარას ყური არ ვათხოვეთ, სტამბოლში ჩავფრინდით და სატრანზიტო ნაწილიდან არ გამოვდივართ. რა გარანტიაა, რომ გროზნოდან თვითმფრინავს ჩამოუშვებენ? ეს რომ რეგულარული რეისი ყოფილიყო, იტყოდი, რომ ამა და ამ რეისს ელოდები... მართლაც, 12 დეკემბერს გროზნოდან აზერბაიჯანის დროშით გამოფრენილი თვითმფრინავი ბაქოში ჩაფრინდა, მაგრამ იქ გაურკვეველი დროით გაიჭედა, რადგან თურქეთმა აღარ შეუშვა!

როგორც ჩანს, პრეზიდენტ გამსახურდიას დაკავებას ან მითუმეტეს, ექსტრადირებას ვერ გაბედავდნენ. სხვანაირად, რით აიხსნებოდა შვეიცარიისა და თურქეთის საკონსულოების მიერ ერთობლივად გათამაშებული ფარსი? ყველაფერ ამაში სხვა ჩანაფიქრი ჩანდა: რამენაირად მოეცილებინათ ზვიადი კავკასიას. რადგან ჩეჩნეთში დასაბრუნებელი გზა მოჭრილია, ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი რჩება - მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი, მაგ. ავსტრიაში ან სხვა ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, რომ დაუყოვნებლივ მისცემდნენ. მაგრამ ზვიადმა ეს "ლოგიკური" გამოსავალი კატეგორიულად უარყო: "ეს კაპიტულაციის ტოლფასია..."

ვრეკავთ გროზნოში - თვითმფრინავი ბაქოშია გაჭედილი - არც იქით, არც აქეთ. ასე გაგრძელდა 13 დეკემბრის (შაბათი დღე იყო) ღამემდე. ვიზებს ყავლი გაუვიდა. დარეკა ჰაბსბურგმა: "საგარეო საქმეთა სამინისტროში დამპირდნენ - ორშაბათს ვიზებს გავაგრძელებთო."

ამასობაში გროზნოში **ვიტაუტას ეიდუკაიტისი** გამოჩნდა. ავიაციის პოლკოვნიკი, რომელიც დუდაევის სტრატეგიული ბომბდამშენების დივიზიაში მსახურობდა, თადარიგში გასვლის შემდეგ ჯოჰარის თანამებრძოლად დარჩა, ხშირად ჩამოდიოდა გროზნოში და ჩეჩნებს რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. ვიტასმა შესთავაზა ზვიადს: "ჩაფრინდით ვილნიუსში, არანაირი ვიზები არ გინდათ, იქ თქვენს მიღებას მე უზრუნველვყოფ, ჯოჰარი კი თვითმფრინავს გამოგიგზავნით." ვიტასი საკმაოდ დაახლოებული იყო ლანდსბერგისთან, მაგრამ ლიტვაში ხელისუფლება არჩევნების შედეგად ხომ ყოფილმა (არსებობს კი ასეთი?) კომუნისტებმა დაიბრუნეს? მიუხედავად ამისა, ვიტასი ამბობს, რომ ყველაფერს თავის თავზე იღებს - თანაც გროზნოდან, ვილნიუსში მაინც იყოს!.. მომცა იმ ხალხის კოორდინატები, რომლებიც იქ დაგვხვდებიან. ზვიადმა თქვა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია.

ნაშუაღამევს, უკვე 14 დეკემბერს, წავედი ვენის აეროპორტში და ვენა-სტამბოლის ღია ბილეთიები ვენა-ვილნიუსის მიმართულებაზე გადავცვალე. დავბრუნდი სასტუმროში. დაახლოებით საათნახევარში გროზნოდან გვატყობინებენ, რომ ბაქოში 2 დღით შეჩერებული თვითმფრინავი სტამბოლის მიმართულებით გაფრინდა!

დილით დავემშვიდობეთ კონსტანტინე ზ. გამსახურდიას, რუსუდან შმიდტს და 14 დეკემბერს, 1155-ზე OS 633 რეისით ვილნიუსში გავფრინდით. საპასპორტო კონტროლი ვადაგასული ვიზებით გავიარეთ. როგორც ჩანს, ვერ შეამჩნიეს.

ვილნიუსში 1450 ჩავფრინდით. წვიმს. თვითმფრინავს ტრაპი მოადგეს. ტრაპთან ახლოს ორი შავი მანქანა და რამდენიმე საყელოაწეული ლაბადიანი და "შლაპიანი" ფიგურა ჩანს - ტიპური "სამოქალაქოში გამოწყობილი ბიჭები". ზვიადს ვთხოვე: "ბატონო ზვიად, თქვენ ცოტა ხანს აქ დაიცადეთ - რაც გინდა იყოს, თვითმფრინავი ავსტრიის ტერიტორიაა - მე გადავალ და სიტუაციაში გავერკვევი". თავი დამიქნია. კარები გააღეს თუ არა - გარეთ პირველი გავიდა. ერთი დამხვდურთაგანი მოგვიახლოვდა. "ბატონი გამსახურდია?" "დიახ." "მე **ვიტაუტას რამანაუსკასი** ვარ (სახელი ისაა, რაც ეიდუკაიტისმა თქვა). კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ლიტვაში."

უსიტყვოდ ჩავჯექით მანქანებში - ზვიადი, მე, რამანაუსკასი და მძღოლი - პირველში. დანარჩენები - მეორეში. რამანაუსკასმა პასპორტები გვთხოვა და ვიღაცას გაატანა. რამდენიმე წუთში უკან მოიტანეს - შიგნით მხოლოდ ქვეყანაში შესვლის ბეჭედია ჩარტყმული. დავიძარით. ასაფრენი ბილიკიდან ჭიშკრის გავლით პირდაპირ ქალაქში გამოვედით - არც საპასპორტო, არც საბაჟო კონტროლი არ გაგვივლია. რამდენიმე წუთმა დუმილში გაიარა - ზვიადი გაყუჩებულია, ლიტველებიც არ არიან დიდი მოლაპარაკე ხალხი. მივადექით ქალაქის ცენტრში განლაგებულ ყოფილ სამთავრობო რეზიდენციას. რამანაუსკასი გვიხსნის, რომ რეზიდენცია ახლახან გააპრივატეს - სასტუმრო Draugiste-ს გადასცეს, ახალ პატრონს ჯერ არ აუთვისებია, ამიტომ სრულიად ცარიელია - არც მაცხოვრებელი, არც მომსახურე პერსონალი არ ჩანს, მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული და შესასვლელში შეიარაღებული ჯარისკაცი დგას. ორსართულიან სასტუმრო სახლში მოგვათავსეს, რამანაუსკასმა ამიხსნა, სად რა არის და ხვალამდე დაგვემშვიდობა.

სიტუაცია, ცოტა არ იყოს, კომიკურია. სად ვართ, მეგობრებთან სტუმრად თუ კომფორტულ შინაპატიმრობაში? ზვიადს ვუთხარი: სიგარეტი გამითავდა და ვიყიდი-მეთქი. გამოვედი გარეთ და ჭიშკრისაკენ გავემართე. ჯარისკაცმა უსიტყვოდ გამიღო კარები. იქვე ახლოს, პირველსავე ჯიხურში სიგარეტი ვიყიდე და უკან დავბრუნდი. გულზე მომეშვა.

დავრეკე გროზნოში. მითხრეს, რომ ეიდუკაიტისი 16 დეკემბერს ჩამოფრინდება. ვენაში დარჩენილებს შევატყობინე, რომ სამშვიდობოს ვართ. სხვათაშორის, ჩვენი წამოსვლის შემდეგ თურქეთის კონსულს დაურეკავს და სატრანზიტო ვიზაზეც უარი უთქვამს.

მეორე დღეს რამანაუსკასი დილით მოვიდა და სადილობამდე ვილნიუსს გვათვალიერებინებდა. მერე ზვიადს ჰკითხა: ჩემმა მეუღლემ ოჯახური სადილი მოგიმზადათ, თანაც შემჭამა, ზვიად გამსახურდიას ნახვა მინდა და კადნიერებაში ხომ არ ჩამომართმევთ, რომ მოვიყვანოო? ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და ჩვენს სასტუმრო სახლში რამანაუსკასი ცოლთან ერთად გვეწვია. ერთად ვისადილეთ.

გვიან საღამოს უეცრად ლანდსბერგისი მოვიდა. ძალიან დაღლილი და მობერებული ჩანდა. თბილი შეხვედრა ჰქონდათ. "კომუნისტებთან არჩევნებში როგორ წააგეთ?" - პირდაპირ ჰკითხა ზვიადმა. ოთახიდან ჩუმად გამოვედი და ლანდსბერგისის ახსნა-განმარტება აღარ მომისმენია. დაახლოებით ორი საათი ისაუბრეს.

16 დეკემბერს, დაპირებისამებრ, ვილნიუსში გროზნოდან ჩარტერული რეისით ტუ-135 ჩამოფრინდა, რომელსაც ვიტას ეიდუკაიტისი და **სოსო თორია** ჩამოჰყვნენ. ვიტასი ტრაბახობდა: კომუნისტებს მაგარი ფანდი ჩავუტარე, ახლაც აზრზე არ არიან, ზვიადი რომ აქ არისო! არ ჰქონდა სატრაბახო?

17 დეკემბერს ვიტასმა გროზნოდან ჩამოსული თვითმფრინავისათვის ახალი საფრენი ნომერი და მარშრუტი გააფორმა - ვითომ ვილნიუსი-ბაქოს ჩარტერული რეისი სრულდებოდა. ცარიელ თვითმფრინავში ზვიადი, მე და სოსო თორია ჩავსხედით და ვილნიუსიდან "ბაქოსკენ" 1845-ზე გამოვფრინდით. სამი საათის შემდეგ გროზნოსთან მოახლოებულმა თვითმფრინავმა საჰაერო-სადისპეტჩერო სამსახურისათვის მოულოდნელი მანევრი შეასრულა და გროზნოს აეროპორტში დაეშვა. თვითმფრინავიდან გადმოსვლისას ზვიადმა თქვა: "აქ დაბრუნება თივის ზვინში ნემსის პოვნას ჰგავს."

ზვიადის გროზნოში დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში თურქეთის პრეზიდენტი ტურგუტ ოზალი უეცარი გულის შეტევით გარდაიცვალა...

*გროზნო-სტამბოლი-ჰელსინკი-ვენა-ვილნიუსი-თბილისი 1992-2005 წწ.*

* დოქტორი **ოტტო ფონ ჰაბსბურგი** - ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, ავსტრიის კრონპრინცი - საქართველოს უანგარო და ერთგული მეგობარი. ერთადერთი საერთაშორისო რანგის პოლიტიკოსი, რომელსაც უპასუხოდ არ დაუტოვებია პრეზიდენტ გამსახურდიას არც ერთი ოფიციალური მიმართვა თუ მეგობრული თხოვნა და ყველაფერი იღონა შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმის სამხილებლად. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, ფინეთიდან ორჯერ მივმართე დახმარებისათვის. ერთხელ - პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის განაჩენის გამო, მეორედ - პატიმრობაში მყოფი ნუგზარ მოლოდინაშვილის შიმშილობასთან დაკავშირებით. როგორც ყოველთვის, მისმა სამეფო უმაღლესობამ (ასე მიმართავდა ხოლმე პრეზიდენტი გამსახურდია და მეც არ დამირღვევია ტრადიცია) ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ მიეპყრო ამ მოვლენებისათვის საერთაშორისო ყურადღება - **ერთადერთი რამ, რასაც მაშინდელ საქართველოში ანგარიშს უწევდნენ**. ვშიშობ, რომ ამ თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
BORJOMI
GPI HOLDING
GRDC

General Motors Hummer-ის ჯიპებს აღარ გამოუშვებს



Microsoft-ზე მეთვალყურეობა გაგრძელდება

აშშ-მ Mittal Steel-ს Arcelor-ის შეძენის უფლება მისცა

ბოლივიას ოპეკში შესვლა სურს B3




გამარჯვების გზებზე ვდგებით... B4

## დაზღვევა

### სადაზღვევო ბაზარი ყოველ წელიწადს 35 პროცენტით იზრდება

ეთერ მამულაშვილი

*იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, სადაზღვევო კომპანიების სწრაფი გაფართოება და ამ ბაზარზე ახალი მოთამაშეების ხშირი გამოჩენა, ერთი შეხედვით, დაუჯერებლად გამოიყურება. არადა, სტატისტიკისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ - სადაზღვევო ბაზარი და, შესაბამისად, დაზღვეულ პირთა რაოდენობა თითქმის ყოველ წელიწადს 30-35 პროცენტით იზრდება. და როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ბაზრის განვითარების მასშტაბები არნახულ მაჩვენებლებს მიაღწევს. მათივე შეფასებით, სადაზღვევო ინდუსტრიის ასეთი სწრაფი ზრდა ძალიან დიდი კონკურენციის შედეგია. ამ ბაზარზე რომ მართლაც უკომპრომისო კონკურენციაა, ამას ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიც მოწმობს.*




სადაზღვევო კომპანიების მიერ 2006 წლის I კვარტალის განმავლობაში გაწეული საქმიანობა
(ათას ლარებში)

| N | სადაზღვევო კომპანიის დასახელება | მოზიდული ჯამური პრემია | გადამზღვევის კუთვნილი პრემია | მთლიანად ანაზღაურებული ზარალი | კომპანიის მიერ ანაზღაურებული ზარალი | გადამზღვეველის მიერ ანაზღაურებული ზარალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი | 5,156,676 | 779,131 | 1,166,234 | 951,917 | 214,317 |
| 2 | ალდაგი | 4,305,127 | 2,740,057 | 1,237,943 | 421,326 | 816,617 |
| 3 | ჰი სი აი | 3,781,982 | 1,074,988 | 467,286 | 246,021 | 221,265 |
| 4 | იმედი L | 2,065,632 | 1,224,350 | 191,145 | 185,884 | 5,261 |
| 5 | ქართუ | 1,269,273 | 40,374 | 1,008,829 | 1,008,829 | 0 |
| 6 | ირაო | 806,521 | 392,844 | 107,377 | 105,890 | 1,487 |
| 7 | აი სი ჯგუფი | 597,556 | 150 565 | 2,396 | 2,396 | 0 |
| 8 | AIG ევროპა საქ. ფილ. | 338,654 | 99,939 | 0 | 0 | 0 |
| 9 | ეროვნული ბანკი (საპ.სქემა) | 171,507 | 0 | 37,182 | 37,182 | 0 |
| 10 | გეოპოლისი | 151,843 | 0 | 12,730 | 12,730 | 0 |
| 11 | პი-აი-სი | 61,906 | 6,072 | 121 | 121 | 0 |
| 12 | ვესტი | 58,190 | 0 | 14,793 | 14,793 | 0 |
| 13 | საქ.სად.კომპანია | 56,974 | 0 | 139,254 | 139,254 | 0 |
| 14 | ოლიმპი | 51,587 | 0 | 15,000 | 15,000 | 0 |
| 15 | ანკორა | 9,177 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ჯამი | 18,882,605 | 6,508,320 | 4,400,290 | 3,141,343 | 1,258,947 |

B2

## მსოფლიოში ნავთობის მოხმარება 1,6 მილიონი ბარელით გაიზარდა

ნინო ნატროშვილი

*მსოფლიოში ნავთობის და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტების ფასი მარტის თვიდან ინტენსიურად იზრდება. თუ 2006 წლის 1 მარტს 1 ტონა "პრემიუმის" მარკის ბენზინი 527.50 დოლარი ღირდა, 12 მაისს ამ მარკის ბენზინის ღირებულება 737.50 დოლარამდე გაიზარდა. 1 ტონა დიზელის საწვავის ფასი 1 მარტს 537.38 დოლარს შეადგენდა. 12 მაისს დიზელის ფასი მსოფლიო პლაცით 659.75 დოლარს გაუტოლდა. ნავთის ფასი 583 დოლარი იყო. ბოლო მონაცემებით კი, 1 ტონა ნავთი 705.25 დოლარი ღირს. მაზუთის ფასი მარტში 331.50 დოლარს შეადგენდა. მაისის მონაცემებით, კი 1 ტონა მაზუთი 337 დოლარი ღირს. ორი თვის წინ, მსოფლიო პლაცით, 1 ბარელი ბრენდის ტიპის ნავთობი 59.83 დოლარი ღირდა, მაისის მონაცემებით კი, 1 ბარელი ნავთობის ფასი 72.05 დოლარამდე გაიზარდა.*

**ნავთობის ფასების ზრდა, ძირითადად, დამოკიდებულია ირანის კრიზისზე. დაძაბულობის განმუხტვის შემთხვევაში ნავთობზე ფასები აუცილებლად დაიწევს და, სავარაუდოდ, ძველ ნიშნულს - 60 დოლარს დაუბრუნდება, ხოლო სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში ფასების ზრდა გარდაუვალია.**

B4

## "მგლები" ენერგო-საინფორმაციო ეპოქაში

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

*გასულ კვირას ცხადი გახდა, რომ გაეროს მეშვეობით ირანზე ზეწოლა, რუსეთისა და ჩინეთის (გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების) მხრიდან წინააღმდეგობის გამო, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამ არცთუ ისე მოულოდნელ აღმოჩენას დასავლეთის ახალი მიმართულებით გააქტიურება მოჰყვა: თუკი ვაშინგტონი რუს და ჩინელ კოლეგებს ვერ დაარწმუნებდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მკაცრი რეზოლუციისათვის მხარი დაეჭირათ, ირანთან მორიგებას საკუთარ თავზე ძველი კონტინენტი აიღებდა. დაიწყო საუბარი, რომ ევროკავშირი ვაშინგტონის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად (უფრო სწორად, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის სამეულის) აპირებდა თეირანისათვის, ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ, მთელი რიგი ეკონომიკური დახმარებების პაკეტი შეეთავაზებინა. როგორც იუწყებიან, ერთ-ერთი ასეთი დახმარება ირანის სატრანზიტო ქვეყნად ქცევას - მისი ტერიტორიის მეშვეობით შუა აზიის გაზისა და ნავთობის დასავლეთში ექსპორტირებას - ითვალისწინებდა. ამ პროექტის განხორციელებით ერთბაშად ბევრი პრობლემა იჭრებოდა: ირანის ბირთვული დასასრული, დასავლეთთან მისი ეკონომიკური დამოკიდებულების გაზრდა და, პერსპექტივაში, თეირანის იზოლაციიდან გამოყვანა, ასევე შუა აზიის ენერგორესურსებისათვის ალტერნატიული მარშრუტის გამოძებნა და ამ სფეროში არსებული რუსული მონოპოლიის შესუსტება.*



B3

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3958 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0042 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4923 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8080 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8421 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1762 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3085 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3140 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3000 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4703 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3477 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3289 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1625 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3641 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1977 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2577 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4079 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6369 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2813 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6963 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3961 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2962 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6017 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6074 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0668 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1540 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4050 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5624 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4828 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6041 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8829 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2517 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1480 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2468 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4734 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2259 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2332 |



# სადაზღვევო ბაზარი ყოველ წელიწადს 35 პროცენტით იზრდება

პირველი გვერდიდან

## ზოგადი მიმოხილვა

წელს სადაზღვევო ბაზარზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ ბაზარს ერთი საკმაოდ მსხვილი მოთამაშეე შეემატა, უკვე არსებულმა კომპანიებმა მომხმარებელს დამატებით რამდენიმე ახალი სადაზღვევო პროდუქტი შესთავაზეს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის უკანასკნელი მონაცემებით, სადაზღვევო ბაზარზე 15 კომპანია ფუნქციონირებს, რომელთა მიერ წლის პირველ კვარტალში მოზიდულმა პრემიამ 18 მილიონ 800 ათას ლარს გადააჭარბა, აქედან 6 მილიონ 508 ათასი ლარი გადამზღვეველის კუთვნილი პრემია იყო. რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიების მიერ ამავე პერიოდში ანაზღაურებული ზარალის მოცულობას, ის 4 მილიონ 400 ათას ლარს ოდნავ აღემატებდა, საიდანაც 3 მილიონი უშუალოდ კომპანიებმა აანაზღაურეს.

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის მიერ დღეისათვის ლიცენზირებულია 17 ძირითადი სახეობის სადაზღვევო პროდუქტი, თუმცა კომპანიების უმრავლესობა მხოლოდ რამდენიმე დასახელების პროდუქტს ყიდის.

წელს ყველაზე მეტი, 16 სადაზღვევო პროდუქტი კომპანია "იმედი L"-მა გაყიდა. 13-13 სადაზღვევო პროდუქტი გაყიდეს BCI და GPIH, ხოლო "ალდაგმა" ამავე პერიოდში 12 დასახელების სადაზღვევო პროდუქტი გაყიდა. რეიტინგების ბოლოში მყოფმა სადაზღვევო კომპანია "ანკორამ" 2006 წლის პირველ კვარტალში ყველაზე ცოტა, მხოლოდ ერთი სადაზღვევო პროდუქტი - ფინანსური რისკები გაყიდა. "საქართველოს სადაზღვევო კომპანია" შარშანაც და წელსაც ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა გაყიდა.

საინტერესო პროცესები ვითარდებოდა ამ ინდუსტრიაში გასულ წელს. შარშან სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციას ერთმანეთს 16 კომპანია უწევდა, რომელთა მიერ მოკრებილმა პრემიამ 61 მილიონ 577 ათასი, ხოლო ანაზღაურებულმა ზარალმა - 15 მილიონ 951 ათასი ლარი შეადგინა (მოზიდული ჯამური პრემიის 26 პროცენტი).

პრემიების ნაწილში შარშან, 2004 წელთან შედარებით, სადაზღვევო ბაზარი 36.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ზარალის - 26.3 პროცენტით.

გასულ წელს მთლიანად ანაზღაურებული ზარალიდან უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებზე 10 მილიონ 681 ათასი ლარი მოდიოდა ანუ მთლიანი ზარალის 66,9 პროცენტი, ხოლო გადამზღვევლების წილად - 5 მილიონ 269 ათასი ლარი ანუ 33,1 პროცენტი.

გასულ წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ მშპ-თან მიმართებაში 0.53 პროცენტი შეადგინა.

შარშან ზრდის ტემპები დაფიქსირდა ერთ სულ მოსახლეზე გადახდილი სადაზღვევო პრემიის მაჩვენებლის მიხედვითაც. თუკი 2004 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადახდილმა სადაზღვევო პრემიამ 9 ლარი შეადგინა, შარშან ამ მაჩვენებელმა 14.4 ლარს მიაღწია.

სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის ამაღლებისა და აღებული რისკების გადანაწილების მიზნით გადაზღვევა შარშან 13-მა სადაზღვევო კომპანიამ განახორციელა. გადაზღვევაზე მთლიანად მიმართული იყო 27 მილიონ 991 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ჯამური პრემიის 45.4 პროცენტი.

## რას აზღვევენ ყველაზე ხშირად?

რომელ სადაზღვევო პროდუქტს ყიდიან ყველაზე კარგად კომპანიები და რაზე არის ყველაზე ხშირი მოთხოვნა? თუკი უკასნკნელ ოთხ წელს არ ჩავთვლით, 1997 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს სადაზღვევო პროდუქტებზე განსხვავებული მოთხოვნები იყო. მაგალითად: თუკი 1997 წელს ყველაზე ხშირად მოქალაქეები საკუთარ თავს უბედური შემთხვევებისგან აზღვევდნენ, ამ წელს მთლიანად მოზიდული პრემიის 33 პროცენტი დაზღვევის ამ სახეობაზე მოდიოდა, 2000 წელს სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის პროდუქტზე იყო ყველაზე დიდი (22 პროცენტი) მოთხოვნა. შვიდირვა წლის წინათ, რაკიღა ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა კანონით იყო სავალდებულო, 1998-1999 წლებში ყველაზე დიდი მოთხოვნა (შესაბამისად, 38 და 30 პროცენტი) დაზღვევის ამ სახეობაზე დაფიქსირდა.

2001 წელს ყველაზე კარგად (24 პროცენტი) სამედიცინო დაზღვევა გაიყიდა, მას შემდეგ მოყოლებული, 2005 წლის ჩათვლით, სადაზღვევო კომპანიებს ყველაზე მეტად ქონების დაზღვევა ეყიდებოდათ.

წლევანდელი წლის პირველი კვარტლის შედეგები აჩვენებს, რომ სადაზღვევო პროდუქტებს შორის, გაყიდვების თვალსაზრისით, ისევ სამედიცინო დაზღვევა ლიდერობს. წელს კომპანიების მიერ მოკრებილი თანხის 36 პროცენტი, ანუ 6 მილიონ 765 ათასი ლარი, დაზღვევის ამ პროდუქტზე მოდიოდა. სამედიცინო დაზღვევა წელს მხოლოდ 9 კომპანიამ გაყიდა, რომელთა მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა დაზღვევის ამ სახეობაში 2 მილიონ ლარს ოდნავ გადააჭარბა. ცნობისათვის: გასულ წელს სამედიცინო დაზღვევის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა საერთო შემოსავლების მხოლოდ 19 პროცენტი შეადგინა.

სამედიცინო დაზღვევის შემდეგ წელს ყველაზე დიდი მოთხოვნა ქონებისა და ავტომობილების დაზღვევებზე დაფიქსირდა - შესაბამისად, 2 მილიონ 880 ათასი (საერთო პრემიის 16 პროცენტი) და 2 მილიონ 314 ათასი ლარი (14 პროცენტი).

წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა დაზღვევის ისეთ სახეობებზე, როგორიც არის საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა და ფინანსური რისკების დაზღვევა. მარტივი შედარებისთვის, თუკი შარშან მთელი წლის განმავლობაში კომპანიების მიერ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 2 მილიონ 519 ათასი ლარი შეადგინა, წელს, მარტო პირველ კვარტალში დაზღვევის ამავე პროდუქტიდან მოზიდულმა პრემიამ 1 მილიონ 887 ათასი ლარი (საერთო პრემიის 10 პროცენტი) შეადგინა. დაახლოებით იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ფინანსური რისკების დაზღვევაშიც; 2005 წელს 2 მილიონ 446 ათასი ლარის ღირებულების პროდუქტი გაყიდეს კომპანიებმა, ხოლო მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში იმავე პროდუქტის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 1 მილიონ 414 ათასი ლარი შეადგინა (7 პროცენტი).

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილების) დაზღვევა, სამედიცინოს შემდეგ, ამ წელიწადს დაზღვევის ყველაზე მსხვილი სახეობა იყო, სადაც 6 კომპანიის მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა 1 მილიონ 232 ათასი ლარი შეადგინა.

წლის პირველ კვარტალში ყველაზე ცოტა მოთხოვნა საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე დაფიქსირდა, საიდანაც მიღებულმა შემოსავლმა მხოლოდ 1100 ლარი შეადგინა.

## სადაზღვევო ბაზრის მოთამაშეები

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის 1 აპრილის მონაცემებით, ამ ბაზარზე 15 კომპანია ფუნქციონირებს. აქედან "აი სი ჯგუფი" ყველაზე ახალგაზრდა კომპანიაა, რომელმაც ლიცენზია გასული წლის მაისში მიიღო, თუმცა სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვა, თანაც, საკმაოდ წარმატებულად. მან მხოლოდ წელს დაიწყო. "აი სი ჯგუფს", მოზიდული პრემიების (3 პროცენტი) მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებს შორის მე-7 ადგილი უკავია.

წლის დასაწყისში სადაზღვევო ბაზარს ორი მოთამაშე - "ევროპეისი" და "სადაზღვევო ჯგუფი ტემზა" - გამოაკლდა, რომელთა წილი შარშან ბაზარზე შესაბამისად 5.5 და 0.6 პროცენტს შეადგენდა.

2005 წელს სადაზღვევო ბაზარზე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, მათ შორის იყო კომპანიების შერწყმა-გაერთიანება. გასულ წელს "ალდაგმა" "სელბის" აქციების 100 პროცენტი შეიძინა, ხოლო "ირაოს" 51 პროცენტის მფლობელი GPIH გახდა.

ბანკმა "რესპუბლიკა" შარშან "ალდაგში" სერიოზული ინვესტიცია განახორციელა, რითიც ის ამ სადაზღვევო კომპანიის აქციების 50 პროცენტის მფლობელი გახდა.

მოზიდული პრემიების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიების პირველი ხუთეული - "ალდაგი", "იმედი L", BCI, GPIH და "ქართუ", ბოლო რამდენიმე წელია, არ შეცვლილა. თუმცა გარკვეული გადაადგილებები წლის პირველ კვარტალში მოხდა. მაგალითად, შარშან პირველ ადგილზე მყოფმა "ალდაგმა" წელს მეორეზე გადაინაცვლა, ხოლო მეოთხეზე მყოფი GPIH-ი პირველ ადგილს იკავებს. ამ ბაზარზე მეორე ადგილი შარშან "იმედი L"-ს ეკავა, რომელმაც წელს მეოთხე ადგილზე ჩამოინაცვლა. მესამე ადგილი სტაბილურად BCI-ს უკავია. ერთად აღებული ხუთივე კომპანია გასულ წელს სადაზღვევო ბაზრის 79 პროცენტს ფლობდა, წელს კი - თითქმის 88 პროცენტს. 16 მილიონ 500 ათას ლარს აჭარბებს იმ სადაზღვევო პრემიის მოცულობა, რომელიც ამ ხუთმა კომპანიამ წლის პირველ კვარტალში მოაგროვა, ხოლო მათ მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა 3 მილიონ 900 ათასი ლარი შეადგინა.













## GPIH-ი სადაზღვევო ბაზრის ლიდერი ხდება

საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგს, ანუ იგივე GPIH-ს, უკანასკნელი მონაცემებით, ბაზარზე ლიდერის პოზიცია უკავია. შარშან მეოთხე ადგილზე მყოფი სადაზღვევო კომპანია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რეიტინგის სათავეში მოექცა.

ამ პერიოდში ცალკე GPIH-ის მიერ მოკრებილმა სადაზღვევო პრემიამ 5 მილიონ 156 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო "ირაოსთან" ერთად, რომლის აქციების 51 პროცენტს GPIH-ი ფლობს, 6 მილიონ ლარს მიაღწია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წლის პირველ კვრტალში GPIH-მა 200 პროცენტით მეტი სადაზღვევო პრემია მოიზიდა.

უკანასკნელი მონაცემებით, GPIH-ს "ირაოსთან" ერთად სადაზღვევო ბაზრის 31 პროცენტი უკავია (GPIH - 27, ხოლო ირაო - 4 პროცენტი).

კომპანიის მიერ წელს, იანვრიდან მარტის ჩათვლით, ანაზღაურებულმა ზარალმა 1 მილიონ 166 ათასი ლარი შეადგინა.

GPIH-ი მომხმარებელს 40-მდე სხვადასხვა სახეობის სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. მიმდინარე პერიოდში ყველაზე დიდი გაყიდვები კომპანიამ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით განახორციელა. დაზღვევის ამ სახეობაში GPIH-ის მიერ მოზიდულმა პრემიამ 3 მილიონ 600 ათასი ლარი შეადგინა.

დედაქალაქის გარდა, GPIH-ს რეგიონული წარმომადგენლები ფოთსა და ბათუმში გააჩნია. კომპანიის პროდუქტების რეალიზება ასევე "თიბისი ბანკის" ფილიალების მეშვეობითაც ხდება.

უკანასკნელი მონცემებით, სადაზღვევო კომპანიის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა 80 ათასს აჭარბებს, აქედან, GPIH-ის კორპორატიული კლიენტების რიცხვი 500-ს აღემატება.

როგორც სადაზღვევო კომპანიაში აცხადებენ, წელს მომხმარებლისთვის რამდენიმე განახლებული პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება არის დაგეგმილი, განსაკუთრებით, ქონებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით.

GPIH-ი ასევე პირველ ადგილზე იმყოფება სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალის მოცულობის მიხედვითაც. კომპანიის საწესდებო კაპიტალი ამ დროისთვის 3 მილიონი ლარია.

## "ალდაგი" ლიდერის პოზიციას თმობს

უკანასკნელი წლების განმავლობაში "ალდაგი" ბაზრის ერთპიროვნული ლიდერი იყო. მის მიერ მოზიდული პრემიების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა თუნდაც იმ სადაზღვევო კომპანიების შემოსავლებს, რომლებიც პირველ სამეულში ხვდებოდნენ. მაგლითად, თუკი გასულ წელს როგორც მოზიდული პრემიების, ასევე ანაზღაურებული ზარალის მიხედვით, "ალდაგის" ხვედრითმა წილმა ბაზრზე თითქმის 27 პროცენტი შეადგინა, რიგით მეორე ლიდერი კომპანიის "იმედი L"-ის იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 16 პროცენტს აღწევდა

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მაჩვენებლებით, "ალდაგმა" პირველიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ბოლო მონაცემებით, სადაზღვევო პრემიების 23 პროცენტი სწორედ ამ კომპანიაზე მოდის.

"ალდაგის" მიერ იანვრიდან მარტის ჩათვლით მოკრებილმა პრემიამ დაახლოებით 4 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა.

"ალდაგის" მიერ "24 საათისთვის" მოწოდებული ინფორმაციიდნ ირკვევა, რომ წელს ყველაზე მეტი გაყიდვები კომპანიას ავტომობილების დაზღვევაზე (ავტოკასკო) ჰქონდა.

"ალდაგის" მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა წლის პირველ სამ თვეში 1 მილიონ 200 ათას ლარს ოდნავ გადააჭარბა.

შარშან მთელი წლის განმავლობაში "ალდაგის" მიერ მოზიდულმა პრემიამ 16 მილიონ 700 ათას ლარს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 6 მილიონი ლარით არის გაზრდილი.

2005 წელს "ალდაგის" მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა 4 მილიონ 583 ათასი ლარი შეადგინა. 2004 წელთან შედარებით, ეს მონაცემიც მნიშვნელოვნად, თითქმის 2 მილიონი ლარით არის გაზრდილი.

"ალდაგი" მომხმარებელს ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს, მათ შორის: ტვირთების, ქონების, ავტომობილების, საინჟინრო რისკების, საზღვაო და საავიაციო, ენერგეტიკული, სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის, ფინანსური, უბედური შემთხვევის, სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევას.

"ალდაგის" კლიენტების უმრავლესობა, 85 პროცენტი - ბიზნესკომპანიებსა და ორგანიზაციებზე, დანარჩენი 15 პროცენტი კერძო პირებზე მოდის.

გასულ წელს "ალდაგმა" ერთ-ერთი ქართული სადაზღვევო კომპანია "სელბის" აქციების 100 პროცენტი შეისყიდა.

თბილისის გარდა, "ალდაგს" საქართველოს კიდევ სამ ქალაქში აქვს ფილიალი გახსნილი.

სადაზღვევო კომპანიის საწესდებო კაპიტალი, უკანასკნელი მონაცემებით, 1 მილიონ ლარს შეადგენს.

## BCI-ს პოზიცია ბაზარზე სტაბილურია

"ბრიტანეთი-კავკასიის სადაზღვევო კომპანიის", ანუ იგივე BCI-ს პოზიციები სადაზღვევო ბაზარზე არ შეცვლილა. ის წელს, ისევე როგორც გასულ წელს, მესამე ადგილზე იმყოფება. თუმცა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ კომპანიის შემოსავლები (3 მილიონ 782 ათასი ლარი), გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 103 პროცენტით არის გაზრდილი.

2005 წელს BCI მოზიდულმა პრემიამ თითქმის 9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს ზუსტად 3 მილიონი ლარით აღემატება. შარშან BCI-ს ხვედრითი წილი სადაზღვევო ბაზარზე მხოლოდ 16.5 პროცენტი იყო. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით კი, ხსენებული კომპანია ბაზრის 20 პროცენტს ფლობს.

BCI მომხმარებელს თითქმის ყველა ბაზარზე არსებულ სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. მათ შორის, ყველაზე დიდი მოთხოვნა წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სამედიცინო დაზღვევაზე დაფიქსირდა. BCI-ს მიერ ამ სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა პირველ კვარტალში 728 ათას ლარს გადააჭარბა.

სადაზღვევო კომპანიის მიერ წელს ანაზღაურებულმა ზარალმა 467 ათასი ლარი შეადგინა. შარშან კი მთელი წლის განმავლობაში BCI-მ 1 მილიონ 637 ათასი ლარის ზარალი აანაზღაურა.

სადაზღვევო კომპანიის უმრავლესობა, 65 პროცენტი, კორპორატიული კლიენტია, დანარჩენი 35 - კერძო პირები.

BCI საქართველოს სამ ქალაქში - თბილისში, ფოთსა და ბათუმში აქვს წარმომადგენლობა გახსნილი. კომპანიის პროდუქტი საქართველოს ბანკის 6 ფილიალსა და სერვის-ცენტრში იყიდება. უახლოეს მომავალში სადაზღვევო კომპანია გაფართოებას და მომსახურების 2 ახალი ცენტრის გახსნას გეგმავს. გარდა ამისა, BCI წელსვე აპირებს მომხმარებლისათვის ახალი სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზებასა და, ასევე, გაყიდვების ქსელის გაფართოებას.

BCI-ს საწესდებო კაპიტალი, 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, 1 მილიონ 150 ათასი ლარია.

## "იმედი L" სამეულში ვეღარ მოხვდა

წლის პირველი კვარტლის მაჩვენებლებით, ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია "იმედი L" სადაზღვევო კომპანიების რეიტინგის პირველ სამეულში ვერ მოხვდა. დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის უკანასკნელი მონაცემებით, "იმედი L"-ის ხვედრითი წილი ბაზარზე მხოლოდ 11 პროცენტია. 2005 წლის ბოლოს კი ხსენებულ სადაზღვევო კომპანიას "ალდაგის" შემდეგ მეორე პოზიცია ეკავა და ის ბაზრის 16 პროცენტზე მეტს აკონტროლებდა.

"იმედი L"-ის მიერ წელს, იანვრიდნ მარტის თვის ჩათვლით, მოზიდულმა პრემიის მოცულობამ 2 მილიონ ლარს გადააჭარბა. კომპანიამ წლის პირველ კვარტალში 297 ათას ლარზე ოდნავ მეტის ზარალი აანაზღაურა.

2005 წლის განმავლობაში კომპანიამ თითქმის 10 მილიონი ლარის სადაზღვევო პროდუქტი გაყიდა, ხოლო მის მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა მხოლოდ 1 მილიონ 47 ათასი ლარი შეადგინა.

"იმედი L" 15 სადაზღვევო პროდუქტს ყიდის, საიდანაც ყველაზე დიდი მოთხოვნა წელს, ისევე როგორ გასულ წლებში, სამედიცინო დაზღვევაზე დაფიქსირდა. დაზღვევის ამ სახეობიდან მიღებულმა შემოსავალმა წელს 315 ათას ლარს გადააჭარბა.

სადაზღვევო კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობა, ბოლო მონაცემებით, 10 ათასს აღწევს, აქედან 80 პროცენტი ბიზნესკომპანიები და მათი თანამშრომლებია, 5 პროცენტი - სახელმწიფო ორგანიზაციები, და დანარჩენი 15 პროცენტი - კერძო პირები არიან.

"იმედი L"-ს, თბილისის გარდა, რუსთავში, თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში გააჩნია. წლის ბოლომდე სადაზღვევო კომპანიას მორიგი ახალი ფილიალის გახსნა აქვს დაგეგმილი ბათუმში.

უკანასკნელი მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიის საწესდებო კაპიტალმა 1 მილიონ 800 ათას აშშ დოლარი შეადგინა.

**P.S.** როგორც სადაზღვევო სფეროს ექსპერტები ამბობენ, წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენაა ამ ინდუსტრიაში მოსალოდნელი. საუბარია რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის გაერთიანება-გამსხვილებაზე, ანუ მსხვილი სადაზღვევო კომპანიის მიერ შედარებით წვრილი კომპანიის შემოერთებაზე, რათა ამით მან ბაზარზე პოზიციები კიდევ უფრო გაიმყაროს. არ არის გამორიცხული, რომ წელსვე კიდევ ერთი ან ორი ახალი სადაზღვევო კომპანია დაფუძნდეს ქართულ ბაზარზე და, რაც მთავარია, ექსპერტების თქმით, მსხვილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ქართულ სადაზღვევო ინდუსტრიაში სერიოზული ინვესტიციების ჩადებაა მოსალოდნელი.

## ექსპერტის შეფასება

*სადაზღვევო ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ ამ სფეროს ექსპერტი, საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი "24 საათს" ესაუბრა:*

"სადაზღვევო კომპანიები დღეს გაცილებით აქტიურად იწყებენ პირადი დაზღვევების გაყიდვას. თუკი რამდენიმე წლის წინ მათთვის აბსოლუტური დომინანტი კორპორატიული კლიენტები იყვნენ, ახლა ნელ-ნელა ხდება მობრუნება ინდივიდუალური კლიენტებისკენ, რაშიც რეალურად არის დღეს ყველაზე დიდი ბაზარი საქართველოში. კორპორატიული სეგმენტი საკმაოდ კარგად არის ათვისებული, ის ძალიან კონკურენტულია. ფასები ძალიან დაბალია, დემპინგთან მიახლოებული. ესეც, კონკურენციის გამო.

თავდაპირველად, როცა სადაზღვევო ბაზარი განვითარებას იწყებდა, კომპანიების უმრავლესობამ აქცენტი იურიდიული პირების დაზღვევაზე გააკეთა - ეს ყველანაირად ადვილია, რადგან ამ შემთხვევაში შედარებით პატარა რიცხვთან გვაქვს საქმე, თან, თანხები უფრო დიდია.

პირველი ათი წელი, ძირითადად, ეს სეგმენტი ვითარდებოდა. სადაზღვევო კომპანიები ცდილობდნენ, ძალიან კონკურენტულ, სერიოზულ ბრძოლაში შეეთვაზებინათ საუკეთესო პირობები იურიდიული პირებისათვის და ერიდებოდნენ ფიზიკურ პირებთან მუშაობას, იმიტომ, რომ ამას ძალიან დიდი ინვესტიციები სჭირდება.

თუმცა, ბაზრის ბოლო ტენდენციები რადიკალურად იცვლება. სწორედ ახლა კომპანიები პირადი დაზღვევების გაყიდვების გაზრდას და ფიზიკურ პირებთნ მუშაობას იწყებენ.

ამ ბაზარზე აქტიურდ ხდება კომპანიების გამსხვილება და ინსტიტუციური ინვესტორების შემოსვლა სადაზღვევო კომპანიებში (ვგულისხმობ "ალდაგის" და BCI-ს მაგალითებს), რაც კომპანიებს მატებს ძალებს და ძენს იმის საშუალებასაც, რომ გადადგან ნაბიჯი იქითკენ, რაც მათ საზოგადოებრივ მნიშვნელობას გაზრდის.

ჩვენი სადაზღვევო ბაზარი დღეს არანორმალურად კონკურენტულია. ხშირად ისმის კითხვა: რატომ არ მოდიან ამ ბაზარზე უცხოელები? ერთი მიზეზი არის, უდავოდ, ბაზრის ზომა. იმიტომ, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი მაინც ჯერ კიდევ პატარაა და, მეორე, ის არის ზედმეტად კონკურენტული.

დღეს ჯანმრთელობის დაზღვევა ყველაზე სწრაფად იზრდება. ჯანმრთელობის დაზღვევის შემდეგ ძალიან სწრაფად იზრდება ავტომობილების დაზღვევა.

გარწმუნებთ, თუკი სადაზღვევო ბიზნესი შემოვიდა ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში, თუ სადაზღვევო მექანიზმები გახდა ჩვენი ცხოვრების ნაწილი, მაშინ რეგიონულმა კომპანიებმაც კი შეიძლება იარსებონ, მაგალითად, "იმერეთის ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანია" ან რაღაც ამის მსგავსი... სულ არ არის გამორიცხული."

## ბოლივიას ოპეკში შესვლა სურს

ვენაში გამართულ ევროკავშირი-ლათინური ამერიკის სამიტზე ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციაში - ოპეკში შესვლისათვის ემზადება. მისი თქმით, აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ქვეყნის მიერ ნავთობისა და გაზის მოპოვების სრული გაკონტროლება იქნება.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 1 მაისს მორალესმა ბოლივიის ნავთობისა და გაზის მოპოვების სრული ნაციონალიზაცია გამოაცხადა და უცხოურ კომპანიებს ქვეყნის ხელისუფლებასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებისათვის 180 დღიანი ვადა მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქვეყნიდან გაძევებით დაემუქრა. 2 მაისს კი ბოლივიის 56 უმსხვილესი ნავთობისა და გაზის ობიექტი არმიამ დაიკავა. ნაციონალიზაციის გეგმის მიხედვით, ქვეყნის ენერგობაზარი მთლიანად სახელმწიფო კომპანიამ Yacimientos Petroliferos Fiscales Bolisianos (YPFB) უნდა გააკონტროლოს. შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის ოპეკის შემადგენლობაში შედიან: ალჟირი, ინდონეზია, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ლიბია, ყატარი, ნიგერია, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული არაბეთის გაერთიანებული საემიროები და ვენესუელა. ამ ქვეყნებში თავმოყრილია მსოფლიოს ნავთობის მარაგის თითქმის ორი მესამედი.

## General Motors Hummer-ის ჯიპებს აღარ გამოუშვებს

"სიძვირე ცუდი გემოვნების მაჩვენებლად გადაიქცა"- აცხადებენ ამერიკული საავტომობილო კონცერნ Genaral Motors-ის ექსპერტები. ამის საფუძველზე კი კომპანია თავის ყველაზე პოპულარულ ავტომობილს- Hummer-ის ჯიპის წარმოებას შეწყვეტს.

Hummer H1-ის მოდელის ავტომობილი, ე.წ "საომარი ჯიპის" ბაზაზე შეიქმნა. სხვა ავტომობილებისგან ის ფანტასტიური გაბარიტებით გამოირჩევა. შეგახსენებთ, რომ Hummer H1 სიგანეში 2 მეტრი და სიგრძეში 4,5 მეტრია. გამოირჩევა რეკორდული სიჩქარით და ამასთან 4,4 კილომეტრ მანძილზე მხოლოდ ერთ ლიტრ ბენზინს წვავს.

Hummer H1 როგორც ამერიკაში, ასევე ევროპის ქვეყნებშიც, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მარკად ითვლება. ეს მოდელი პირველად არნოლდ შვარცნეგერმა შეიძინა.

ახალი Hummer H1-ს მინიმალური ღირებულება 130 ათასი დოლარია. ასეთი ავტომობილის შეძენის უფლებას თავს მხოლოდ ის ადამიანები აძლევენ, ვისთვისაც ბენზინის ფასი, პარკინგის ღირებულება და მსგავსი წვრილმანები დიდად არ აღელვებს.

მიუხედავად მარკის ასეთი პრესტიჟისა, ამ ბოლო დროს, ყველაზე უზრუნველი ავტო- მოყვარულებიც კი აღარ ინტერესდებიან ამ "საგზაო მონსტრით". Hummer H1-ის ჯიპების წარმოება General Motors-მა 1992 წლიდან დაიწყო და აქედან მოყოლებული, მისი მფლობელი 12 ათასი ადამიანია. 2005 წლიდან კი გაყიდვები 12%-ით შემცირდა.

`"ცუდი გემოვნების ნიშანი"- ეს ის ეპითეტია, რომელითაც Genaral Motors-ის ეს ერთ დროს პოპულარული ჯიპები ხასიათდება. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ hummer თვით კონცერნისთვისაც საკმაოდ ძვირ სიამოვნებად იქცა. ავნისში, კონვეიერიდან Hummer H1-ის ბოლო ჯიპი გამოვა, რაც შეეხება H2 და H3 სპორტულ ჟიპებს, მათ წარმოებას კონცერნი ისევ გააგრძელებს.

"ეს ნამდვილად სუპერ-მანქანაა. სამწუხაროა, რომ თანამდეროვე საზოგადოებაში მისთვის ადგილი აღარ მოიძებნება."-აცხადებს ავტომობილების საერთაშორისო სააგენტოს პრეს-სამსახურის ანალიტიკოსი ერიკ მერკლე.

უნდა აღინიშნოს Hummer H1-ის მფლობელებს ეკოლოგებიც აკრიტიკებენ. მათი თქმით, ამ ავტომობილების მფლობელები უპასუხისმგებლოები არიან და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გარე სამყაროს სულ არ უწევენ არ უწევენ ანგარიშს.



# "მგლები" ენერგო-საინფორმაციო ეპოქაში

პირველი გვერდიდან



რობერტ კრაფტი, რუპერტ მერდოკი და ვლადიმერ პუტინი კრემლში.

### მოსკოვ-თეირანის ღერძი მტკიცდება

შეთავაზება გაკეთებულიც არ იყო, რომ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ევროპელთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა - ირანი არ მიიღებს არც ერთ შეთავაზებას, თუკი იგი ჩვენი ბირთვული პროგრამის შეფერხებას ითვალისწინებს, - განაცხადა მან.

თეირანის ამ თამამ ნაბიჯს წინ ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა უსწრებდა - გასულ ოთხშაბათს პრეზიდენტმა აჰმადინეჯადმა ინდონეზიაში ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმება გააფორმა: მხარეები ჯავას (ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული) ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 5 მილიარდ დოლარს დააბანდებენ განახლებული ქარხანა, ძირითადად, სწორედ ირანული "შავი ოქროთი" მომარაგდება.

ინდონეზია მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმური სახელმწიფოა. ჯავას ქარხანაში გადამუშავებული ნავთობი კი აზიის ბაზრებზე (უპირველესად, ჩინეთში) გავა. ეს ორი ფაქტორი უკვე თავისთავად მრავლისმეტყველია: თეირანი ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარ აზიასთან ეკონომიკურ კავშირებს ამყარებს და მუსლიმურ სამყაროშიც პოულობს დასაყრდენს.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, ინდონეზიის მოსახლეობის უმრავლესობა გაგებით ეკიდება ირანის ბირთვულ პროგრამას. მათ "უსამართლოდ" მიაჩნიათ, რომ ისრაელს ბირთვული იარაღის ქონის უფლება გააჩნია, ირანს კი - არა. თავად ინდონეზიის ხელისუფლება კი მხარს უჭერს ირანის უფლებას ბირთვულ პროგრამაზე და ამ საკითხის გარშემო არსებული დაძაბულობის დიპლომატიური გზით მოგვარების მომხრეა.

პრეზიდენტ აჰმადინეჯადის მუსლიმურ-სანავთობო პოლიტიკა ჯერჯერობით კარგად მუშაობს. საამისოდ მას კარგი წინაპირობა შეექმნა, ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე. 2004 წელს თეირანმა ჩინეთთან 100 მილიარდი დოლარის გარიგებას მოაწერა ხელი, რომელიც 25-წლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს. თეირანში იმედოვნებენ, რომ მალე გაფორმდება ხელშეკრულება პაკისტანის გავლით ინდოეთზე გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. ვაშინგტონ-დელის ბოლოდროინდელი დაახლოების გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, რამდენად განხორციელდება ეს პროექტი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩინეთის მსგავსად ინდოეთიც სწრაფად მზარდი ეკონომიკაა და სულ უფრო და უფრო მეტ ენერგორესურსებს მოიხმარს. თუკი აშშ-ს სურს ინდოეთის სახით რეგიონში ძლიერი დემოკრატიული პარტნიორი ჰყავდეს, ამ პარტნიორსაც ისევე სჭირდება გაზი, როგორც სჭირდება ჩინეთს.

აჰმადინეჯადის ენერგოდამოკიდებულების პოლიტიკაში ახალი არაფერია. თავის დროზე ამგვარ ნაბიჯებს მიმართავდა სადამ ჰუსეინიც. აშშ-სთან ურთიერთობების გამწვავებასთან ერთად ერაყის დიქტატორი ჩალის ფასად არიგებდა თავისი ქვეყნის საბადოებს უცხოელ ინვესტორებზე. ამ ინვესტორთა უმრავლესობას რუსები წარმოადგენდნენ. სადამს იმედი ჰქონდა, რომ ისინი ეკონომიკური ინტერესების გამო ერაყს დაიცავდნენ. აჰმადინეჯადი კარგად მოეხსენება, რომ საბოლოოდ სადამის რეჟიმი ამან ვერ დაიცვა, თუმცა იგი იმასაც კარგად ხედავს, რომ აშშ-მ ერაყში ვითარება ჯერჯერობით ვერ დაალაგა და სადამთან ომის გამო თეთრი სახლის ახლანდელ ადმინისტრაციას სასტიკი კრიტიკა ატყდება თავს.

ძველი კონტინენტის გეგმის წინდაწინ უარყოფასთან ერთად თეირანმა განაცხადა, რომ მზადაა, თავისი ბირთვული პროგრამა რუსეთთან განიხილოს. ამგვარი რიტორიკის ფონზე, ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ირანი ახლოს არ იკარებს ევროპული სამეულის გეგმას, რომელიც ენერგორესურსებზე რუსული მონოპოლიის წინააღმდეგაა მიმართული. ირანს რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს და დასავლეთის "ანტირუსულ" პროექტზეც არ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი მას იზოლაციიდან გამოსვლას ჰპირდება.

როცა ფედერალური სათათბიროსადმი გაკეთებულ მიმართვაში პრეზიდენტმა პუტინმა "ამხანაგ მგელზე" ისაუბრა, ბევრი ფიქრი არ გამხდარა საჭირო იმის მისახვედრად, ვინ იგულისხმებოდა "მგელში."

### "მგლების" ეკონომიკა

პუტინის მიმართვიდან ეკონომისტებმა, გარკვეულწილად, პასუხი მიიღეს შეკითხვიდან, თუ რაში აპირებს რუსეთი ნავთობის სანაცვლოდ მიღებული ასეულობით მილიარდი დოლარის დახარჯვას: მილიარდები დაიხარჯება შეიარაღებასა და შობადობის გაზრდაზე. იმისათვის, რომ მგელმა შეჭმა არ დაუპიროს, რუსეთს სტრატეგიული ბირთვული ძალების გაძლიერება სჭირდება. ხოლო იმისათვის, რათა რუსეთის ტერიტორია სხვებმა არ აითვისონ (ამ სხვებში უკვე ის მგელი აღარ იგულისხმება), რუსი ქალები მეორე ბავშვის გაჩენის სანაცვლოდ 250 ათას რუბლს მიიღებენ.

ერთიც და მეორე პრიორიტეტიც სრულიად გასაგებია. თუმცა, ეკონომისტები ზემოთაღნიშნულ შეკითხვაზე ამომწურავ შეკითხვას მაინც ვერ იღებენ, რადგან არც შეიარაღება და არც შობადობა ეკონომიკასთან არაფერ შუაშია. ნავთობდოლარები, პრაქტიკულად, ისევ უქმედ რჩება, რუსული ეკონომიკა კი კვლავაც ნედლეულის ხარჯზე სულდგმულობს და ახალი დარგების განვითარებას არანაირი პერსპექტივა არ უჩანს. ახლახან ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტმა, რომელიც კონკურენტუნარიანობის რეიტინგს ადგენს. რეიტინგში აშშ ლიდერობს, რომელსაც ჰონგ კონგი და სინგაპური მისდევენ. მნიშვნელოვნად აიმაღლეს კონკურენტუნარიანობა ინდოეთმა და ჩინეთმა, რომლებმაც 39-ე და 31-ე ადგილებიდან ერთ წელიწადში, შესაბამისად, 29-ე და მე-19 ადგილებზე აინაცვლეს. რაც შეეხება რუსეთს, იგი სიის ბოლოში იმყოფება, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ერთობ მაღალი მაჩვენებლები აქვს ბიუჯეტის პროფიციტის და სავალუტო რეზერვებისა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით. ყოველივე ამას ხაზს უსვამს ინფლაცია, მთავრობის არაეფექტიანობა, ბიუროკრატიის ეკონომიკაში ჩარევები, ინფრასტუქტურის განვითარება და ეკოლოგიური მდგომარეობა.

აშშ კი ლიდერად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი საბიუჯეტო დეფიციტი, ბოლოდროინდელი შემცირების მიუხედავად, კვლავაც დიდია. გარდა ამისა, გასულ კვირას მსოფლიო ბირჟებზე საგრძნობი პანიკა გამოიწვია დოლარის ვარდნამ. 1997 წლის ოქტომბრის შემდეგ ამერიკული ვალუტა ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე ჩამოვიდა. ამ ვარდნას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო აშშ-ს ფედერალური რეზერვის განცხადებამ საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გაზრდის თაობაზე. გაზრდის აუცილებლობა მიმომხილველებმა ინფლაციის საშიშროებას მიაწერეს.

თუმცა, ამ პანიკის მიუხედავად, თავად აშშ-ს ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და, დანარჩენ განვითარებულ სამყაროსთან შედარებით, ზრდის მაჩვენებელიც მეტად მაღალი აქვს. გარდა ამისა, ბოლო დროს მცირდება არა მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტი, არამედ სავაჭრო დეფიციტიც, რომელმაც, წესით, კიდევ უნდა განაგრძოს შემცირება იმის გათვალისწინებით, რომ დოლარი ეცემა და ამიტომ ამერიკული საქონელიც იაფდება.

დიდი ქვეყნებიდან სარეკორდო ეკონომიკური ზრდა კი ისევ ჩინეთს აქვს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, მიმდინარე წელს ამ უკანასკნელის მთლიანი ეროვნული შემოსავალი 9,5 პროცენტს შეადგენს. ასეთი მაჩვენებლის მიუხედავად, ნორმის ფარგლებში რჩება ინფლაცია. თუმცა, ეკონომიკის "გადახურების" საფრთხე მაინც არსებობს და პეკინს უახლოეს მომავალში, ალბათ, მთელი რიგი ახალი ზომების მიღება მოუწევს, რათა ზრდის ტემპი შეანელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩინეთის არცთუ ისე მაღალგანვითარებული ინფრასტუქტურა და ენერგეტიკის დეფიციტი (ჩინეთში ბევრი ქარხანა ღამითაც მუშაობს, რადგან დღის საათებში ელექტროენერგია ყველას არ ჰყოფნის) ამდენ დატვირთვას ვერ გაუძლებს. გარდა ამისა, სამუშაო ადგილების მასიური შექმნა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევს სერიოზული ინფლაციის საფრთხესაც.

ზემოთნახსენები კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით, ჩინეთი მეორე ადგილზე იმყოფება მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტით. პირველ ათეულში კი ეს ქვეყანა შემდეგი მიზეზების გამო ვერ მოხვდა: ცუდი კორპორატიული კანონმდებლობა, ეკოლოგიური პრობლემები და განათლება. კანონმდებლობის მიხედვით, ჩინეთს ბევრი უკლია ინდოეთამდე, სადაც ეფექტური სასამართლო სისტემა კერძო კომპანიებს სამართლიან კონკურენტულ გარემოს უქმნის.

### ვის მხარეზე დგას მერდოკის მედია-იმპერია?

ორიოდე წლის წინ მიჩნეულ იყო, რომ მსოფლიო ინდუსტრიული ეპოქიდან გამოდის და ჯერი საინფორმაციო ეპოქაზეა. ბოლო დროს ნავთობის გაძვირებამ და ჩავესის მსგავსი ნავთობდიქტატორების გააქტიურებამ ეს თეზისი, ცოტა არ იყოს, ეჭქვეშ დააყენა: როგორ ვიმყოფებით საინფორმაციო ეპოქაში, როცა ინდუსტრიული ეპოქის უმთავრესი ელემენტი - ნავთობი - ასეთ დიდ როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთ ვითარებაში ეპოქების გამიჯვნა ნამდვილად ჭირს, თუმცა ერთი რამ ნათელია: ინფორმაცია მეტად სერიოზული ძალაა. ალბათ, უფრო ძლიერი, ვიდრე ნავთობი, რომელიც შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ისევ გაიაფდეს. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს ძნელი სავარაუდოა, მაგრამ საერთოდ ნავთობის ფასი ერთობ არაპროგნოზირებადი ფენომენია. 90-იანი წლების ბოლოს ბარელი "შავი ოქრო" 12 დოლარი ღირდა. იმ დროიდან მოყოლებული, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საწვავზე მოთხოვნილება 6-7-ჯერ ნამდვილად არ გაზრდილა და, აქედან გამომდინარე, მისი ფასი ამდენად არ უნდა გაზრდილიყო. მაგრამ, როგორც უკვე ვახსენეთ, ნავთობის ფასი არაპროგნოზირებადია და მისმა დაცემამ, შეიძლება, უეცრად მოუღოს ბოლო ჩავესის გამოხდომებს თუ "ამხანაგ მგელზე" საუბარს.

ამიტომ, ალბათ, ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია გასულ კვირას მსოფლიოს უდიდესი მედია-გიგანტის, "ნიუზ კორპორეიშენის" თავკაცის, რუპერტ მერდოკის განცხადება. იგი სენატში არჩევნების კამპანიის ფარგლებში ჰილარი კლინტონისათვის სახსრების შეგროვების ღონისძიების გამართვას აპირებს. ეს კი, შეიძლება, სულაც იმას ნიშნავდეს, რომ მერდოკი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც ჰილარის მხარეს დადგეს. ეს ამბავი მთელი ამერიკისათვის ნამდვილ შოკად იქცა იმის გათვალისწინებით, რომ მერდოკის მედია-იმპერია თავის დროზე პრეზიდენტ კლინტონს კრიტიკისა და დაცინვის ქარ-ცეცხლში ატარებდა (განსაკუთრებით, მონიკა ლევინსკის სკანდალის დროს), თავად მონიკა კი "ნიუზ კორპორეიშენში" შემავალმა "ნიუ იორკ პოსტმა" ათასწლეულების ყველაზე ვერაგი ადამიანების სიაში მე-6 ადგილზე გაამწესა. საერთოდ კი, მერდოკი უფრო კონსერვატორად და რესპუბლიკელების მხარდამჭერადაა მიჩნეული.

თავად ჰილარი კლინტონი არ აპირებს, უარი თქვას მერდოკთან ალიანსზე. "ის ჩემი ამომრჩეველია და მადლობელი ვარ, რომ ჩემი მოღვაწეობა მოსწონს," - განაცხადა მან. მიმომხილველები კი იხსენებენ, რომ მერდოკს განსაკუთრებული ყნოსვა აქვს და თავის დროზე მან ტონი ბლერს დაუჭირა მხარი, როცა ამ უკანასკნელს, პრაქტიკულად, არავინ იცნობდა. მოკლედ, ავსტრალიელი მილიარდერი კონსერვატორი კი არის, მაგრამ უფრო მეტად ბიზნესმენია.

მერდოკის იმპერიას, "ნიუ იორკ პოსტის" გარდა, მიეკუთვნება ტელეარხი "ფოქსი," რომელიც მძაფრ კონკურენციას უწევს "სი-ენ-ენს," გაზეთები "თაიმსი" და "სანი," კინოსტუდია "თვენთი სენჩერიზ ფოქს..." მოკლედ, როცა ასეთი პიროვნება რომელიღაც სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურას უჭერს მხარს, ეს დამაფიქრებელია.

## აშშ-ს ბირჟაზე კვირა კლებით დამთავრდა

პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა პესიმისტური განწყობა სავალუტო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის, ნავთობის ფასის და ჩინური იმპორტის ზრდასთან ერთად რამდენიმე მაკროეკონომიკურმა ინფორმაციამ განაპირობა.










კერძოდ, ამერიკის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მარტის ანგარიში, რომლის მიხედვითაც დეფიციტმა 67 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც თებერვლის მონაცემთან შედარებით 1,5 მილიარდით მეტია. გარდა ამისა, მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო აქტივობის ინდექსი 87,4-დან 86 პუნქტამდე შემცირდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 1,04 პროცენტით, 11.380,99 პუნქტამდე მოიკლო. 1,27 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.243,78 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 1,12 პროცენტით, 1.291,24 პუნქტამდე შემცირდა.

## ნავთობის ფასი ისევ 73 დოლარი/ბარელს ასცდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე გამართული ვაჭრობისას "შავი ოქროს" ფიუჩურსების (სამომავლო კონტრაქტი) ფასმა კვლავ მოიმატა. კერძოდ, ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 73,43 დოლარი შეადგინა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,32 დოლარი/ბარელი ღირდა.

ნავთობის გაძვირების მიზეზად კვლავ რჩება არასტაბილური გეოსტაბილური სიტუაციის ფონზე მსოფლიო ბაზარზე "შავი ოქროს" და აშშ-ში ბენზინის წარმოქმნის დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება. ამასთან, გარკვეული გავლენა მოახდინა საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრის ალი ალ ნაიმის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ნავთობის ფასის მატება მომავალი ათწლეულის დასაწყისამდე გაგრძელდება.

## აშშ-მ Mittal Steel-ს Arcelor-ის შეძენის უფლება მისცა

მსოფლიოს უმსხვილესმა მეტალურგიულმა კონცერნმა Mittal Steel-მა განაცხადა, რომ პარასკევს ამოიწურა ჰარტ-სკოტ-როდინოს ანტიმონოპოლიური სრულყოფის კანონის მიხედვით დადგენილი ე.წ. "ლოდინის პერიოდი". ასე რომ, აშშ-ს მარეგულირებელმა ხელისუფლებამ Mittal Steel-ს თავისი უშუალო კონკურენტის Arcelor-ის შეძენის უფლება მისცა.

10 მაისს ევროკომისიამ 7 ივნისისათვის გადადო Mittal Steel-ის და Arcelor-ის შესაძლო შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ევოკავშირის მარეგულირებელი ინსტანციის წარმომადგენელთა განცხადებით, ინდური კონცერნის მიერ წარმოდგენილი ახალი დოკუმენტების შესასწავლად დამატებითი დროა საჭირო.

ევროკავშირის კანონების მიხედვით, კომისიას უფლება აქვს 18,6 მილიარდ ევროდ (22,3 მილიარდი დოლარი) შეფასებულ გარიგებას მწვანე შუქი აუნთოს, ან დამატებითი კვლევა დანიშნოს, რომელიც შეიძლება ოთხ თვემდე გაგრძელდეს. ანალიტიკოსთა აზრით, ამ შერწყმის განხორციელებას ხელი არ შეეშლება, რადგან ორი კომპანიის ბიზნეს-ინტერესები ნაკლებად იკვეთება - Mittal Steel აშშ-ს ბაზარზე ფოლადის უმსხვილესი მიმწოდებელია, Arcelor კი ევროპულ ბაზარზე ლიდერობს.

მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნი Mittal Steel, რომლის მფლობელი ინდოელი ბიზნესმენი ლაკშმი მიტალია, მსოფლიოს 4 კონტინენტის 14 ქვეყანაში მოღვაწეობს. გასულ წელს კომპანიის მოგებამ 3,365 მილიარდი დოლარი შეადგინა.

სიდიდით მსოფლიოს მეორე მეტალურგიული კონცერნი Arcelor კი 2002 წელს სამი კომპანიის: Aceralia-ს, Arbed-ის და Usinor-ის გაერთიანებით შეიქმნა. 2002 წელს განხორციელებული ამ სამმხრივი გარიგების მიზანი მსოფლიო ბაზრის დაპყრობა გახლდათ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კონცერნის მოგებამ 761 მილიონი ევრო შეადგინა, რაც ერთი წლის წინანდელ მონაცემთან შედარებით 19,8 პროცენტით ნაკლებია.

## Microsoft-ზე მეთვალყურეობა გაგრძელდება

აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა კორპორაცია Microsoft-ის რამდენიმე ქვეგანყოფილებაზე მეთვალყურეობა 2009 წლამდე გააგრძელოს. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ამის მიზეზი ბილ გეითსის კორპორაციის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რამდენიმე პუნქტის შეუსრულებლობაა. ამასთან, აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ მზადყოფნა გამოთქვა, საჭიროების შემთხვევაში, Microsoft-ზე მეთვალყურეობა კიდევ სამი წლით, 2012 წლამდე გააგრძელოს.

კორპორაცია Microsoft-ზე მეთვალყურეობა 2002 წელს, მისი უსინდისო კონკურენციაში დადანაშაულების შემდეგ დაწესდა. იქამდე Microsoft იძულებული გახდა თავისი კონკურენტის, კომპანია RealNetworks-ისათვის, რომელმაც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულა, 761 მილიონი დოლარი გადაეხადა. 2005 წელს ანალოგიური პრეტენზიებისათვის Microsoft-მა IBM-ს 775 მილიონი დოლარი გადაუხადა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ამერიკის მთავრობის, ევროკავშირის და კომპანიების: Time Warner-ის და Sun Microsystems-ის მიერ მონოპოლიზმში დადანაშაულება Microsoft-ს კიდევ დიდძალი საკომპენსაციო თანხად დაუჯდა.

2005 წლის 22 დეკემბერს ევროკომისიამ Microsoft-ს ყოველწლიური, 2 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. ეს სანქცია ძალაში მანამ დარჩება, სანამ კომპანია არ წარმოადგენს მონაცემებს, რომელიც კონკურენტების სერვერებს საოპერაციო სისტემა Windows-სთან მუშაობის საშუალებას მისცემს.

2004 წლის მარტში ევროკომისიის ანტიმონოპოლიურმა ორგანომ Microsoft სცნო კომპანიად, რომელიც ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას საოპერაციო სისტემა Windows-ის მომხმარებლებისათვის თავს სხვა პროდუქციის მოხვევით არღვევს.

მიმდინარე წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ Microsoft აპირებს კონკურენტებს საოპერაციო სისტემა Windows-ის კოდის ნაწილის გამოყენების ლიცენზია მიყიდოს. მაგრამ ევროკავშირსა და ბილ გეითსის კომპანიას შორის კონფლიქტი ამით არ ამოწურულა. ევროკომისია თვლის, რომ Microsoft-ს ამ ლიცენზიაში ფულის აღების უფლება არ აქვს, რადგან საუბარია სტანდარტულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რასაც Microsoft არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ საკითხი უნიკალურ გამოგონებას ეხება.

## ქართული პროდუქცია აფხაზეთშიც აკრძალეს

ქართული ღვინო და მინერალური წყალი აფხაზეთშიც აკრძალეს. სოხუმსა და სხვა ქალაქებში დე ფაქტო ხელისუფლების საგადასახადო ინსპექცია რეიდებს ატარებს და ქართულაქციზიან პროდუქციას რეალიზაციიდან იღებს. შესაბამისი განკარგულება "ბორჯომისა" და ღვინის აკრძალვის შესახებ უკვე გადაეცათ ადმინისტრაციულ საზღვარზე მყოფ მებაჟეებსაც. კანონის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა, განმეორების შემთხვევაში კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თბილისის საიუველირო ქარხანა აუქციონის წესით გაიყიდება

შპს "თბილისის საიუველირო ქარხანას" 16 მაისს აუქციონზე გამოიტანენ. ეს ობიექტი თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფეროს საიუველირო ნაკეთობათა დამზადება-რეალიზაცია წარმოადგენს. საწარმოს საწესდებო კაპიტალი 8691010.00 ლარია. სახელმწიფო წილის ოდენობა საწესდებო კაპიტალში 100 პროცენტია. საწარმოს დებიტორული დავალიანება 11190.00, კრედიტორული დავალიანება კი 89298.00 ლარს შეადგენს. საწარმოს საწყისი გასაყიდი ფასია 2 მილიონი დოლარი. "თბილისის საიუველირო ქარხანაზე" საპრივატიზაციო განაცხადების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 13 აპრილს დაიწყო და 16 მაისს დასრულდება. აუქციონი იმავე დღეს გაიმართება. **მედიანიუსი**

## ეკონომიკის სამინისტრო ცხრა ობიექტზე განაცხადების მიღებას იწყებს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გასაყიდად ქვეყნის ცხრა ენერგოობიექტი გამოაქვს. პირველი მათგანი - სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N16 ა-ში მდებარეობს და 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მეორე ობიექტი - შპს "აჭარის ენერგოკომპანია" ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N103-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 5 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშია სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერგოდისტრიბუციაც", რომელიც თელავში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. ამავე სიაშია ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში არსებული ჰიდროელექტროსადგური "აწჰესი". იგი 4 მილიონ დოლარად არის შეფასებული. პრივატიზაცია შეეხება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში მდებარე ჰიდროელექტროსადგურ "ძევრულჰესს". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ასევე გაიყიდება ტყიბულში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "შაორჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 12 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა ჰიდროელექტროსადგური "გუმათჰესების კასკადი". იგი ქუთაისში, გუმათის მარცხენა დასახლებაში მდებარეობს და 12 მილიონ დოლარად არის შეფასებული. იყიდება ცაგერის რაიონის სოფელ ალპანაში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "ლაჯანურჰესიც". მისი საწყისი გასაყიდი ფასი 26 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციოდ არის გამოტანილი ასევე ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის N5-ში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "რიონჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ზემოთ ჩამოთვლილი ცხრავე ენერგოობიექტი კონკურსის წესით, 16 ივნისს გაიყიდება. მათი შესყიდვის მსურველთა საპრივატიზაციო განაცხადები ეკონომიკის სამინისტროში 16 მაისიდან მიიღება. **მედიანიუსი**

## ღვინის ფესტივალში მონაწილე 25 კომპანიიდან 11-მა ოქროს მედალი მიიღო

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ღვინის ფესტივალზე წარმოდგენილ ღვინის 25 კომპანიიდან საუკეთესოებს, 11 ოქროსა და 22 ვერცხლის მედლებთან ერთად, ხარისხიანობის 39 დიპლომი გადასცა. ნომინაცია წითელი ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოებისთვის ოქროს მედლები კომპანიებმა "ქინძმარაულმა" და "თელავის ღვინის მარანმა", "ვაზი1"-მა, "კახეთის ღვინის სახლმა", და "ჯი-ვი-ეს-მა" მიიღეს. თეთრი მშრალი და ნახევრადმშრალი ღვინის ნომინაციაში ორი ოქროს მედალი კომპანია "ვაზი+"ს ერგო. ვერცხლის მედლები გადაინაწილეს კომპანიებმა "კორპორაცია ქინძმარაულმა", "თელავის ღვინის მარანმა", "თბილღვინომ", "ვაზი1"-მა, "თელიანმა ველმა", "შუმმა", "ტიფლისკი ვინნი პოგრებმა", და " ჯი-ვი-ეს-მა". საუკეთესო ჭაჭის ნომინაციაში ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღეს საქართველოში მოქმედმა კომპანიებმა "თელიანმა ველმა", " ჯი-ვი-ეს-მა", "ტარო ბვ ინვესტმა", "ვაზი+"-მა და "ტიფლისკი ვინნი პოგრებმა". დანარჩენმა კომპანიებმა მაღალი ხარისხის ღვინისა და ჭაჭის ნომინაციებში დიპლომები აიღეს. სავაჭრო პალატა ყოველწლიურად გეგმავს ქართული ღვინის ეროვნული კონკურსის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას მხოლოდ საუკეთესო ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიები მიიღებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 15/05 | 16/05 | 17/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 17 | 18 | 17 |
| რიგა | 12 | 9 | 10 |
| ვილნიუსი | 10 | 12 | 11 |
| მოსკოვი | 18 | 15 | 10 |
| მინსკი | 14 | 12 | 10 |
| პარიზი | 21 | 22 | 20 |
| რომი | 26 | 26 | 26 |
| ლონდონი | 15 | 20 | 18 |
| მადრიდი | 31 | 30 | 30 |
| ბონი | 18 | 20 | 20 |
| ვარშავა | 17 | 15 | 10 |
| ათენა | 26 | 26 | 28 |
| ბერნი | 20 | 23 | 25 |
| ამსტერდამი | 12 | 12 | 13 |
| ოსლო | 13 | 13 | 16 |
| ანკარა | 23 | 23 | 26 |
| ვარნა | 25 | 25 | 27 |
| დელი | 50 | 50 | 45 |
| ტოკიო | 25 | 21 | 21 |
| კოპენჰაგენი | 9 | 12 | 11 |
| ბაქო | 23 | 26 | 27 |
| ერევანი | 28 | 31 | 25 |
| ასტანა | 18 | 20 | 17 |
| ჰელსინკი | 3 | 6 | 0 |
| დუბლინი | 12 | 14 | 15 |
| ლისაბონი | 27 | 30 | 27 |
| პრაღა | 17 | 18 | 20 |
| სოფია | 21 | 26 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 25 | 23 |
| ბუხარესტი | 28 | 27 | 30 |

# მსოფლიოში ნავთობის მოხმარება 1,6 მილიონი ბარელით გაიზარდა

პირველი გვერდიდან

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ბენზინის ფასი ერთ ტონაზე მომატებულია 210 დოლარით, ანუ 40 პროცენტით; დიზელის საწვავის ფასი 1 ტონაზე მომატებულია 122 დოლარით, ანუ 23 პროცენტით; ნავთის ფასი 1 ტონაზე მომატებულია 122 დოლარით, ანუ 21 პროცენტით; მაზუთის ფასი 1 ტონაზე მომატებულია 5.50 დოლარით და გაძვირებულია 1,7 პროცენტით; ნავთობის ფასი ერთ ბარელზე მომატებულია 12 დოლარით, ანუ 20 პროცენტით.

ნავთობსა ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საქართველოს ბაზარზეც აისახა. თბილისის საცალო ქსელში აზერბაიჯანული ა-91 რეგულარის ტიპის საწვავის ფასი საშუალოდ 20-25 თეთრითაა გაზრდილი და 1,45-1,50 ლარს შეადგენს. რაც შეეხება ევროპულ საწვავს, მისი ფასი გაზრდილია 30-40 თეთრით და 1,70-1,80 ლარს შეადგენს, დიზელის საწვავის ფასი საშუალოდ 15-20 თეთრითაა გაძვირებული და 1.45-1.50 ლარია.

ექსპერტთა შეფასებით, ნავთობზე ფასის ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ირანის გარშემო შექმნილი დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია. როგორც ცნობილია, ირანი მთელს მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომპოვებელი ქვეყანაა და სამხედრო ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტი შეჩერდება. ბოლო მონაცემებით, ირანის წილი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მოწოდების მხრივ 5-8 პროცენტს შეადგენს.

ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასის ზრდას ისიც უწყობს ხელს, რომ მსოფლიოში ნავთობის ყოველდღიური მოხმარება 1,6 მილიონი ბარელითაა გაზრდილი, თუმცა ამავდროულად, მზარდი მოხმარების ადეკვატურად არ არის გაზრდილი ნავთობის მოპოვება.

ოპეკის პრეზიდენტი ედმონდ დაკორუ თავის ყველა გამოსვლაში აფიქსირებს იმ პოზიციას, რომ საჭიროა ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების გაზრდა, ვინაიდან ისინი საკმარისი არ არის. ამისთვის კი საჭიროა დამატებითი ინვესტიციების განხორციელება.

ექსპერტების შეფასებით, ნავთობის ფასების ზრდა, ძირითადად, დამოკიდებულია ირანის კრიზისზე. დაძაბულობის განმუხტვის შემთხვევაში ნავთობზე ფასები აუცილებლად დაიწევს და, სავარაუდოდ, ძველ ნიშნულს - 60 დოლარს დაუბრუნდება, ხოლო სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში ფასების ზრდა გარდაუვალია.

# გამარჯვების გზებზე ვდგებით

*საქართველოს ეროვნულ ბანკში 1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის "დინამოს" გამარჯვების 25 წლის აღსანიშნავად მოჭრილი საიუბილეო მონეტის პრეზენტაცია გაიმართა.*



პრეზენტაციის მსვლელობისას, თბილისის "დინამოს" ის შემადგენლობა დააჯილდოვეს, რომლებმაც 1981 წელს აღნიშნულ ტურნირში გაიმარჯვეს. საიუბილეო მონეტების გარდა, მათ სპორტსაზოგადოება "დინამოს" ხელმძღვანელობისაგან ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა "1981 წლის 13 მაისი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული თარიღია. ამ დღეს ქართველმა ფეხბურთელებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, 25 წლის წინ ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის "დინამოს" გამარჯვების უკვდავსაყოფად საიუბილეო მონეტა მოიჭრა. იგი საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით, პოლონეთის ზარაფხანაში დამზადდა. ამასთან, პოლონეთის ზარაფხანამ უკვე გააკეთა შეკვეთა ვერცხლის 5 ათასი ცალი მონეტის შესყიდვაზე ევროპის ბაზარზე გასატანად."

პრეზენტაციაზე სპორტსაზოგადოება "დინამოს" ხელმძღვანელმა გოჩა ძასოხოვმა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი სპორტსაზოგადოება "დინამოს" საპატიო ორდენებით დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, მსოფლიო ნუმიზმატურ ბაზარზე გასვლის მიზნით, საინვესტიციო, საიუბილეო და სამახსოვრო მონეტების დამზადებისა და მათი რეალიზების ახალი კონცეფციის განხორციელებას იწყებს. ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის "დინამოს" გამარჯვების 25 წლის აღსანიშნავად საიუბილეო მონეტის გარდა, იგეგმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებასთან დაკავშირებით სამახსოვრო მონეტის გამოშვებაც. ივნისშივე საქართველოს ეროვნული ბანკი "ოქროს საწმისის" გამოსახულებით პირველი საინვესტიციო ოქროს მონეტის გამოშვებას გეგმავს, რითაც ქვეყნის პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.

როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს, საკოლექციო დანიშნულების მონეტების ემისიის მიზანს, ქვეყნის ისტორიის, ტრადიციებისა და კულტურის პროპაგანდა წარმოადგენს. ამასთან, მათივე თქმით, ამ საქმიანობას კომერციული მოგებაც მოაქვს. მაგალითად რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტთან დაკავშირებულმა პრობლემამ დღის წესრიგში დააყენა ქართული სასმელების მსოფლიო ბაზარზე პოპულარიზაციის საკითხი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია უძველესი ქართული ვაზის ჯიშების ამსახველი მონეტების სერიულ გამოშვებას და მის მსოფლიო ბაზარზე რეალიზაციას. "მნიშვნელოვანია, მოჭრილი მონეტის დიზაინი და თემა ზუსტად ასახავდეს ქვეყნის ინტერესს, იყოს რაც შეიძლება მიმზიდველი და ხელმისაწვდომი როგორც საჩუქრად, ისე საინვესტიციოდ," - განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

მონეტის რეალიზაცია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 15 მაისიდან დაიწყება. მისი ყიდვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმსა და ბანკის რეგიონულ ფილიალებში - ახალციხეში, ბათუმში, გორში, გურჯაანში, ფოთსა და ქუთაისში. გაიყიდება ერთნაირი ესკიზის ორი მონეტა. ვერცხლის მონეტის გასაყიდი ფასია 46 ლარი, ნიკელის, თუთიისა და სპილენძის შენადნობისა კი - 5 ლარი.

ცნობისათვის, მონეტის ავერსი ასე გამოიყურება: მონეტის ცენტრში თასების თასის გრაფიკული გამოსახულებაა, მის ზემოთ ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წარწერა "საქართველო" და "GEORGIA" არის დატანილი. თასის გარშემო, მონეტის კიდესთან, დეკორატიული ნახევრადრკალისებრი ფორმის ორნამენტია, წაწვეტებული ბოლოებით. მონეტის მარჯვენა ქვედა მხარეს აღნიშნულია გამარჯვების წელი "1981" და წარწერა "წელი", ხოლო მარცხენა ქვედა მხარეს - წარწერა "ლარი", ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი "2" და ინგლისურენოვანი წარწერა "LARI". მონეტის ქვედა კიდეში მითითებულია გამოშვების წელი "2006". ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი "2" და ასევე გამარჯვების თარიღის "1981"-ის პირველი ციფრი "1" შედარებით დიდი ზომისაა და მატჩის ანგარიშს - ორით ერთს (2:1) აღნიშნავს.

რევერსი: მონეტის მარცხნივ და მარჯვნივ ორი ფეხბურთელის ფიგურაა მოძრაობაში. ქვედა მხარეს, ფიგურებს შორის, ბურთის გამოსახულებაა, ხოლო მის ქვემოთ - საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი რიცხვი "25" და ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წარწერა "წელი" და "YEARS". მონეტის თითქმის მთელ სიბრტყეს ფარავს თასის დეკორატიული გამოსახულება, რომლის ზედაპირზე ორენოვანი წარწერა იკვეთება - "დინამო თბილისი ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი" და "DINAMO TBILISI UEFA CUP WINNERS' CUP WINNER". ასევე, ნახევრადრკალისებრი დეკორატიული ორნამენტი ყოფს მონეტის ზედაპირს ორ ნაწილად და ფონს უქმნის დეკორსა და ფეხბურთელების გამოსახულებებს. მონეტის წიბოზე მოთავსებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა: "საქართველოს ეროვნული ბანკი" და შვიდქიმიანი ვარსკვლავი.

მონეტის ესკიზის ავტორი ვიქტორია ქუთათელაძეა.

# ოპოზიციური პარტიები სემეკ-ის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ

ოპოზიციური პარტიების ლიდერები სემეკ-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ. როგორც "ლეიბორისტების" პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, პარტია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იმ დადგენილებას აპროტესტებს, რომლითაც ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა.

**"თუ ტარიფის რეგისტრაციაში გატარება არ მოხდა, ავტომატურად, მოსახლეობა ელექტროენერგიის გაძვირებულ ფასს არ გადაიხდის, ხოლო თუკი ტარიფი მაინც დარეგისტრირდა, მაშინ ფასს კანონიერ ძალაში შესვლის ორკვირიანი ვადა გააჩნია და, შესაბამისად, "ლეიბორისტები" ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებენ,"** - განაცხადა გუგავამ.

სემეკ-ის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას თბილისის საქალაქო სასამართლოში "კონსერვატორებიც" გეგმავენ. როგორც "კონსერვატიული პარტიის" წევრი კახა კუკავა აცხადებს, ელექტროენერგიის ტარიფის დადგენას თავისი მეთოდოლოგია გააჩნია, რომელიც სემეკ-ის მიერ მნიშვნელოვნად იყო დარღვეული. "ამიტომ, პარტიის წევრები ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებაზე იმსჯელებენ," - განაცხადა კუკავამ.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფი საფეხურებრივი იქნება. მომხმარებელი, რომელიც თვეში 100 კვტ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის 13,48 თეთრს გადაიხდის. მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 16 თეთრი იქნება, ხოლო მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 301 კვტ/სთ-ზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 17,69 თეთრი იქნება.

რაც შეეხება რეგიონებს, 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების დროს ერთი კვტ/სთ-ის ფასი 12,98 თეთრი იქნება, 101-დან 300 კვტ/სთ-დან - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კილოვატ საათის ზემოთ - 17,49 თეთრი. ეს ტარიფები არ ეხება კახეთისა და აჭარის რეგიონებს, რადგან ამ რეგიონებში დამოუკიდებელი ენერგოკომპანიები მოქმედებენ, რომლებსაც სატარიფო განაცხადები კომისიაში დამოუკიდებლად აქვთ წარდგენილი.

ახალი ტარიფები პირველი ივნისიდან ამოქმედდება, ხოლო მანამდე სემეკ-ის დადგენილება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზას გაივლის. ოპოზიციური პარტიები საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იმ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებენ, რომლის საფუძველზეც 1 მაისიდან გაზის ტარიფი საქართველოში 32 პროცენტით გაიზარდა. თბილისში ბუნებრივი აირის ტარიფი 34, 2 თეთრი გახდა. **ინტერპრესნიუსი**

## რადიოსიხშირული სპექტრით ორი კომპანია და ერთი ფიზიკური პირი დაინტერესდა

2000 მგჰც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების წარმოდგენის ვადა ამოიწურა. კომისიაში განაცხადები და სათანადო დოკუმენტაცია ორმა დაინტერესებულმა კომპანიამ - შპს "ჯეოსელმა" და შპს "ტელეკომინვესტ საქართველომ" - და ერთმა ფიზიკურმა პირმა ანჯიოლო ბელინიმ წარადგინა. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა 8 491 392 ლარს შეადგენს, ხოლო გამარჯვებულის ვინაობა 2006 წლის 23 მაისს აუქციონის წესით გამოვლინდება.

აუქციონი გამოცხადებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 1950-1965 მგჰც, 2140-2155 მგჰც, 2010-2015 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა პრაქტიკული საქმიანობა ერთ წელიწადში უნდა დაიწყოს. **ინტერპრესნიუსი**

## "თბილგაზის" 100-პროცენტიანი წილის გაყიდვა სასურველი არ იყო"

"თბილგაზის" 100 პროიცენტიანი წილის გაყიდვა სასურველი არ იყო," - მიიჩნევს თბილისის საკრებულოს წევრი ზურაბ მინდელი. მისი აზრით, მცირეოდენი წილი რომ დედაქალაქის მერიას დარჩენოდა, მაშინ იმის შესაძლებლობა იქნებოდა, სამეთვალყურეო საბჭოში თბილისის მთავრობის წარმომადგენელი ყოფილიყო, რაც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მექანიზმი იქნებოდა. **"სჯობდა, არ გაყიდულიყო სრული პაკეტი, თუმცა, ალბათ, ასეთი პირობა იყო. სრული პაკეტის გაყიდვით კონტროლის მექანიზმი დაიკარგა,"** - განაცხადა ზურაბ მინდელმა. მან არ გამორიცხა ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდა, იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით ისევე იქნება გათვალისწინებული, როგორც ეს "თელასის" შემთხვევაში იყო. **"თელასთან" კაბალური ხელშეკრულება დაიდო, რადგან სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯული თანხების ამოღება აბონენტების ხარჯზე ხდებოდა. მე არ ვიცნობ ხელშეკრულებიოს შინაარსს და ამიტომაც ვერც ერთ შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავ,"** - დასძინა ზურაბ მინდელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსოფლიოში 1,6 მილიარდი ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრობს

ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში, გაეროს მდგრადი განვითარების კომისიის ორკვირიანი სესია დასრულდა, რომლის მონაწილეთა შორის სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე მინისტრი იმყოფებოდა. მინისტრებმა გაეროს ექსპერტებთან ერთად 2,4 მილიარდი ადამიანის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის გზებზე, კლიმატის ცვლილების პრობლემებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მსოფლიოში 1,6 მილიარდი ადამიანი ჯერ ისევ ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრობს, 1,4 მილიარდი კი გათბობის სხვადასხვა ბიოსაშუალებების გამოყენების შედეგად ავადდება და კვდება. მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ნავთობსა და ბუნებრივ აირზე ფასების ზრდამ და გარემოს დაბინძურების შეუქცევადმა პროცესებმა კაცობრიობას ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების გამოყენებისკენ უნდა უბიძგოს. საუბარია მზის, ქარისა და ზღვის ტალღების ენერგიებზე. ნიდერლანდების თანამშრომლობის განვითარების მინისტრის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლება აპირებს, განვითარებადი ქვეყნების 10 მილიონ მოსახლეს ენერგორესურსებით უზრუნველყოფაში დაეხმაროს. მინისტრმა სხვა ქვეყნებსაც ანალოგიური ნაბიჯისკენ მოუწოდა. რუსეთის ეკოლოგიის, ტექნოლოგიის და ატომური ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის უფროსის კონსტანტინ პულიკოვსკის განცხადებით, რუსეთი უკვე მსოფლიო მნიშვნელობის ენერგოდონორია, რომელიც უახლოეს მომავალში წარმოების ეკოლოგიური და ტექნოლოგიური უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გამყარების ინიციატივით გამოვა. სესიის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც განსახილველად გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს გადაეცემა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## იაპონური ტურნე დასრულდა



C2

## ტურინულმა მაფიამ კალჩო გახრწნა



C3

## ფლეი-ოფები გადამწყვეტ ფაზაში შედის



C4



## სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

**მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!**
**უყურეთ ფეხბურთს!**
**უყურეთ პირველს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

| | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: | 21 33 67 |
| სარეკლამო სამსახური: | 21 33 54, 33 23 11 |
| სპორტული რედაქცია: | 33 17 15 |




# წლის სათასო ტრიუმფატორი - თბილისის "ამერი"

ზურაბ ქვაჩახია - "ამერის" ბედნიერი ბილეთი საფეხბურთო ლატარიაში




მიხეილ აბაიშვილი

13 მაისი ქართული ფეხბურთის ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელია. თბილისის "დინამომ" 1981 წლის ამ დღეს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო.

13 მაისი თბილისის "ამერის" ისტორიაშიც ყველაზე ნათელი ფურცელია. 2006 წლის ამ დღეს "ამერმა" თავისი არსებობის არცთუ დიდი ხნის ისტორიაში პირველი ტიტული - დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი მოიგო.

მატჩი, რომელიც ნებისმიერი მაღალი დონის ტურნირს დაამშვენებდა - მერწმუნეთ, ეს შეფასება გადაუჭარბებელია და ამაში 15 ათასამდე გულშემატკივარიც დამეთანხმება, რომლებიც გუშინწინ ფინალურ შეხვედრაზე სტადიონზე მოვიდნენ. საფეხბურთო თრილერი, რომელიც ერთი გუნდისთვის ტრიუმფით, ხოლო მეორისთვის უიღბლოდ დასრულდა, თრილერი, ამ ჟანრის ყველა ელემენტით - ერთიმეორეზე უკეთესი და ლამაზი, ჩათვლილი და ჩაუთვლელი გოლებით, ყვითელი ბარათების ცვენით, ნაჩვენები და გაუქმებული წითელი ბარათით, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გათანაბრებული ანგარიშით და ოვერტაიმებით, და, ბოლოს და ბოლოს, საფეხბურთო ლატარიით - თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიით, თავისი გმირებითა და ანტიგმირებით. ყოველივე ზემოთქმულმა იმედი ჩაგვისახა, რომ საქართველოში ფეხბურთი საბოლოოდ არ დასამარებულა.

ამდენი ორთაბრძოლა, ასეთი მონდომება, გამარჯვებისკენ სწრაფვა და თავდადება, მერწმუნეთ, საქართველოს ჩემპიონატის ერთად აღებულ ყველა შეხვედრაში არ ყოფილა. "ამერმა" და "ზესტაფონმა" ნამდვილი ევროპული ფეხბურთის საღამო მოაწყვეს.

- ასეთი თამაშები რომ იმართებოდეს, არც ერთ ტურს არ გამოვტოვებ.

- რას ამბობ, ჩემ თავად, ვინც სტადიონზე ყველა თამაშზე არ იაროს...

მატჩის შემდეგ ჩემთვის უცნობ ორ გულშემატკივარს შორის სწორედ ასეთ დიალოგს შევესწარი და მართალიც არის. ფინალში ვნახეთ ის, რაც ასე ძალიან აკლია ქართულ ფეხბურთს - გამარჯვებას მოწყურებული ორი გუნდის თავდაუზოგავი თამაში. იმას უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ ფეხბურთელებს ხან სათამაშო ოსტატობა არ ყოფნიდათ, ხან თამაში უხეშობის ზღვარს სცილდებოდა, ხან ქომაგები არ იქცეოდნენ ეთიკის ნორმების სრული დაცვით. ეს ყველაფერი კომპენსირდებოდა როგორც ფეხბურთელების, ისე გულშემატკივრების მხრიდან. ქართული ფეხბურთის უმთავრეს პრობლემად საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ორთაბრძოლებს მიიჩნევს. ის ფიქრობს, რომ, საუკეთესო ტექნიკური მომზადების მიუხედავად, ქართველი ფეხბურთელები იმდენად სუსტები არიან ორთაბრძოლებში, რომ ყველა დანარჩენი სიკეთე წყალში იყრება. თასის ფინალი ამ თვალსაზრისითაც გამონაკლისი იყო. ორთაბრძოლებში მოურიდებელი შესვლა, ფეხებში ვარდნა, ძალისმიერი დაპირისპირებები მთელი 120 წუთის (ოვერტაიმების ჩათვლით) ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო, რითაც "ამერი"-"ზესტაფონის" მატჩი ქართული კლუბების სტანდარტული თამაშისგან გამოირჩა. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ ფეხბურთელებმა გაძლეს. თან, გაძლეს არა მხოლოდ ორი ტაიმი, არამედ მთელი სათამაშო დრო, დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმის ჩათვლით. თანაც ისე, რომ ამ ხნის მანძილზე გიჟური სათამაშო ტემპი (ისევ და ისევ ქართულ სტანდარტებთან შედარებით) ბოლომდე არ შენელებულა. ეს გარემოება ხაზს უსვამს, რომ ფიზიკური მომზადების (რაც ასევე ქართველი ფეხბურთელების აქილევსის ქუსლია) თვალსაზრისითაც არ ვართ მაინცდამაინც ჩამორჩენილები. მით უმეტეს, რომ თამაშში მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთელებმა, რომელთა ზურგს უკან ერთი კვირის წინ დასრულებული მომქანცველი სეზონია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან გულშემატკივრები. არ მახსოვს თვით საქართველოს ეროვნული ნაკრების არც ერთი მატჩი, რომელზეც ასეთი ქომაგობა იქნებოდა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## ვან ბასტენმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, ვინც გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

"ნარინჯისფერთა" სამუნდიალე შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები**: ედვინ ვან დერ სარი ("მანჩესტერ იუნაიტედი"), ხენკ ტიმერი (აზ-67), მარტენ სტეკელენბურგი ("აიაქსი");

**მცველები**: იან კრომკამპი ("ლივერპული"), ჰალიდ ბულახრუზი ("ჰამბურგი"), ტიმ დე კლერი (აზ-67), ანდრე ოიერი ("პსვ ეინდჰოვენი"), ჯონ ჰეიტინგა ("აიაქსი"), იორის მარტიისენი (აზ-67), ჯოვანი ვან ბრონხორსტი ("ბარსელონა"), კიუ იალაინსი (აზ-67);

**ნახევარმცველები**: ხედვიგ მადურო ("აიაქსი"), ფილიპ კოკუ ("პსვ ეინდჰოვენი"), უესლი სნაიდერი ("აიაქსი"), რაფაელ ვან დერ ვარტი ("ჰამბურგი"), მარკ ვან ბომელი ("ბარსელონა"), დენი ლანძატი (აზ-67) ;

**თავდამსხმელები**: იამ ვენეგოორ ოფ ჰესელინკი ("პსვ ეინდჰოვენი"), რუუდ ვან ნისტელროოი ("მანჩესტერ იუნაიტედი"), რობინ ვან პერსი ("არსენალი"), რაიან ბაბელი ("აიაქსი"), დირკ კუიტი ("ფეიენოორდი"), არიენ რობენი ("ჩელსი").

## ჟიული და პირესი ნაკრებს მიღმა დარჩნენ

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენიკმა გერმანიაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა.

დომენიკის გადაწყვეტილებას ფრანგი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ, რადგან თითქმის ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო ვინ დაიცავდა "მამლების" კარს - "მარსელში" მოთამაშე ფაბიენ ბარტეზი თუ "ლიონის" კარის დარაჯი გრეგორი კუპე. გამარჯვება დარჩა ბარტეზს, რომელიც ნაკრებთან ერთად მსოფლიოს 1998 და ევროპის 2000 წლის ჩემპიონია.

ბევრისთვის მოულოდნელად, ნაკრებს მიღმა ისეთი ფეხბურთელები დარჩნენ, როგორებიც "ბარსელონას" ფორვარდი ლუდოვიკ ჟიული, "არსენალის" ნახევარმცველი რობერ პირესი და "ფენერბახჩეს" თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა არიან. მნიშვნელოვანი სიახლე კი სანაკრებო განაცხადში "უიგანის" მცველის პასკალ შიმბონდის მოხვედრა გახლავთ.

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით ითამაშებს:

**მეკარეები**: ფაბიენ ბარტეზი ("მონაკო"), გრეგორი კუპე ("ლიონი"), მიქაელ ლანდრო ("ნანტი");

**მცველები**: ერიკ აბიდალი ("ლიონი"), ჟან-ალენ ბუმსონგი ("ნიუკასლი"), პასკალ შიმბონდა ("უიგანი"), უილიამ გალასი ("ჩელსი"), გაელ გივე ("მონაკო"), ვილი სანიოლი ("ბაიერნი"), მიქაელ სილვესტრი ("მანჩესტერ იუნაიტედი"), ლილიან ტიურამი ("იუვენტუსი");

**ნახევარმცველები**: ვიკაშ დორასო (პსჟ), ალუ დიარა ("ლანსი"), კლოდ მაკელელე ("ჩელსი"), ფლორან მალუდა ("ლიონი"), პატრიკ ვიეირა ("იუვენტუსი"), ზინედინ ზიდანი ("რეალი");

**თავდამსხმელები**: ჯიბრილ სისე ("ლივერპული"), ტიერი ანრი ("არსენალი"), ფრანკ რიბერი ("მარსელი"), ლუი საა ("მანჩესტერ იუნაიტედი"), დავიდ ტრეზეგე ("იუვენტუსი"), სილვიენ ვილტორი ("ლიონი").

## კაკა საუკეთესოა

უეფამ ის ფეხბურთელები დააჯილდოვა, ვისი გოლებიც ჩემპიონთა ლიგის 2005-06 წლების სეზონში ყველაზე ლამაზი გამოდგა.

პირველი ადგილი "მილანის" ბრაზილიელ ნახევარმცველს კაკას ერგო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თურქული "ფენერბახჩეს" კარში ორი ბრწყინვალე გოლი გაიატანა.

უეფას გადაწყვეტილებით, სწორედ კაკას მიერ თურქთა კარში გატანილი მეორე გოლი ჩაითვალა საუკეთესოდ.

მეორე ადგილი ასევე ბრაზილიელს, "ფენერბახჩეს" გამთამაშებელ ალექსს ერგო. ამ უკანასკნელმა "პსვ ეინდჰოვენის" კარში გატანილი გოლის გამო მოიპოვა აღიარება.

პორტუგალიური "ბენფიკას" მოთამაშე მანუელ ფერნანდეში ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ "ვილიარეალის" კარის აღებისთვის მესამე ადგილზე გავიდა.

ათეულში მოხვდა "არსენალის" ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი - მესამე ტურში "სპარტას" და მერვედფინალში "რეალის" კარში გატანილი გოლების წყალობით.

პირველ ათეულში მოხვდნენ აგრეთვე უგო ალმეიდა ("პორტუ"), სამუელ ეტოო ("ბარსელონა"), მიხაელ ბალაკი ("ბაიერნი"), ფრედი ("ლიონი") და ლუდოვიკ ჟიული ("ბარსელონა").

## ბარტეზი "მარსელიდან" წავა

ფრანგული "მარსელის" პრეზიდენტის პაპ დიუფის განცხადებით, საფრანგეთის ნაკრებისა და "მარსელის" კარის დარაჯი ფაბიენ ბარტეზი სეზონის დასრულების შემდეგ დატოვებს კლუბს.

"ფაბიენი სეზონის ბოლოს წავა. მისივე თქმით, მან პირადი მიზნებით მიიღო გადაწყვეტილება და არა ფულის ან მწვრთნელთან და თანაგუნდელებთან უკმაყოფილების გამო. ბარტეზს სედრიკ კარასო შეცვლის", - განაცხადა დიუფმა.

ჯერჯერობით გაურკვეველია, სად განაგრძობს კარიერას 34 წლის გოლკიპერი. ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ბარტეზმა კარიერა დაასრულოს ან მშობლიურ "ტულუზას" დაუბრუნდეს, სადაც 1990 წელს პროფესიული კარიერა დაიწყო.

ფაბიენ ბარტეზი "მარსელში" პირველად 1992 წელს მივიდა, საიდანაც 1995-ში "მონაკოში" გადავიდა. 2000-03 წლების სეზონში ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" კარს იცავდა. 2004 კი წელს ისევ "მარსელში" დაბრუნდა.

## "რენომ" კონტრაქტი გააგრძელა

ფორმულა 1-ის გუნდმა "რენომ" 2008 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი სამეფო რბოლების მესვეურებთან. ამის შესახებ ცნობილი გახდა ესპანეთის გრან პრის წინ. შეგახსენებთ, რომ "რენოს" საჯინიბო ერთ-ერთი საუკეთესოა ფორმულა 1-ში და კონტრაქტის გაგრძელება ორივე მხარისთვის მისაღები იყო.

## როი ჯონსი 29 ივნისს იბრძოლებს

გაირკვა დრო და ადგილი მატჩისა, რომელშიც მსოფლიოს ექსჩემპიონი ქვემძიმე წონაში როი ჯონსი და პრინს ბადი აჯამუ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

მატჩი 29 ივნისს აშშ-ს შტატ აიდაჰოს ქალაქ ბოისეში გაიმართება. ამავე საღამის რინგზე გავა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ლეგენდარული ევანდერ ჰოლიფილდიც. უბერებელი მოკრივე 35 წლის ფრენკ ვუდს დაუპირისპირდება.

# წლის სათასო ტრიუმფატორი - თბილისის "ამერი"

პირველი გვერდიდან

ცალკე "ამერის" და ცალკე "ზესტაფონის" გულშემატკივრები ასოცი წუთის განმავლობაში წუთითაც არ გაჩერებულან და გაჩუმებულან. როგორც ევროპულ სატელევიზიო რეპორტაჟებში გვინახავს - ფეხზე მდგარი ქომაგები საყვარელი გუნდის სახელს სკანდირებდნენ, ტრიბუნებიდან წამოსული ეს ენერგია კი ფეხბურთელებს ძალას მატებდა.

ვინც სტადიონზე ვერ წავიდა, სატელევიზიო რეპორტაჟში მაინც შეძლებდა თამაშის ხილვას. ასე რომ, დაწვრილებით იმის მოყოლას, თუ რა ხდებოდა მოედანზე, აზრი არა აქვს. ვიტყვი მხოლოდ, რომ გაიმარჯვა გუნდმა, რომელსაც ცოტათი მეტად გაუმართლა, ვიდრე მოწინააღმდეგეს. თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია რომ საფეხბურთო ლატარიაა, ყველას მოეხსენება. "ამერმა" ამ ლატარიაში ბედნიერი ბილეთი ამოიღო და ამ ბილეთის სახელია ზურაბ ქვაჩახია. პენალტების სერიისა და, შესაბამისად, ფინალის მთავარი გმირი სწორედ "ამერის" მეკარეა. ქვაჩახიამ ყველა პენალტის მიმართულება გამოიცნო, განუგრავასა და იმედაძის დარტყმების შემდეგ ბურთს შეეხო კიდეც, მაგრამ გოლები მაინც გავიდა, ფიფიას და ჭანტურიას დარტყმები კი მოიგერია. აი, მისმა ვიზავიმ - ჭანტურიამ კი ვერც პენალტის მოგერიებით გამოიჩინა თავი და მისი ამპლუისთვის არცთუ შესაფერისი საქმე - თერთმეტმეტრიანის დარტყმაც კარგად ვერ ითავა. სწორედ "ზესტაფონის" მეკარის მიერ შესრულებული და ქვაჩახიას მიერ მოგერიებული ბოლო თერთმეტმეტრიანის შემდეგ დასრულდა ეს დაძაბული ბატალია, დასრულდა "ამერის" გამარჯვებით.

ვერ მოვითმენ და ჩემს აზრსაც გამოვთქვამ: "ამერის" გამარჯვებაში არის სამართლიანობის ელემენტი - "ზესტაფონს", რომელიც ფინალის აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა, თემურ მახარაძის ცოდვამ უწია. ამ ნიჭიერი მწვრთნელის პირადი დამსახურება იყო, რომ "ზესტაფონი" ფინალში გავიდა და ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. იგი, რბილად რომ ვთქვა, გუნდიდან გაუშვეს. "ზესტაფონს" რომ მახარაძე შეენარჩუნებინა, დღეს მათ თასის მოპოვებით გამოწვეული ზეიმი ექნებოდათ. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის - მატჩის შემდეგ იგივეს ამბობდა ტრიბუნაზე შეკრებილი ყველა სპეციალისტი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა გეჩვენოთ, გუშინდელი წარუმატებლობა სწორედ მახარაძეს ეწყინა ყველაზე მეტად - გულისტკივილით მითხრა, რომ ამ მარცხით მთელი წლის ნაშრომი წყალში ჩაეყარა.

"ამერს" ვულოცავთ ამ დამსახურებულ წარმატებას და ვუსურვებთ, უეფას თასის ტურნირშიც ისევე თავდადებით და ღირსეულად ეთამაშოს, როგორც ეს საქართველოს თასის ფინალში გააკეთა.



რატი წინამძღვრიშვილმა შესანიშნავი გოლი გაიტანა.

**13 მაისი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი**
**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი, ფინალი**
**"ამერი" (თბილისი) - "ზესტაფონი" 2:2,**
**პენალტებით - 4:3**

**ამერი:** ქვაჩახია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, სევასტოპულო (დოლიძე, 60`), დავითაშვილი (კვახაძე, 78`), წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი, 72`). მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე.

**ზესტაფონი:** ჭანტურია, თურმანიძე, ღონღაძე, თოდუა, ჩხეტიანი, ბენაშვილი (იმედაძე, 73`), განუგრავა, ბჟალავა (ნუდნი, 61`), ნოზაძე (ჭელიძე, 68`), ფიფია, იონანიძე. მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი.

**გოლები:** 1:0 დავითაშვილი 10`. 1:1 იონანიძე 29`, 2:1 წინამძღვრიშვილი 72`, 2:2 ღონღაძე 92`.

**გაფრთხილება:** ქვაჩახია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, კვახაძე, ღონღაძე, ჩხეტიანი, ნუდნი.

# შეკრება "ქორთიარდში"

სასტუმრო "ქორთიარდში" გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეთერთმეტე ყრილობა, რომელსაც 57 დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის 32 - ხმის უფლებით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობას დაესწრო უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და უეფაში საქართველოს კურატორი, მალტის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ჟოსეფ მიფსუდი.

სხდომის დასაწყისში ყრილობის დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ცნობილი ქართველი ფეხბურთელების გარი სორდიას და ასლან ხარბედიას ხსოვნას.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1.ყრილობის შემადგენლობა დამტკიცდა: 57 დამსწრე დელეგატიდან 32 ხმის უფლებით სარგებლობდა, რაც კვორუმს აკმაყოფილებდა.

2.დამტკიცდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეათე ყრილობის ოქმი.

3.დამსწრეებმა მოისმინეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მოხსენება.

4.დამტკიცდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის ანგარიში.

5.დამტკიცდა 2005 წლის ფინანსური შედეგები.

6.დამტკიცდა აუდიტის დასკვნა.

7.შეირჩა სფფ-ის დამოუკიდებელი აუდიტი - GSS აუდიტთან ერთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა.

8.დამტკიცდა 2006 წლის ბიუჯეტი.

9.დამტკიცდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტში ვაკანტურ ადგილებზე არჩეული გრიგოლ ცაავას და გიორგი გაბაშვილის კანდიდატურები.

10.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, იურიდიული ორგანოების შემადგენლობისა და სპეციალური დებულების დელეგირება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტზე მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეთერთმეტე ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

11.დამტკიცდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიღებული წევრები: სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაციები, ასევე საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია.

12. დამტკიცდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდებასა და დებულებებში.

# იაპონური ტურნე დასრულდა

იაპონიაში დასრულდა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ტურნე. "ლელოებმა" ამომავალი მზის ქვეყანაში ორი ტესტ-მატჩი გამართეს და ორივე წააგეს. ჯერ იაპონიის A ნაკრებს გაეჯიბრნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი - 14:0 მოიგეს, გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ - 15:14. იმ მატჩში პალიკო ჯიმშელაძემ ორი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა.

იაპონიის ეროვნულ ნაკრებთან კი "ლელოებმა" გუშინ ოსაკაში, ჰანაზონოს სტადიონზე ითამაშეს. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათაც შანსი არ დაუტოვეს ქართველებს - 32:7 ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი. ჯიმშელაძეს ეროვნულ ნაკრებთანაც გაუცუდდა ერთი საჯარიმო მატჩის მე-40 წუთზე, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ეს ვერაფერი ნუგეში იქნებოდა საქართველოს ნაკრებისთვის.

ქართველი მორაგბეები ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით გაემგზავრნენ იაპონიაში. გუნდს აკლდა ძირითადი შემადგენლობის 9 მოთამაშე. ბუნებრივია, ასეთ პირობებში იაპონიის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაში გართულდა. საქმე ის არის, რომ ახლა საფრანგეთში პლეიოფები მიმდინარეობს და ფრანგულმა კლუბებმა უარი თქვეს თავისი მოთამაშეების გათავისუფლებაზე. რაკი ასე მოინდომეს, არც ქართულ მხარეს დაუჟინებია ტესტ-მატჩებისთვის წამყვანი მოთამაშეების გათავისუფლება.

ასეა თი ისე, იაპონური ტურნე უაღრესად სასარგებლო გამოდგა ქართველი მორაგბეებისთვის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადებიან. მზადების პროცესში ჩვენი გუნდი 4 ივნისს თბილისში ბრიტანელ "ბარბაროსებს" გაეჯიბრება. 10-ში კი ჩეხეთის ნაკრებთან მატჩით დაასრულებს ერთა თასის წლევანდელ გათამაშებას.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქართველი "ლელოები" ბრიტანელ "ბარბაროსებთან" შესახვედრად მოემზადებიან.

**იაპონია - საქართველო 32:7**

**იაპონია:** 15 კეიძი ტაკეი, 14 დაისუკე ოჰატა, 13 იუტა იმამურა, 12 ჰიდეიუკი იოშიდა, 11 კოსუკე ენდო (22 ჰიროკი მიზუნო 61'); 10 ეიძი ანდო (21 შოტარო ონიში 49'), 9 ვატარუ იკედა (20 მამორუ იტო 76') /
1 იუიჩი ჰისადომი (იამამურა 73'), 2 იუძი მაცუბარა (16 ტაკაში იამაოკა 70'), 3 რიო იამამურა (17 ტომოკაზუ სომა 49'); 4 იტოში ონო (18 ტომოაკი ნაკაი 69'), 5 ცუიოში სატო; 6 ტაკაში კიკუტანი, 7 რიოტა ასანო კაპ, 8 ჰაძიმე კისო (19 ტაკანორი კუმაგაე 63')
**5 ლელო:** მაცუბარა, ოჰატა სამი - (2 3 5), ტაკეი.
**2 გარდასახვა:** ანდო, ონიში.
**საჯარიმო:** ანდო.
**საქართველო:** 15 თემურ სოხაძე (19 რევაზ გიგაური 76'), 14 გიორგი ელიზბარაშვილი (21 ოთარ ბარკალაია 58'), 13 მალხაზ ურჯუკაშვილი, 12 დავით კაჭარავა, 11 გიორგი შკინინი (18 ვასილ აბაშიძე * მენეჯერი 80+2'); 10 პავლე ჯიმშელაძე, 9 ირაკლი აბუსერიძე (20 გიორგი კაჭარავა 76') /
1 მიხეილ სუჯაშვილი (17 დავით გასვიანი 67'), 2 გიორგი კუთარაშვილი (16 ირაკლი ნატრიაშვილი 76'), 3 ავთო კოპალიანი; 4 ზურაბ მჭედლიშვილი, 5 ლევან დათუნაშვილი (სბ. 80+4), 6 გია ლაბაძე კაპ, 7 ზვიად მაისურაძე, 8 ბესო უდესიანი.
**ლელო:** სუჯაშვილი.
**გარდასახვა:** ჯიმშელაძე.
**რეფერი:** ბრეტ ბაუდენი (ავსტრალია)
**ანგარიშის მიმდინარეობა:** 0:5 (9') - 0:8 (18') - 7:8 (26') - 7:15 (37') / - 7:20 (59') - 7:27 (70') - 7:32 (80+5')
კვირა, 14 მაისი, 2006. ოსაკა, ჰანაზონო

## ინფოთეკა

### უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩების მსაჯები

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩებს მოემსახურებიან მსაჯთა შემდეგი ბრიგადები:

თბილისის "თბილისი" - აგარას "მეშაქრე"

ლ.ფანიაშვილი (მთავარი მსაჯი); გ.ჩიგოგიძე, კ.გაბრიაძე (თანამსაჯები); დ.ხარიტონაშვილი (მეოთხე მსაჯი)

ცხინვალის "ცხინვალი" - გაგრის "გაგრა"

ლ.სილაგავა (მთავარი მსაჯი); ზ.მენთეშაშვილი, მ.ურუშაძე (თანამსაჯები); ვ.ელისაბედაშვილი (მეოთხე მსაჯი)

### ეტო`ო არ იყიდება

ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცის ჟოზე მოურინიოს თქმით, ის არ აპირებს მხოლოდ "ბაიერნიდან" მიხაელ ბალაკის შეძენით დაკმაყოფილდეს. გარდა იმისა, რომ ზაფხულის სატრანსფერო სეზონში აბრამოვიჩისა და მოურინიოს მთავარი სამიზნე "მილანის" უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკოა, პორტუგალიელს დიდი სურვილი აქვს კლუბში "ბარსელონას" კამერუნელი ბომბარდირი სამუელ ეტო`ოც იხილოს. პრესაში გავრცელებულ ამ ინფორმაციას უმალვე მოჰყვა "ბარსელონას" პრეზიდენტის ხოან ლაპორტას განცხადება, რომ სამუელ ეტო`ო არ იყიდება. "ჩვენ არ ვაპირებთ შეველიოთ ისეთ ფეხბურთელებს, როგორიც სამუელია. ის "ბარსაში" იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუ მომავალ სეზონში "კამპ ნოუზე" ტიერი ანრი ითამაშებს", - განაცხადა კატალონიელთა პრეზიდენტმა.

### "ციურიხი" ჩემპიონია

შვეიცარიის "ციურიხმა" შარშანდელი სეზონის ჩემპიონ "ბაზელს" დრამატულ ბრძოლაში გამოჰგლიჯა ხელიდან ქვეყნის ჩემპიონობა. "ბაზელთან" სტუმრად მოგებული (2:1) მატჩის წყალობით "ციურიხი" 25 წლის შემდეგ პირველად გახდა შვეიცარიის ჩემპიონი. ზამთრის განახლებული სეზონიდან მოყოლებული, "ბაზელი" "ციურიხს" 8 ქულით ჩამორჩებოდა, თუმცა 7-მატჩიანი წაუგებელი სერიის შედეგად გუნდმა დანაკლისი ამოქაჩა. "ციურიხთან" მარცხით "ბაზელმა" საშინაო არენაზე 59-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. რაც შეეხება "ციურიხს", ამ მატჩის მოგების შემდეგ მათ თანაბარი ქულები ჰქონდათ "ბაზელთან", თუმცა ჩემპიონობა სეზონში მეტი გატანილი გოლების ხარჯზე მოიპოვეს. "გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. სამწუხაროა, რომ ბოლო მომენტში დავთმეთ ჩემპიონობა", - განაცხადა "ბაზელის" მთავარმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა. მატჩის შემდეგ "ბაზელის" გულდაწყვეტილმა გულშემატკივრებმა არეულობა მოაწყვეს. ისინი მოედანზე შესვლას ლამობდნენ, თუმცა მათ დასაშოშმინებლად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა.

### სტოიჩკოვი დაინდეს

შოტლანდიაში განცდილი კატასტროფული მარცხის მიუხედავად, ბულგარეთის ფეხბურთის მესვეურებმა თანამდებობაზე დატოვეს ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი.

"ჩვენ ბოლომდე ვენდობით ხრისტოს. შოტლანდიასთან წაგებულ მატჩს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ," - განაცხადა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში სტოიჩკოვის თანაგუნდელმა იორდან ლეჩკოვმა.

### "ჩელსიმ" ბალაკი დაიბევა, ჯერი შევჩენკოზეა

დღეს მიხაელ ბალაკი "ჩელსის" ფეხბურთელი გახდება. გერმანელი ნახევარმცველი "სტემფორდ ბრიჯზე" გამართავს პრესკონფერენციას და ოფიაციალურად გააფორმებს კონტრაქტს ლონდონურ კლუბთან.

ახლა "არისტოკრატები" მთლიანად ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერზე გადაერთვებიან. გუშინ სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ ანდრეის "მილანის" დატოვება სურს და იტალიური გრანდი მზადაა განიხილოს ლონდონელთა წინადადება. "ჩელსი" კი ნებისმიერ დანახარჯზე წავა, რათა შეიძინოს უკრაინელი მეგოლე. აბრამოვიჩმა სატრანსფერო თანხა ფაქტობრივად დაასახელა. რუსი მილიარდერი მზადაა "მილანს" 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს, ამასთან, იტალიურ გუნდს კრესპო და გალასიც დაუთმოს. აღსანიშნავია, რომ თუ შევჩენკოს ტრანსფერი შედგა, "მილანი" ტიერი ანრის ყიდვას შეეცდება.

# ტურინულმა მაფიამ კალჩო გახრწნა








*12 წლის განმავლობაში ლუჩანო მოჯი იტალიურ ფეხბურთს მართავდა.*

ვასილ უდუმაშვილი

საფეხბურთო იტალია შოკშია. აფეთქდა ისეთი სიძლიერის ნაღმი, როგორიც იტალიურ ფეხბურთს ჯერაც არ ახსოვს. დიახ, შეიძლება გავიხსენოთ "იუვენტუსთან" დაკავშირებული არაფრით დასრულებული დოპინგის სკანდალი. დიახ, ჯერაც გვახსოვს არაერთი მცდელობა, რომ ჩაწყობილი მატჩების არსებობა დაემტკიცებინათ. დიახ, არსებობდა კლუბების გაკოტრებასთან დაკავშირებული სკანდალები, რომელთა შედეგად საფეხბურთო ოლიმპიდან ჩამოაგდეს ისეთი ძლიერი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ვიტორიო ჩეკი გორი, სერჯიო კრანიოტი და ტანცების ოჯახი. დიახ, იყო ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციები ნანდროლინის გამოყენების გამო.

მაგრამ ყველა ზემოთ ნახსენები სკანდალი სულ პატარა ზიანს აყენებდა კალჩოდ წოდებულ უდიდეს მეურნეობას. ახლანდელ სკანდალს ვერაფერი შეედრება. სააშკარაოზე გამოვიდა ის, რაზეც აქამდე ან მხოლოდ ჩურჩულებდნენ, ან საერთოდ დუმდნენ. მაფიამ, რომელსაც "იუვენტუსის" ხალხი უდგას სათავეში, მთლიანად გახრწნა იტალიური ფეხბურთი. ერთდროულად სამი იტალიური ქალაქის - რომი, პალერმო, ნეაპოლი - პროკურატურა მთელი წლის განმავლობაში ისმენდა კალჩოს მთავარი მოქმედი პირების სატელეფონო საუბრებს. და აი, ახლა ეს საუბრები საჯარო განსჯის საგანი გახდა.

რამდენიმე დღეა, რაც იტალიური მედია აქვეყნებს ამ სატელეფონო საუბრების შინაარსს. მათი მთავარი გმირები არიან ტურინის "იუვენტუსის" გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი, კლუბის კიდევ ერთი ბოსი ანტონიო ჯირაუდო, ყველაზე სკანდალური სააგენტოს მფლობელი მოჯი-უმცროსი, სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე პაირეტო, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მაცინი და კიდევ რამდენიმე საფეხბურთო ჩინოსანი. სატელეფონო საუბრებიდან ცხადი ხდება: იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა მოჯი-უფროსი, რომელსაც იტალიური მედია მეტსახელად ლაკი ლუჩანოს უწოდებს, გახლავთ იტალიური ფეხბურთის ნამდვილი რუხი კარდინალი, რომლის ხელში იყო ყველა მსაჯი, სამსაჯო კომიტეტის თავთან ერთად. ფორმალურად მხოლოდ ერთი კლუბის თავს ხელში ეჭირა მთელი იტალიური ფეხბურთი, გავლენას ახდენდა ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაზე, მონაწილეობას იღებდა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნაში და ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებაში. შვილის სააგენტოს საშუალებით არეგულირებდა იტალიურ სატრანსფერო ბაზარს. აწარმოებდა "აღმზრდელობით მუშაობას" იტალიელი ჟურნალისტებისთვის. საბოლოოდ მოჯიმ მეგობრებთან ერთად ანიელების ოჯახის ცხვირწინ შექმნა ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა იტალიურ ფეხბურთს.

ცხადია, იტალიურმა საფეხბურთო სამყარომ ამის შესახებ ადრეც იცოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ხმას არავინ იღებდა. ახლა, როდესაც საქმეში პროკურატურა ჩაერია, საზოგადოებისთვის ყოველდღიურად ცნობილი ხდება მოჯის დაჯგუფების დანაშაულებრივი ქმედების დეტალები. თეზისი იმის თაობაზე, რომ კალჩო მთლიანად "მილანსა" და "იუვენტუსზეა" დამოკიდებული, დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ "იუვენტუსს" მიადგნენ. "მილანის" დრო ან ჯერ არ დამდგარა, ან კიდევ მოჯი ამ კლუბსაც აკონტროლებდა.

ალბათ საჭირო არ არის იმაზე საუბარი, რომ იტალიური საფეხბურთო სკანდალების დიდი ნაწილი არაფრით არ მთავრდება, მაგრამ, ეტყობა, ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ უკვე დატოვა თანამდებობა. თუმცა, ის, შესაძლოა, დააბრუნონ, რადგან თავად კარარო დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებული არ არის. მას მიჰყვა ვიცე-პრეზიდენტი მაცი, რომელიც, ფაქტობრივად, მოჯის მარიონეტი იყო. რუხ კარდინალთან მეგობრობისთვის უკვე დაისაჯა პაირეტო, რომელიც უეფას სამსაჯო კომიტეტიდან გამოიწვიეს, მის ადგილს კი პიერლუიჯი კოლინა დაიკავებს. რამდენიმე მსაჯს (ბერტინი, კასარა, დატილო, ფარინა), რომელთა გვარები სატელეფონო საუბრებში ფიგურირირებს, უახლოეს დღეებში პროკურატურა დაკითხავს. ცნობილმა არბიტრმა მასიმო დე სანქტისმა კი, , მუნდიალზე მუშაობის უფლება დაკარგა. კვირას გადაწყდა, რომ დე სანქტისი გერმანიაში ვერ გაემგზავრება, მეტიც უახლოეს დღეებში მას პროკურორის შეკითხვებზე მოწუვს პასუხის გაცემა.

სატრანსფერო ბაზარზე მონოპოლიის მქონე კომპანია GEA, რომელსაც სათავეში უდგას მოჯი-უმცროსი და რომელთანაც აქტიურად მუშაობდა სკუადრა აძურას მწვრთნელი მარჩელო ლიპი, არსებობას წყვეტს. ამ სააგენტოს დამფუძნებლებს კი პროკურატურაში დაიბარებენ. შესაძლოა, თავად პროკურატურის ზოგიერთი წარმომადგენელიც აღმოჩნდეს დამნაშავეთა შორის.

ამ ვითარებაში საინტერესოა რა ელის თავად მოჯი-უფროსს? ეს ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის დაცვა კარგად ეხერხება, ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს. 12 წლის განმავლობაში იგი "იუვენტუსისა" და კალჩოს ბედს განაგებდა. მანამდე კი კვალი დატოვა ისეთ კლუბებში, როგორებიცაა "რომა", დიეგო მარადონას დროინდელი "ნაპოლი" და "ტორინო". სადაც არ უნდა ემუშავა, მოჯი ყველგან წარმატებებს აღწევდა. "იუვენტუსთან" ერთად კი მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც საკლუბო ფეხბურთშია შესაძლებელი. ამ უქმეებზე მოჯიმ უკვე დატოვა თანამდებობა. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა მთელი შემადგენლობით გადადგა, ამჯერად დონ მოჯის ალბათ ყველაფრისთვის აგებინებენ პასუხს. სწორედ ის იქცევა მთავარ განტევების ვაცად. თუმცა, ცხადია, რომ ახლა მთელი სისტემაა დაავადებული და მხოლოდ ერთი კაცის შეცვლით იტალიურ ფეხბურთს არაფერი ეშველება.

ცხადია, ცვლილებები "იუვენტუსშიც" მოხდება. მოჯი და ჯირაუდო, რომელიც ყოველთვის მოჯის მარჯვენა ხელად ითვლებოდა გადადგნენ. ასევე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ტრიადის მესამე ადამიანი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა, შეილახა მისი რეპუტაციაც. საეჭვოა, რომ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გუნდში დარჩეს ფაბიო კაპელო, რომელიც "იუვენტუსში" სწორედ მოჯიმ მიიყვანა. დონ ფაბიო უკვე ეძებს ახალ სამუშაოს და, როგორც ამბობენ, მომავალ სეზონში "ინტერში" იმუშავებს. მოკლედ, ტურინული გრანდი, რევოლუციური ცვლილებების მოლოდინშია. მომავალში "იუვეს" ლანგრით აღარავინ მიართმევს ჩემპიონობას.

დაბოლოს, საინტერესოა, რატომ გახმაურდა ყველაფერი ახლა? მოჯის საუბრებს პრკურატურა უკვე ერთი წელია ისმენს. რუხი კარდინალის საქმიანობის შესახებ აქამდეც კარგად იყო ცნობილი. იტალიური მედია ამ კითხვებზე პასუხს არ იძლევა.

გავრისკავ და ვიტყვი, რომ მოჯის მოცილების მექანიზმი თავად "იუვენტუსის" მფლობელებმა აამუშავეს. ანიელების ოჯახმა ტოპ მენეჯერის მოცილება გადაწყვიტა. მართალია, მოჯიმ გუნდს ყველაფერი მოაგებინა, მაგრამ ამავე დროს საოცრად გაზარდა საკუთარი გავლენა იტალიურ ფეხბურთზე და ეს მას არ აპატიეს. ახლა ანიელები უმწიკვლო რეპუტაციის პიროვნებას ეძებენ და მოჯის ადგილსაც ასეთ ადამიანს გადაულოცავენ.

მომხდარმა კი უდიდესი დარტყმა მიაყენა მთლიანად იტალიურ ფეხბურთს. შესაძლოა, საბოლოო ჯამში ეს კალჩოს წაადგეს კიდეც. ალბათ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აპენინური ფეხბურთი უკვე დიდი ხანია საჭიროებს რეორგანიზაციას.

ერთსაც გეტყვით: შაბათს იტალიურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ლუჩანო მოჯის წინააღმდეგ. ასე რომ, გამორიცხული არ არის, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა უახლოეს მომავალში დააპატიმრონ.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ საქმეში უკვე სხვა კლუბების სახელებიც ფიგურირებს. კერძოდ საუბარია "მილანზე" "ფიორენტინაზე" და "ლაციოზე" თუ პროკურატურამ დაამტკიცა, რომ ეს სამი კლუბი "იუვენტუსთან" ერთად ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებას ახდენდა ოთხივე გარიცხული იქნება სერია A-დან.

# ზიდანი რონალდოსთვის დაუვიწყარი იქნება



თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში საფეხბურთო სამყაროში მუდმივად მუსირებდა ხმები "რეალიდან" რონალდოს წასვლის თაობაზე. მას ხან ლონდონის "ჩელსის" უკავშირებდნენ, ხანაც იტალიურ "მილანს". კლუბის დატოვების სურვილი თავად ბრაზილიელმა თავდამსხმელმაც გამოთქვა, მიზეზად კი "რეალის" მაშინდელ მწვრთნელთან ვანდერლეი ლუშემბურგოსთან უკმაყოფილება დაასახელა.

წლევანდელი სეზონი დასრულდა, თუმცა რონალდოს წასვლის საკითხი ისევ გაურკვეველია. სიტუაცია კი შეიცვალა - თუ ადრე რონალდო იყო კლუბით უკმაყოფილო, ახლა გულშემატკივრები გამოხატავენ მისით უკმაყოფილებას.

თავად ფეხბურთელი "სამეფო გუნდში" ლოპეს კაროს მოსვლის შემდეგ მწვრთნელთან უთანხმოებას აღარ უჩივის და ამიტომ გუნდში დარჩენაზეც ყაბულსაა.

წინა კვირას რონალდომ თავისი განახლებული ინტერნეტ-გვერდის პრეზენტაცია მოაწყო, რომლის შემდეგ მადრიდელ ჟურნალისტებს შეხვდა.

**- რას იტყვით, მეოთხედფინალში ბრაზილია ესპანეთს რომ გადაეყაროს?**

- მსოფლიო ჩემპიონატი ისეთი დონის ტურნირია, სადაც იოლი თამაშები არავის ელის. ჩემი აზრით, ყველა მატჩი დაძაბული და რთულია. ჩვენ უმაღლეს დონეზე უნდა მოვემზადოთ და ყველა ნაკრებთან შესახვედრად მზად ვიყოთ. ჩემი აზრით, წლეულს ესპანეთის ნაკრებს კარგი გუნდი ჰყავს. ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელთან ვმეგობრობ, თუმცა როცა მოედანზე ერთმანეთის პირისპირ გვიწევს თამაში, მეგობრობა დროებით უნდა დავივიწყოთ. მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი ნაკრები ფიზიკურად და მენტალურად ემზადება, რათა ვაჩვენოთ ისეთი ფეხბურთი, როგორიც ვიცით და როგორიც შეგვეფერება.

**- როგორც ფეხბურთელი, პირად მიზნად რას ისახავთ - მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობას არ გეგმავთ?**

- ვიმედოვნებ, მაგრამ საუკეთესო ბომბარდირობა ჩემი ერთადერთი და ძირითადი მიზანი არ გახლავთ. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი პატივი იქნება ჩემთვის, მაგრამ ჩემი მთავარი მოტივაცია ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონობაა, რეკორდების დამხობა კი - ამის საუკეთესო დაგვირგვინება.

**- ახალ სეზონში ისევ მადრიდის "რეალში" ითამაშებთ?**

- ალბათ. ჩვენ მძიმე წელი გვქონდა, კლუბში უამრავი პრობლემა დაგროვდა, მათ შორის ერთ-ერთი "რეალში" ჩემი დარჩენის საკითხია. ჩემიც და კლუბის მომავალიც ჯერ გაურკვეველია. სეზონის ბოლოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება, თუმცა არ ვიცით ვინ არიან კანდიდატები. "სამეფო კლუბთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. მერე ვნახოთ. თუ ახალი პრეზიდენტი გამოთქვამს სურვილს, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გავაგრძელო თამაში, დიდი სიამოვნებით დავრჩები.

**- რომ არ გამოთქვას, მაშინ წახვალთ?**

- არ ვიცი, ვნახოთ. თითქმის ყოველდღე მიწევს იმის მტკიცება, რომ "რეალში" თავს კარგად ვგრძნობ, მინდა აქ დარჩენა და კლუბთან ერთად ტიტულების მოპოვება, მაგრამ თუ ახალი პრეზიდენტი და გულშემატკივარი ჩემით უკმაყოფილო იქნებიან, წავალ.

**- ჯანმრთელობის მხრივ თავს როგორ გრძნობთ?**

- ტრავმის გამო სეზონი "რეალზე" ადრე დავამთავრე. თავიდან, როცა მყესები დამეჭიმა, არ მეგონა, თუ გამირთულდებოდა. პრობლემების თავიდან ასაცილებლად თამაშისთვის თავის არიდება ვამჯობინე. მაგრამ, როგორც ხედავთ, ტრავმას აქ, ესპანეთში ვიშუშებ და არა სამშობლოში, ბრაზილიაში.

**- ამბობენ, ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ფეხბურთელებს შორის წარმოუდგენლად კარგი ურთიერთობააო. არ ფიქრობთ, რომ "რეალის" წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მოთამაშეებს შორის დაძაბული ურთიერთობაა?**

- ეს ჟურნალისტების გამოგონილი ამბავია. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ "რეალის" ფეხბურთელებს ერთმანეთთან ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს. შესაძლოა, არა ისეთი, როგორიც ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებს, მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს.

**- ყველაზე კარგი გულშემატკივარი სად გყავდათ?**

- "კრუზეიროში". მათ რაღაც განსაკუთრებული ქომაგობა იციან. ყოველთვის ტაშს გიკრავენ და გლოცავენ. მაშინაც კი, როცა ვაგებდით. "რეალის", "ბარსელონასა" და "ინტერის" ფანები უფრო განსხვავებული და მომთხოვნი არიან.

**- გინდათ, რომ "ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგა მოიგოს?**

- ძალიან გამიხარდება, თუ ჩემი ბარსელონელი მეგობრები თასს დაუფლებიან. ეს უდიდესი წარმატება იქნება მათთვის.

**- ადრე ამბობდით, რომ ვანდერლეი ლუშემბურგო მაინცდამაინც არ მოგწონდათ. ხუან რამონ ლოპეს კაროზე რა აზრის ხართ?**

- მას ძალიან რთულ პერიოდში მოუხდა ჩვენთან მოსვლა. მაგრამ ძლიერი ნებისყოფის აღმოჩნდა და საქმეს კარგად გაართვა თავი.

**- "რეალის" მწვრთნელებს შორის ვინ მიგაჩნიათ საუკეთესოდ - ვისენტე დელ ვოსკე?**

- ის უდიდესი პიროვნება და დიდებული მწვრთნელია. მან გუნდის ყოველი დეტალი კარგად იცოდა, კარგი ხელმძღვანელობა შეეძლო. მასთან ერთად დიდებული წელი გავატარე, მაგრამ, სამწუხაროდ, გუნდის თავკაცის არჩევას მე არავინ მეკითხება.

**- ხშირად ზინედინ ზიდანს გადარებენ ხოლმე. თქვენი აზრით, რით ჰგავხართ ზიზუს?**

- ჩემი აზრით, ორი ფეხბურთელის შედარება ცოტა კომიკურია. შეუძლებელია ერთი მოთამაშე მეორეს შეადარო, რადგან ყოველ მათგანს ინდივიდუალური თამაშის სტილი აქვს. ზიდანის გვერდით თამაში ჩემთვის დიდი პატივი იყო. მე და ზიზუმ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩიც გავმართეთ ქველმოქმედების მიზნით. უდიდეს წარმატებად მივიჩნევ იმ ოთხ შეხვედრას, რომელშიც ზიდანისა და მისი მეგობრების გუნდმა ჩემი და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ ითამაშეს. სამწუხაროა, რომ ზიზუ მიდის, მაგრამ ეს ეტაპი ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში დადგება. ზიდანი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება.

**- რა რეაქცია გაქვთ ხოლმე, როცა ძირითადში ვერ ხვდებით?**

- სეზონის განმავლობაში ხშირად ვიღებდი მიკროტრავმებს, რის გამოც არასტაბილურად ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, სკამზე დატოვებას გაგებით ვეკიდები. არც ერთი მწვრთნელი ვალდებული არ არის, ყველა ფეხბურთელი 90 წუთის განმავლობაში ათამაშოს. თავის დროზე პელე და მარადონაც კი ვერ ხვდებოდნენ ყველა მატჩის ძირითადში.

**- რა იქნება თქვენთვის ყველაზე სასიხარულო ინფორმაცია, რომელიც თქვენს ახალ ვებ-გვერდზე დაიდება?**

- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიამ მოიგო, ოქროს ბურთი კი - რონალდომ.

## კოკაი პოზიციებს თმობს

მაისის ბაშოზე ქართველი სუმოისტი კოკაი არც ისე კარგად ასპარეზობს. რვა ბრძოლის შემდეგ ლევან ცაგურიას მხოლოდ სამი მოგება აქვს და თუ მან ეს ბაშოც უარყოფითი შედეგით დაასრულა, რანგით კიდევ ერთხელ ჩამოქვეითდება. დღეს კოკაი მეათე მაიგეშირა ტამაგასუკას დაუპირისპირდება. კოკაის წაფორხილების უფლება აღარა აქვს. თუ უნდა, რომ ბაშო წარმატებით დაასრულოს, დღევანდელი ორთაბრძოლა აუცილებლად უნდა მოიგოს.

## ახალი რეკორდი

ცურვაში საფრანგეთის ჩემპიონატზე ღირსშესანიშნავი რამ მოხდა. ლაურა მანადუმ დაამყარა მსოფლიო რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მან დისტანცია 04.03.03 წუთში დაფარა და ცურვის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული რეკორდი 0.82 წამით გააუმჯობესა. აქამდე რეკორდი ამერიკელ ჯენეტ დევისს ეკუთვნოდა, რომელიც 1988 წლის 22 სექტემბერს დამყარდა.

## FIBA-მ პრეზიდენტი აირჩია

მიუნხენში მიმდინარე FIBA-ს მოირგ ასამბლეაზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა.

FIBA-ს ოფიციალური ვებსაიტის ცნობით, ამ პოსტზე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გეორგიოს ვასილაკოპულოსი იმუშავებს. არჩევნები უალტერნატივო გამოდგა. ბერძენის კონკურენტმა შარუნას მარჩულონისმა კენჭისყრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. ვასილაკოპულოსმა 49 შესაძლებლიდან 48 ხმა მიიღო.

## მერიონი ბრუნდება

როგორც ჩანს, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მძლეოსანი მერიონ ჯონსი დიდ სპორტს უბრუნდება. ამას წინათ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონმა მონაწილეობა მიიღო მექსიკაში გამართულ ერთ-ერთ ტურნირში და 100-მეტრიანი დისტანცია 11.06 წამში დაფარა. ამ სეზონში უკეთესი შედეგი მხოლოდ ერთ სპრინტერს აქვს ნაჩვენები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შედეგი საკმაოდ შორს დგას თავად მერიონის რეკორდიდან, რომელიც მორბენალმა 1998 წელს დაამყარა (10.65).

## სპორტი ლუდის გარეშე

უახლოეს მომავალში რუსულ სპორტს შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნას. საქმე ისაა, რომ 1 ივნისს რუსეთში ძალაში შედის კანონი, რომლის თანახმადაც ალკოჰოლური სასმელების რეკლამა სპორტულ ღონისძიებებზე იკრძალება. ალკოჰოლური სასმელების რეკლამა არა მარტო სტადიონებზე აიკრძალება, არამედ სპორტული შეჯიბრებების ტელეტრანსლაციების დროსაც. ამან კი შესაძლოა სერიოზული დარტყმა მიაყენოს რუსებს. მარტივ მაგალითს მოვიტანთ: რუსეთის საფეხბურთო ნაკრების გენერალური სპონსორი სწორედ ლუდის მწარმოებელი კომპანიაა და მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციებიც ერთ-ერთმა ანალოგიურმა ფირმამ შეიძინა.

ახლა თავად განსაჯეთ: თუ ლუდის რეკლამა ტელეტრანსლაციების დროს აიკრძალა, რატომ გადაიხდიან ასეთი კომპანიები ფულს მსოფილო ჩემპიონატის ტელეტრანსლაციების ყიდვაში. რუსეთში იმასაც კი ამბობენ, რომ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შესაძლოა რუსეთის ტელეკომპანიებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩებიც კი ვერ აჩვენონ.

## ტოლედო: ბექჰემი ქათამია

პარაგვაის ეროვნული ნაკრების მოთამაშე დელიო ტოლედომ ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს "ქათამი" უწოდა.

"ბექჰემი ნამდვილი ქათამია. როცა მის წინააღმდეგ გიწევს თამაში, მოულოდნელად ქათამივით ერთი ადგილიდან მეორეზე იწყებს გადახტომას", - განაცხადა "სარაგოსას" 31 წლის ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ინგლისელები და პარაგვაელები ერთ ჯგუფში მოხვდნენ. მათი პირველი მატჩი გერმანიაში 10 ივნისს გაიმართება.

"ინგლისის ნაკრები ზედმეტადაა დამოკიდებული ბექჰემის თამაშზე, ამიტომ ძალიან მინდა 10-ში მის წინააღმდეგ მომიწიოს გამოსვლა, რათა დავუმტკიცო, რომ ფეხბურთელი კი არა, ქათამია", - თქვა ტოლედომ.

## მექსიკის ნაკრები ცნობილია

მექსიკის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვანი ფეხბურთელებიის საბოლოო განაცხადი წარმოადგინა.

მექსიკის ნაკრები ასე გამოიყურება:

**მეკარეები**: ოსვალდო სანჩესი, გილერმო ოჩოა, ხესუს კორონა;

**მცველები**: ხოსე ანტონიო კასტრო, რაფაელ მარკესი, მარიო მენდესი, რიკარდო ოსორიო, ფრანსისკო როდრიგესი, კარლოს სალსიდრო, კლაუდიო სუარესი, ანდრეს გუარდადო, გონსალო პინედა;

**ნახევარმცველები**: ლუის პერესი, პაველ პარდო, ანტონიო ნილსონი, რაფაელ გარსია, ხერარხო ტორადო, რამონ მორალესი;

**თავდამსხმელები**: ხარედ ბორხეტი, გილერმო ფრანკო, ფრანსისკო ფონსეკა, ომარ ბრავო, ხესუს არელლანო.

## "ლივერპული" ინგლისის თასის მფლობელია

დაძაბული და საინტერესო გამოდგა ინგლისის თასის ფინალური მატჩი კარდიფის "მილენიუმზე", სადაც "ლივერპული" და "ვესტ ჰემი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩის ძირითადი დრო 3:3 დასრულდა. ლივერპულელთაგან ორი გოლი სტივენ ჯერარდმა გაიტანა, ერთი ავტოგოლი კი საკუთარ ანგარიშზე ჯეიმი კარაგერმა მიითვალა. დამატებით დროში გოლის გატანა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. ინგლისის თასის მფლობელის ვინაობა პენალტების სერიაში გაირკვა. გამარჯვება მერსისადელებს დარჩათ - 3:1.

"სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. ჩვენ ისეთი ფეხბურთელის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში, როგორიც სტივენ ჯერარდია. ახლა ისღა დაგვრჩენია, ვეცადოთ, რომ მომავალ სეზონში უეფას თასის გათამაშების ფინალში გავაღწიოთ", - განაცხადა მატჩის შემდგომ "ვესტ ჰემის" ისრაელელმა ლეგიონერმა იოსი ბენაიუნმა. თასის მფლობელი "ლივერპულის" ესპანელი თავკაცის რაფაელ ბენიტესის აზრით კი, გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებდა. "ძალიან დაძაბული მატჩი გამოვიდა. თასს ორივე გუნდი თანაბრად იმსახურებდა. თავიდანვე ვიცოდი, რომ "ვესტ ჰემი" ერთზე მეტ გოლს გაგვიტანდა, მიხარია, რომ მათი კარის აღება ჩვენც ღირსეულად შევძელით", - თქვა ესპანელმა სპეციალისტმა.

## ესპანეთი.

ატლეტიკო - ბეტისი..................1:1
კადისი - მალაგა........................5:0
სელტა - ხეტაფე.........................1:0
მალიორკა - სარაგოსა ..............3:1
ალავესი - დეპორტივო .............1:0
ესპანიოლი - სოსიედადი ...........1:0
სევილია - ბარსელონა................3:2
ვილიარეალი - რასინგი.............2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 37 | 25 | 7 | 5 | 79-32 | 82 |
| 2. რეალი | 37 | 20 | 10 | 7 | 67-36 | 70 |
| 3. ვალენსია | 37 | 19 | 12 | 6 | 57-31 | 69 |
| 4. სევილია | 37 | 19 | 8 | 10 | 50-36 | 65 |
| 5. ოსასუნა | 37 | 20 | 5 | 12 | 47-42 | 65 |
| 6. სელტა | 38 | 20 | 4 | 14 | 45-33 | 64 |
| 7. ვილიარეალი | 38 | 14 | 15 | 9 | 50-39 | 57 |
| 8. დეპორტივო | 38 | 15 | 10 | 13 | 47-45 | 55 |
| 9. ხეტაფე | 38 | 15 | 9 | 14 | 54-49 | 54 |
| 10. ატლეტიკო | 38 | 13 | 12 | 13 | 45-37 | 52 |
| 11. სარაგოსა | 38 | 12 | 10 | 16 | 46-51 | 46 |
| 12. მალიორკა | 38 | 10 | 13 | 15 | 37-51 | 43 |
| 13. ბილბაო | 37 | 10 | 12 | 15 | 37-45 | 42 |
| 14. ბეტისი | 38 | 10 | 12 | 16 | 34-51 | 42 |
| 15. ესპანიოლი | 38 | 10 | 11 | 17 | 36-56 | 41 |
| 16. რასინგი | 38 | 9 | 13 | 16 | 36-49 | 40 |
| 17. სოსიედადი | 38 | 11 | 7 | 20 | 48-65 | 40 |
| 18. ალავესი | 38 | 9 | 12 | 17 | 35-54 | 39 |
| 19. კადისი | 38 | 8 | 12 | 18 | 36-52 | 36 |
| 20. მალაგა | 38 | 5 | 9 | 24 | 36-68 | 24 |

## იტალია

მილანი - რომა............................2:1
კალიარი - ინტერი ......................2:2
კიევო -ფიორენტინა.....................0:2
ესპოლი - ასკოლი ........................1:2
ლაციო - პარმა ............................1:0
პალერმო - მესინა........................1:0
რეჯინა - იუვენტუსი.....................0:2
სამპდორია - ლეჩე .......................1:3
სიენა - ლივორნო.........................0:0
ტრევიზო - უდინეზე.....................2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 38 | 27 | 10 | 1 | 71-24 | 91 |
| 2. მილანი | 38 | 28 | 4 | 6 | 85-31 | 88 |
| 3. ინტერი | 38 | 23 | 7 | 8 | 68-30 | 76 |
| 4. ფიორენტინა | 38 | 22 | 8 | 8 | 66-41 | 74 |
| 5. რომა | 38 | 19 | 12 | 7 | 70-42 | 69 |
| 6. ლაციო | 38 | 16 | 14 | 8 | 57-47 | 62 |
| 7. კიევო | 38 | 13 | 15 | 10 | 54-49 | 54 |
| 8. პალერმო | 38 | 13 | 13 | 12 | 50-52 | 52 |
| 9. ლივორნო | 38 | 12 | 13 | 13 | 37-44 | 49 |
| 10. პარმა | 38 | 12 | 9 | 17 | 46-60 | 45 |
| 11. ემპოლი | 38 | 13 | 6 | 19 | 46-62 | 45 |
| 12. ასკოლი | 38 | 9 | 16 | 13 | 43-53 | 43 |
| 13. უდინეზე | 38 | 11 | 10 | 17 | 40-54 | 43 |
| 14. სამპდორია | 38 | 10 | 11 | 17 | 47-51 | 41 |
| 15. რეჯინა | 38 | 11 | 8 | 19 | 39-65 | 41 |
| 16. კალიარი | 38 | 8 | 15 | 15 | 42-55 | 39 |
| 17. სიენა | 38 | 9 | 12 | 17 | 42-60 | 39 |
| 18. მესინა | 38 | 6 | 13 | 19 | 34-58 | 31 |
| 19. ლეჩე | 38 | 7 | 8 | 23 | 30-57 | 29 |
| 20. ტრევიზო | 38 | 3 | 12 | 23 | 24-56 | 21 |

## იტალია

ატალანტა - არეცო......................2:0
ბარი - მოდენა ............................2:2
ბოლონია - აველინო....................2:0
კატანია - პესკარა.......................3:0
ჩეზენა - კატანძარო ....................4:1
კროტონე - კრემონეზე ...............3:1
მანტოვა - ვერონა........................0:0
პიაჩენცა - ტრიესტინა ................3:4
ტერნანა - ბრეშია .......................2:2
ტორინო - რიმინი.........................1:0
ვიჩენცა - ალბინოლეფე...............1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 40 | 24 | 8 | 8 | 59 - 36 | 80 |
| 2. კატანია | 40 | 20 | 12 | 8 | 62 - 40 | 72 |
| 3. ტ ორინო | 40 | 19 | 13 | 8 | 47 - 31 | 70 |
| 4. მანტოვა | 40 | 17 | 14 | 9 | 45 - 35 | 65 |
| 5. ჩეზენა | 40 | 17 | 12 | 11 | 64 - 52 | 63 |
| 6. მოდენა | 40 | 15 | 16 | 9 | 57 - 41 | 61 |
| 7. ბრეშა | 40 | 15 | 15 | 10 | 52 - 39 | 60 |
| 8. არეცო | 40 | 15 | 15 | 10 | 41 - 32 | 60 |
| 9. კროტონე | 40 | 17 | 9 | 14 | 50 - 43 | 60 |
| 10. ბოლონია | 40 | 14 | 16 | 10 | 49 - 41 | 58 |
| 11. პიაჩენცა | 40 | 13 | 15 | 12 | 54 - 48 | 54 |
| 12. პესკარა | 40 | 14 | 10 | 16 | 39 - 48 | 52 |
| 13. ტრიესტინა | 40 | 12 | 14 | 14 | 43 - 49 | 50 |
| 14. ბარი | 40 | 11 | 16 | 13 | 40 - 44 | 49 |
| 15. ვერონა | 40 | 10 | 18 | 12 | 39 - 37 | 48 |
| 16. ვიჩენცა | 40 | 13 | 9 | 18 | 37 - 47 | 48 |
| 17. რიმინი | 40 | 11 | 14 | 15 | 41 - 46 | 47 |
| 18. ალბინოლეფე | 40 | 9 | 16 | 15 | 34 - 48 | 43 |
| 19. აველინო | 40 | 9 | 13 | 18 | 38 - 61 | 40 |
| 20. ტერნანა | 40 | 7 | 17 | 16 | 34 - 54 | 38 |
| 21. კრემონეზე | 40 | 6 | 11 | 23 | 34 - 55 | 29 |
| 22. კატანძარო | 40 | 7 | 7 | 26 | 25 - 57 | 28 |

## გერმანია

კიოლნი - არმინია .......................4:2
ბაიერნი - დორტმუნდი ..............3:3
დუისბურგი - მაინცი....................0:0
აინტრახტი - გლადბახი ..............0:2
ჰამბურგი - ვერდერი....................1:2
ჰანოვერი - ბაიერი.......................2:2
ნიურნბერგი - ჰერტა....................2:1
შალკე - შტუტგარტი.....................3:2
ვოლფსბურგი - კაიზერი..............2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 34 | 22 | 9 | 3 | 67-32 | 75 |
| 2. ვერდერი | 34 | 21 | 7 | 6 | 79-37 | 70 |
| 3. ჰამბურგი | 34 | 21 | 5 | 8 | 53-30 | 68 |
| 4. შალკე | 34 | 16 | 13 | 5 | 47-31 | 61 |
| 5. ბაიერი | 34 | 14 | 10 | 10 | 64-49 | 52 |
| 6. ჰერტა | 34 | 12 | 12 | 10 | 52-48 | 48 |
| 7. დორტმუნდი | 34 | 11 | 13 | 10 | 45-42 | 46 |
| 8. ნიურნბერგი | 34 | 12 | 8 | 14 | 49-51 | 44 |
| 9. შტუტგარტი | 34 | 9 | 16 | 9 | 37-39 | 43 |
| 10. გლადბახი | 34 | 10 | 12 | 12 | 42-50 | 42 |
| 11. მაინცი | 34 | 9 | 11 | 14 | 46-47 | 38 |
| 12. ჰანოვერი | 34 | 7 | 17 | 10 | 43-47 | 38 |
| 13. არმინია | 34 | 10 | 7 | 17 | 32-47 | 37 |
| 14. აინტრახტი | 34 | 9 | 9 | 16 | 42-51 | 36 |
| 15. ვოლფსბურგი | 34 | 7 | 13 | 14 | 33-55 | 34 |
| 16. კაიზერი | 34 | 8 | 9 | 17 | 47-71 | 33 |
| 17. კიოლნი | 34 | 7 | 9 | 18 | 49-71 | 30 |
| 18. დუისბურგი | 34 | 5 | 12 | 17 | 34-63 | 27 |

## გერმანია

### მე-2 ბუნდესლიგა

აალენი - კიკერსი.........................1:0
ბურგჰაუზენი - ალემანია...........1:1
კოტბუსი - მიუნხენი....................3:1
აუე - ზიგენი ...............................0:2
ფრაიბურგი - ფიურტი ................1:0
ჰანზა - დინამო............................1:3
კარლსრუე - პადერბორნი..........2:3
ზაარბრუკენი - ბრაუნშვაიგი....2:0
უნტერჰახინგი - ბოხუმი...........0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოხუმი | 34 | 19 | 9 | 6 | 55-26 | 66 |
| 2. აალენი | 34 | 20 | 5 | 9 | 61-36 | 65 |
| 3. კოტბუსი | 34 | 16 | 10 | 8 | 49-33 | 58 |
| 4. ფრაიბურგი | 34 | 16 | 8 | 10 | 41-33 | 56 |
| 5. ფიურტი | 34 | 15 | 9 | 10 | 51-42 | 54 |
| 6. კარლსრუე | 34 | 15 | 8 | 11 | 55-45 | 53 |
| 7. აუე | 34 | 13 | 9 | 12 | 38-36 | 48 |
| 8. ბურგჰაუზენი | 34 | 12 | 11 | 11 | 45-49 | 47 |
| 9. პადერბორნი | 34 | 13 | 7 | 14 | 46-40 | 46 |
| 10. ჰანზა | 34 | 13 | 4 | 17 | 44-49 | 43 |
| 11. კიკერსი | 34 | 12 | 7 | 15 | 42-53 | 43 |
| 12. ბრაუნშვაიგი | 34 | 13 | 4 | 17 | 37-48 | 43 |
| 13. მიუნხენი | 34 | 11 | 9 | 14 | 41-44 | 42 |
| 14. უნტერჰახინგი | 34 | 12 | 6 | 16 | 42-48 | 42 |
| 15. დინამო | 34 | 11 | 8 | 15 | 39-45 | 41 |
| 16. ზაარბრუკენი | 34 | 11 | 5 | 18 | 37-63 | 38 |
| 17. ალენი | 34 | 9 | 8 | 17 | 36-50 | 35 |
| 18. ზიგენი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-54 | 31 |

## საფრანგეთი

აიაჩო - სტ. ეტიენი ......................3:1
ოსერი - სტრასბური.....................4:0
ბორდო - მარსელი .......................1:1
ლანსი - ნანტი..............................3:1
ლიონი - ლე მანი .........................8:1
მეცი - პსჟ ...................................1:0
მონაკო - ნანსი ............................2:2
რენი - ლილი................................2:2
ტულუზა - სოშო ...........................1:2
ტრუა - ნიცა..................................1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 38 | 25 | 9 | 4 | 73-31 | 84 |
| 2. ბორდო | 38 | 18 | 15 | 5 | 43-25 | 69 |
| 3. ლილი | 38 | 16 | 14 | 8 | 56-31 | 62 |
| 4. ლანსი | 38 | 14 | 18 | 6 | 48-34 | 60 |
| 5. მარსელი | 38 | 16 | 12 | 10 | 44-35 | 60 |
| 6. ოსერი | 38 | 17 | 8 | 13 | 50-39 | 59 |
| 7. რენი | 38 | 18 | 5 | 15 | 48-49 | 59 |
| 8. ნიცა | 38 | 16 | 10 | 12 | 36-31 | 58 |
| 9. პსჟ | 38 | 13 | 13 | 12 | 44-38 | 52 |
| 10. მონაკო | 38 | 13 | 13 | 12 | 42-36 | 52 |
| 11. ლე მანი | 38 | 13 | 13 | 12 | 33-36 | 52 |
| 12. ნანსი | 38 | 12 | 12 | 14 | 35-37 | 48 |
| 13. სტ. ეტიენი | 38 | 11 | 14 | 13 | 29-39 | 47 |
| 14. ნანტი | 38 | 11 | 12 | 15 | 37-41 | 45 |
| 15. სოშო | 38 | 11 | 11 | 16 | 34-47 | 44 |
| 16. ტულუზა | 38 | 10 | 11 | 17 | 36-47 | 41 |
| 17. ტრუა | 38 | 9 | 12 | 17 | 37-47 | 39 |
| 18. აიაჩო | 38 | 8 | 9 | 21 | 27-53 | 33 |
| 19. სტრასბური | 38 | 5 | 14 | 19 | 33-56 | 29 |
| 20. მეცი | 38 | 6 | 11 | 21 | 26-59 | 29 |

## დანია

ოლბორგი - ესბიერგი.................1:0
ბრონდბიუ - სონდეირლანდი ....1:2
კოპენჰაგენი - სილკებორგი......3:2
ნორდსეილანდი - ჰორსენსი......3:0
ვიბორგი - მიდტიულანდი..........1:1
ორჰუსი - ოდენსე ......................0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 33 | 22 | 7 | 4 | 62-27 | 73 |
| 2. ბრონდბიუ | 33 | 21 | 4 | 8 | 60-34 | 67 |
| 3. ოდენსე | 33 | 17 | 7 | 9 | 49-28 | 58 |
| 4. ვიბორგი | 33 | 15 | 9 | 9 | 62-43 | 54 |
| 5. ოლბორგი | 33 | 11 | 12 | 10 | 48-44 | 45 |
| 6. ესბიერგი | 33 | 12 | 6 | 15 | 43-45 | 42 |
| 7. მიდტიულანდი | 33 | 10 | 11 | 12 | 42-52 | 41 |
| 8. სილკებორგი | 33 | 11 | 6 | 16 | 33-50 | 39 |
| 9. ნორდსეილანდი | 33 | 9 | 11 | 13 | 49-55 | 38 |
| 10. ჰორსენსი | 33 | 8 | 13 | 12 | 29-41 | 37 |
| 11. სონდეირლანდი | 33 | 6 | 8 | 19 | 41-72 | 26 |
| 12. ორჰუსი | 33 | 4 | 10 | 19 | 36-63 | 22 |

## ავსტრია

ადმირა - ზალცბურგი................0:3
ტიროლი - გრაცერი ...................1:3
რაპიდი - რიდი..............................6:0
შტურმი - მატერსბურგი............0:1
პაშინგი - აუსტრია .....................2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 36 | 19 | 10 | 7 | 51 - 33 | 67 |
| 2. ზალცბურგი | 36 | 20 | 3 | 13 | 62 - 42 | 63 |
| 3. პაშინგი | 36 | 16 | 10 | 10 | 43 - 32 | 58 |
| 4. რიდი | 36 | 13 | 13 | 10 | 48 - 47 | 52 |
| 5. რაპიდი | 36 | 13 | 10 | 13 | 51 - 41 | 49 |
| 6. გრაცერი | 36 | 13 | 6 | 17 | 47 - 48 | 45 |
| 7. მატერსბურგი | 36 | 12 | 8 | 16 | 40 - 54 | 44 |
| 8. შტურმი | 36 | 10 | 12 | 14 | 44 - 51 | 42 |
| 9. ტიროლი | 36 | 10 | 12 | 14 | 44 - 55 | 42 |
| 10. ადმირა | 36 | 9 | 6 | 21 | 42 - 69 | 33 |

## რუსეთი

მოსკვა - ცსკა ..............................0:1
ტორპედო - ლოკომოტივი.........1:4
სატურნი - კრილია .....................1:1
შინიკი - სპარტაკი (ნ) ..............0:1
ტომი - ლუჩი................................2:1
ამკარი - როსტოვი......................1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 9 | 6 | 1 | 2 | 15-6 | 19 |
| 2. რუბინი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-8 | 17 |
| 3. ტომი | 9 | 5 | 2 | 2 | 10-7 | 17 |
| 4. სპარტაკი (ნ) | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 5. კრილია | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 19-15 | 14 |
| 7. სპარტაკი | 8 | 3 | 4 | 1 | 15-11 | 13 |
| 8. სატურნი | 9 | 2 | 6 | 1 | 8-4 | 12 |
| 9. მოსკვა | 9 | 3 | 2 | 4 | 8-13 | 11 |
| 10. ამკარი | 9 | 2 | 4 | 3 | 5-8 | 10 |
| 11. როსტოვი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-9 | 8 |
| 12. ზენიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-14 | 8 |
| 13. ლუჩი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-12 | 8 |
| 14. ტორპედო | 9 | 1 | 4 | 4 | 6-12 | 7 |
| 15. შინიკი | 9 | 1 | 3 | 5 | 3-12 | 6 |
| 16. დინამო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-10 | 5 |

## შვეიცარია

ბაზელი - ციურიხი.......................1:2
გრასჰოპერი - არაუ.....................0:0
სტ. გალენი - შაფჰაუზენი .........3:0
თუნი - ქსამაქსი .........................3:0
ივერდონი - იანგ ბოისი.............1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 36 | 23 | 9 | 4 | 86-36 | 78 |
| 2. ბაზელი | 36 | 23 | 9 | 4 | 87-42 | 78 |
| 3. იანგ ბოისი | 36 | 17 | 11 | 8 | 60-46 | 62 |
| 4. გრასჰოპერი | 36 | 14 | 13 | 9 | 44-33 | 55 |
| 5. თუნი | 36 | 14 | 7 | 15 | 50-53 | 49 |
| 6. სტ. გალენი | 36 | 11 | 7 | 18 | 51-56 | 40 |
| 7. არაუ | 36 | 8 | 11 | 17 | 29-63 | 35 |
| 8. შაფჰაუზენი | 36 | 7 | 12 | 17 | 32-55 | 33 |
| 9. ქსამაქსი | 36 | 9 | 6 | 21 | 41-70 | 33 |
| 10. ივერდონი | 36 | 9 | 5 | 22 | 38-64 | 32 |

# ფლეი-ოფები გადამწყვეტ ფაზაში შედის

NBA-ში გრძელდება კონფერენციების ნახევარფინალური სერიები. ჯერჯერობით ოთხივე წყვილში ანგარიში ერთნაირია. გამორიცხულია არაა, რომ კონფერენციების ფინალისტების გამოსავლენად თითოეულ წყვილში ყველა შვიდი მატჩის გამართვა გახდეს საჭირო.

"დეტროიტისა" და "კლივლენდის" დაპირისპირებაში ფავორიტად თავიდანვე "დეტროიტი" ითვლებოდა. პირველი ორი მატჩის შემდეგ დეტროიტელები სერიას 2:0 იგებდნენ, მაგრამ "კლივლენდი" ასე უბრძოლველად მეტოქეს არ დანებდა და მესამე შეხვედრაში ლებრონ ჯეიმსის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გამარჯვებას მიაღწია. "კლივლენდმა" მეტოქე 86:77 დაამარცხა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ლებრონს, რომელმაც მატჩი ტრიპლ დაბლით დასრულა. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის ანგარიშზე 21 ქულა, 10 მოხსნა და 10 შედეგიანი გადაცემაა. მატჩი მეტისმეტად დაძაბული აღმოჩნდა. "დეტროიტი" თავიდან ფლობდა უპირატესობას და თითქოს მესამე გამარჯვებაც უნდა ეზეიმა. ყოველ შემთხვევაში, პირველი სამი მეოთხედის შემდეგ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში "კლივლენდმა" მცირე საოცრება მოახდინა - ლებრონ ჯეიმსმა და მისმა თანაგუნდელებმა გადამწყვეტი მეოთხედი 12 ქულით მოიგეს და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ.


ლებრონის ტრიპლ დაბლით "კლივლენდმა" პირველი მატჩი მოიგო.

საოცრად დაძაბული ბრძოლაა "სან ანტონიოსა" და "დალსს" შორის. მესამე მატჩს "მავერიკსმა" უმასპინძლა. დალასელებმა ტიმ დანკანის გუნდი 104:103 დაამარცხეს და სერიაშიც დაწინაურდნენ. მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო დირ ნოვიცკი, რომელმაც გუნდს 27 ქულა შესძინა, 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და ამას სამი შედეგიანი გადაცემა და სამი ბლოკშოტიც დაუმატა. "სან ანტონიოს" რიგებში კი, როგორც ყოველთვის, ტიმ დანკანი გამოირჩეოდა. მის ანგარიშზე 35 ქულაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დანკანი საკმაოდ პასიური იყო ფარქვეშ ბრძოლაში. "სან ანტონიოს" ცენტრმა მხოლოდ 4-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი.

შაკილ ო`ნილის "მაიამიმ" მესამე მატჩიც მოუგო "ნიუ ჯერსის". მაიამელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათივე გამარჯვებით 103:92 დასრულდა.

მართალია, "მაიამი" შაკილ ო`ნილის გუნდად მოვიხსენიეთ, მაგრამ ამჯერად "ჰიტის" გამარჯვება დუეინ ვეიდის კარგმა თამაშმა განაპირობა. ვეიდმა მატჩი 30 ქულით, 7 მოხსნითა და 10 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. "ნიუ ჯერსის" კალათბურთელთა შორის კი ყველაზე შედეგიანი ვინს კარტერი გამოდგა. მის ანგარიშზე 43 ქულა, 6 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემაა.

ნახევარფინალების მეოთხე წყვილში "ფენიქსმა" 94:91 დაამარცხა ლოს ანჯელეს "კლიპერსი". სამწუხაროდ, ცქიტიშვილს თავისი გუნდის გამარჯვებაში წვლილი არ მიუძღვის.

# გეტლინის რეკორდი

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა სპრინტერმა ჯასტინ გეტლინმა 100 მეტრზე სირბილში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

24 წლის ამერიკელმა დოჰაში გამართულ გრან პრის ასპარეზობაზე სპრინტერული დისტანცია 9.76 წამში დაფარა და იამაიკელი ასაფა პაუელის რეკორდი გააუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ გეტლინი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ამბობდა, რომ რეკორდის დამყარებას გეგმავდა და დანაპირებიც შეასრულა.

"თავს ისე ვგრძნობ, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესო. ვარ ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, მოგებული მაქვს ოლიმპიური თამაშები, ახლა კი მსოფლიო რეკორდიც მე მეკუთვნის, - განაცხადა რეკორდის დამყარების შემდეგ გეტლინმა, - თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვარ და მომავალში უკეთესი შედეგის ჩვენებას ვაპირებ".

საინტერესოა, რომ ჯასტინის რეკორდს ზოგიერთი ალმაცერად უყურებს. "რა თქმა უნდა, მას ყველაფერი გამოუვა. ისეთი მწვრთნელი ჰყავს, რომ,


ჯასტინ გეტლინი - მსოფლიო რეკორდსმენი

წესით, რეკორდი რეკორდზე უნდა დაამყაროს", - აღნიშნა ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთის ჟურნალისტმა.

საქმე ის არის, რომ გეტლინს ამჟამად ტრევორ გრემი ავარჯიშებს. გრემი მძლეოსნობის სამყაროში საკმაოდ პოპულარულია, თუმცა სახელი აქვს გატეხილი. როგორც ამბობენ, გრემმა მშვენივრად იცის, თუ რა დოზით უნდა მისცეს თავის შეგირდებს სტეროიდები, რათა მათ დოპინგ კონტროლი არ ჩააგდონ.

თავის დროზე ტრევორ გერმი ავარჯიშებდა მერიონ ჯონსს და ტიმ მონტგომერის. ორივე მძლეოსანმა საოცარ შედეგებს მიაღწია, თუმცა, შემდეგ ორივე ჩავარდა დოპინგის გამოყენებაზე.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ 2001 წელს ახალი მსოფლიო რეკორდსმენი ჯასტინ გეტლინი ამფიტამინის გამოყენების გამო ორი წლით იყო დისკვალიფიცირებული.

"დიახ, ადრე გრემს ჰქონდა პრობლემები, მაგრამ იგი შეიცვალა. მიმაჩნია, რომ არასწორია ძველი ცოდვების გახსენება. მე და გრემმა დავამტკიცეთ, რომ საუკეთესოები ვართ", - აღნიშნავს ჯასტინ გეტლინი.

# "რენო" და "ფერარი"

გიგა გურასაშვილი

*მართალია, კვალიფიკაციის განაწესი სამეფო რბოლათა საჯინიბოებს დიდად არ ხიბლავთ, მაგრამ აშკარაა: დიდი პრიზები და, საერთოდ, ჩემპიონატი წლეულს გაცილებით საინტერესოდ მიმდინარეობს. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ექვსი ეტაპი გაიმართა, მაგრამ ესეც საკმარისია გარკვეული სურათის ჩამოსაყალიბებლად. თუ შარშან "რენოს" დომინანტობას ერთნი "ფერარის" დაუძლურებას აბრალებდნენ, წლეულს ორივე გუნდი სხვებზე უკეთ გამოიყურება. ჩატარებული ექვსი ეტაპიდან ოთხში ფრანგულმა საჯინიბომ იმარჯვა, ორში კი - იტალიურმა. გუშინ სწორედ მეექვსე ეტაპი გაიმართა - "ესპანეთის დიდი პრიზი", რომელიც ფრანგული საჯინიბოს ესპანელი მრბოლის ფერნანდო ალონსოს გამარჯვებით დასრულდა.*

ალონსომ ბარსელონაში "კატალუნია-მონტმელოზე" თავშეყრილ თანამემამულეებს ისეთი სიხარული მიანიჭა, რომელსაც 50 წელიწადზე მეტია ელოდნენ.

რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა კიდეც, კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეო.

"მანქანა ბრწყინვალედ მოქმედებდა. საბურავებიც არაჩვეულებრივი მქონდა. ბოქსებში შესვლამდე მიხაელთან დიდი მანძილის მოგება მინდოდა, რაც საკმაოდ სწრაფად შევძელი კიდეც. მერე კი ჩემი მთავარი საზრუნავი უპირატესობის შენარჩუნება იყო".

ალონსო გახდა პირველი ესპანელი, რომელმაც შეძლო მშობლიურ ტრასაზე პირველს გადაეკვეთა ფინიშის ხაზი. თანაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერთან ორთაბრძოლაში, რომელიც, შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს სრულ საბრძოლო ფორმაშია. ასე რომ არ ყოფილიყო, "სან მარინოსა" და "ევროპის დიდი პრიზებს" ვერ მოიგებდა. მიხაელი ახლაც ახლოს იყო გამარჯვებასთან და, შესაბამისად, ჰეთ-თრიკთან, მაგრამ ახალგაზრდა ესპანელს ვერაფერი მოუხერხა. ალონსოსთან გერმანელის ჩამორჩენაც თვალშისაცემია - 18,5 წამი. საგულისხმო იყო ისიც, რომ რბოლის დაწყებამდე შუმახერი ესპანელს პილოტთა დავაში 13 ქულით ჩამორჩებოდა.

მოვლენები ჯერ კიდევ მთავარ რბოლამდე - შაბათის კვალიფიკაციისას საინტერესოდ წარიმართა. კვალიფიკაციაზე მოწინავეთა შორის რენოელებმა დაიკავეს ადგილები. ფერნანდო ალონსოსა (სხვათა შორის, ესპანელმა წლეულს კარიერის მეთერთმეტე, სეზონის მეორე და მშობლიური ტრასის პირველი პოული მოიგო.-რედ.) და მის იტალიელ თანაგუნდელს ჯანკარლო ფიზიკელას საუკეთესო შედეგები აღმოაჩნდათ. საინტერესოა ისიც, რომ რენოელებს ზურგს უმაგრებდათ სკუდერიელთა ტანდემი მიხაელ შუმახერისა და ბრაზილიელი ფელიპე მასას სახით.

ერთი სიტყვით, მთავარ რბოლას სათავეში ედგნენ ფრანგული და იტალიური საჯინიბოს წარმომადგენლები, რომლებიც კონსტრუქტორთა დავაშიც მოწინავენი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ მიხაელმა კვალიფიკაციაზე მესამე ადგილი დაიკავა, შედეგით კმაყოფილი იყო: "ვიცოდით, რომ კვალიფიკაციაზე ჩვენს მთავარ კონკურენტებზე ნელი ვიქნებოდით. საქმე ისაა, რომ საბურავების შერჩევისას ძირითად აქცენტს რბოლაზე ვაკეთებდით. ყველაფრის გათვალისწინებით, მეორე რიგიდან ასპარეზობის დაწყება ურიგო არ არის, რადგან რბოლაში უფრო სწრაფები ვიქნებით. "ნიურბურგრინგისგან" განსხვავებით ("ევროპის დიდი პრიზი", რომელიც მიახელის გამარჯვებით დასრულდა), სტარტს ვიღებ ტრასის სუფთა მონაკვეთიდან. რაც შეეხება სარბოლო სტრატეგიას, საამისოდ ორი ვარიანტი გვაქვს - საუკეთესოს შერჩევა".

შუმახერს "ესპანეთის დიდ პრიზის" მოგების იმედიც ჰქონდა, მაგრამ რბოლა მეორე შედეგით დაასრულა. საგულისხმოა, რომ ოთხეულში ადგილები სწორედ "რენოსა" და "ფერარის" წარმომადგენლებმა გაინაწილეს: ალონსო, შუმახერი, ფიზიკელა, და მასა. ამ ეტაპის შარშანდელმა გამარჯვებულმა, მაკლარენელთა ფინელმა მრბოლმა კიმი რაიკონენმა კი მეხუთე ადგილით დაასრულა ასპარეზობა, რაც მისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ რბოლა მეცხრე პოზიციიდან დაიწყო.

გვერდს ვერ ავუვლით "რედ ბულის" შოტლანდიელ მრბოლს დევიდ კულჰარდს. საქმე ის არის, რომ შოტლანდიელმა ბოლოსწინა ადგილიდან დაიწყო რბოლა და მე-14 პოზიციით დაასრულა. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ გუშინ საიუბილეო რბოლა ჰქონდა - "დიდ პრიზებზე" მეორასედ გავიდა სტარტზე. შაბათის კვალიფიკაციაზე კულჰარდი ერთადერთი მრბოლი იყო, რომელმაც საკუთარი ბოლიდი დაამსხვრია. ალბათ იკითხავთ, თუ ასეა, ბოლო ადგილიდან რატომ არ აიღო სტარტიო (კვალიფიკაციაზე მე-12 შედეგი ჰქონდა.-რედ.). საქმე ისაა, რომ 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონის, კანადელი ჟაკ ვილნევის "ზაუბერს" ძრავა გამოუცვალეს. ასეთი ქმედებისთვის მრბოლს ათი საფეხურით აქვეითებენ. თუმცა, ვილნევი ცამდე მართალი იყო. შეცდომა საჯინიბოს ტექნიკურმა პერსონალმა დაუშვა. "ევროპის დიდი პრიზიდან" ანუ "ნიურბურგრინგის" ტრასიდან ესპანეთისკენ ტრანსპორტირებული ვილნევის ბოლიდს ძრავა დაუზიანდა, რის გამოც საჯინიბო იძულებული გახდა კანადელის ბოლიდში ახალი მოტორი ჩაედგა.

**"ესპანეთის დიდი პრიზი"**
***"კატალუნია-მონტმელოს"ავტოდრომი, 66 წრე. 4,627 კმ.***

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") 1 საათი, 26 წუთი, 21.759 წამი
2. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") +18,5
3. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") +23,9
4. ფელიპე მასა ("ფერარი") +29,8
5. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") +56,8
6. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") +58,3
7. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") +1
8. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") +1

**უსწრაფესი წრე:**
ფელიპე მასა ("ფერარი")..........1:16.648

**მრბოლთა საჩემპიონო დავა**
ფერნანდო ალონსო............................54
მიხაელ შუმახერი................................39
კიმი რაიკონენი .................................27
ჯანკარლო ფიზიკელა .......................24
ფელიპე მასა .......................................20
ჯენსონ ბატონი ..................................16
ხუან პაბლო მონტოია .......................15
რუბენ ბარიკელო .................................8
რალფ შუმახერი ..................................7
ნიკ ჰაიდფელდი .................................6
მარკ უებერი .......................................6
ჟაკ ვილნევი ........................................6
ნიკო როსბერგი ...................................4
დევიდ კულჰარდი ................................1
კრისტიან კლინი ..................................1

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**
"რენო" ....................................................78
"ფერარი" ................................................59
"მაკლარენ-მერსედესი" .......................42
"ჰონდა" ..................................................24
"ზაუბერ-BMW" ....................................12
"უილიამსი" ...........................................10
"ტოიოტა" ...............................................7
"რედ ბული" ...........................................2


ალონსოს დამწევი გუშინ არავინ იყო.

## ინფოთეკა

### მანჩინი "ინტერს" დატოვებს

მილანის "ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ მისი მომავალი უახლოეს ორ დღეში გაირკვევა და, სავარაუდოდ, იგი გუნდს დატოვებს.

"ვიმუშავებ თუ არა "ინტერში"? უმჯობესია ამ კითხვით კლუბის მფლობელს მასიმო მორატის მიმართოთ. მართალია, "ინტერთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ თუ სენიორ მორატიმ ჩემი გაშვება მოინდომა, კონტრაქტს არავინ შეხედავს. ჩემი მომავალი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ჩემი ვარაუდით, გუნდის დატოვება მომიწევს", - განაცხადა მანჩინიმ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.

### არმანი ინგლისელებს შემოსავს

ინგლისის ნაკრები იტალიელი კუტურიეს ჯორჯო არმანის სამოსით წარდგება მსოფლიო ჩემპიონატზე. სვენ გორან ერიქსონის გადაწყვეტილებით, ინგლისის ნაკრების გამოსასვლელ კოსტიუმებს სწორედ არმანი შექმნის. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების არსებობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ნაკრების კოსტიუმებს უცხოელი დიზაინერი კერავს.

### WADA-ს ულტიმატუმი

დღეს იწურება ულტიმატუმის ვადა, რომელიც მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტო WADA-მ ფიფას წაუყენა. თუ ფიფა არ დაემორჩილა WADA-ს კანონებს, ეს ორგანიზაცია მიმართავს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რათა ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღონ.

### ერიქსონმა ჯერ ვერ გადაწყვიტა

სვენ გორან ერიქსონს ჯერაც არ გადაუწყვეტია წაიყვანს თუ არა უეინ რუნის მსოფლიო ჩემპიონატზე. "თუ რუნი ჯანმრთელადაა, იგი აუცილებლად გაემგზავრება მუნდიალზე. უნდა შევხვდე "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ექიმებს. თუ მათ მითხრეს, რომ რუნის თამაში შეუძლია, ცხადია, უეინი მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება", - აღნიშნა ერიქსონმა.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ სრულად გამოჯანმრთელდა მაიკლ ოუენი და უკვე ვარჯიშიც დაიწყო.

### "ესპანიოლი" მწვრთნელის გარეშე დარჩა

მას შემდეგ, რაც "ესპანიოლმა" პრიმერა დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა, კატალონიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მიგელ ანხელ ლოტინამ თანამდებობა დატოვა. "ვფიქრობ, ახლავე ჯობს წასვლა. გუნდში ორი მშვენიერი სეზონი გავატარე. ახლა კი უმჯობესი იქნება თუ წავალ და გუნდი ჩემს შემცვლელს იპოვის", - განაცხადა ლოტინამ.

### კრისი "ლიონში" დარჩება

"ლიონისა" და ბრაზილიის ნაკრების მცველის კრისის შეძენა არაერთ გრანდს სურდა. "მილანი" რა ხანია ცდილობს ამ ცენტრალური მცველის ყიდვას, მაგრამ, როგორც ჩანს, ბრაზილიელი "ლიონთან" განშორებას არ აპირებს. გუშინ ფეხბურთელმა ფრანგულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად კრისი 2010 წლამდე დარჩება "ლიონში".

### რომანოვის პირველი ჯილდო

გასული სეზონის დასაწყისში შოტლანდიური კლუბი "ჰართსი" ბალტიისპირელმა მილიარდერმა ვლადიმირ რომანოვმა შეიძინა. ბიზნესმენმა შოტალნდიის ერთ რიგით კლუბს საკმაოდ სწრაფად დაატყო ხელი. მთელი სეზონი "ჰართსი" მაღალ დონეზე თამაშობდა და ჩემპიონატში "რეინჯერსსა" და "სელტიკსაც" უწევდა კონკურენციას. თუმცა "ჰართსმა" სატურნირო ბრძოლას ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო. სამაგიეროდ რომანოვის გუნდმა შოტლანდიის თასი მოიპოვა. შაბათს ფინალურ მატჩში "ჰართსმა" პენალტების სერიაში სძლია "გრეტნას" და ბალტიისპირელმა მილიარდერმა პირველი შოტლანდიური ჯილდო მოიგო.